

602
1959



3

1959

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სსსრ



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შუბრნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აჭარის განყოფილების
ორბანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

7777



3

1959

მ ა ი ს ი
ი ვ ნ ი ს ი

სკკვ ცენტრალური კომიტეტის მისალ-
მება სსრ კავშირის მწერალთა მისამც
შკილოვსისადმი 3

მ. ვარშანიძე—ლექსები 7

მ. ზედგინიძე—უკანასკნელი ბორანი
(მოთხრობა) 11

ნ. გვარამიანი—ლექსები 17

ჟ. ჯაშელი—გახადეგარი (მოთხრობა) . 19

მ. გელაძე—ლექსები 23

მ. კაპიტაძე—ილარიონის სიხარული
(მოთხრობა) 26

შ. ამისულაშვილი—ლექსები 32

მ. კოვალევიშვილი—საუბარი წყაროს-
თან (ლექსი) 34

მ. მარღალიშვილი—უღიმილო (მოთხ-
რობა) 35

ზ. გორგვილაძე—გზად ლეკი შემომეყარა
(ლექსი) 39

ბ. შრუშაძე—კიკვიძის მეზობელი
(მეგობრის დღიურიდან) 41

კ. ლაღანიძე—გულით მინდა ვიცოდე
(ლექსი) 43

ბ. შირვაშიძე—სიმღერა დედაზე (ნაწუ-
ვებები პიესიდან) 44

თ. გოტიძე—ბარკაროლა (ლექსი, ფრან-
გულიდან თარგმნა ი. არეშიძემ) . 59

შ. კლარქი—ბუმ-ბუმ (მოთხრობა,
ფრანგულიდან თარგმნა კ. ჯაშმა) . 60

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ზ. ართილაშვილი—სკკვ საბჭოთა ხალხის
ხელმძღვანელი და წარმმართველი
ძალა კომუნისტების მშენებლობაში 65

- შ. ძუნიძე — მხატვრული ოსტატობის
ზოგიერთი საკითხი 69
- ლ. ლორთქიფანიძე — რუსი რევოლუცი-
ონური დემოკრატები საბავშვო ლი-
ტერატურის შესახებ 77

აჭარის წარსულიდან

- მ. გორგილაძე — ვაჭრობა თურქეთისდრო-
ინდელ აჭარაში 81 ✓
- დ. ცინცაძე, შ. ხანთაძე — მუხანათატეზე
არსებული ხალხური გადმოცემის
შესახებ 86 ✓

წიგნის თარო

- აღ. კოკაია — ლექსები სამშობლოზე,
სიყვარულზე, სიცოცხლეზე 88
- მ. შიჭინაძე — უურნალების საინტერესო
ჩანაწერები 89
- მ. სვანიძე, კ. ლილუაშვილი — მონოგრა-
ფია ბათუმის ისტორიაზე 90 ✓

სატირა და იუმორი

- მ. ჩხანიძე — ელპიტეს დაკრძალვა
(მოთხრობა) 92

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:

ს. ახვლედიანი, ნ. გვარამიანი, პ. ლორია, გ. ხალუქვაძე (პ/მგ მდივანი),
აღ. ჩაფლიაშვილი, ფრ. ხალვაში.

სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება სსრ კავშირის მწერალთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებს და მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ყველა მოღვაწეს.

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა მწერლების ყრილობა შეიკრიბა შესანიშნავ დროს, როცა ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო შევიდა თავისი განვითარების ახალ, უმნიშვნელოვანეს პერიოდში, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ერთუზიანებით იბრძვის იმისათვის, რომ განხორციელდეს სოციალისტური ეკონომიკის, კულტურის შემდგომი აღმავლობისა და აყვავების და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდებული პროგრამა, რომელიც სკკპ XXI ყრილობამ მიიღო. ის, რაზეც საუკუნეობით ოცნებობდნენ კაცობრიობის ყველაზე მოწინავე და ყველაზე გაბედული მოაზროვნენი, ჩვენს ქვეყანაში რეალობა ხდება.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ისტორიული პროგრამა ითვალისწინებს არა მარტო უმაგალითო მასშტაბის პროგრესს ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დარგში, არამედ აგრეთვე ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდას. კომუნიზმს ადამიანები აშენებენ, და რაც უფრო მაღალი იქნება მილიონიანი მასების შეგნებულობა, მით უფრო წარმატებით იქნება ჩვენი წინსვლა. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეში მეტად დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ლიტერატურასა და ხელოვნებას. საბჭოთა მწერლების წინაშე დგას საპატიო ამოცანა — აქტიური მონაწილეობა მიიღონ მომავლის ადამიანის, ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის სულიერი სახის ჩამოყალიბებაში. ისინი მოწოდებული არიან ალაფრთოვანონ ადამიანები კომუნიზმისათვის საბრძოლველად, აღზარდონ ისინი კომუნისტური იდეურობის სულისკვეთებით, ჩაუნერგონ მაღალი ზნეობრივი თვისებები, შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი.

საბჭოთა მწერლების მაღალი მოწოდებაა სიმართლით და მკაფიოდ დახატონ ხალხის შრომითი გმირობის სილაბაზე, კომუნიზმისათვის ბრძოლის გრანდიოზულობა და სიდიადე, იყონ შეიდგლიანი გეგმის მგზნებარე პროპაგანდისტები, მხნეობა და ენერგია ჩაუნერგონ გულში საბჭოთა ადამიანებს, აღმოფხვრან კაპიტალიზმის გადმონაშთები ადამიანთა შეგნებაში, ხელი შეუწყონ ყოველივე იმის აღკ-



ვეთას, რაც ჯერ კიდევ უშლის ხელს ჩვენს წინსვლას. ამ გზაზე გაიზრდება კომუნისტური ნიშნის დიადი ხელოვნება — დიდ აზრთა, მხურვალე გრძობათა და დიად სულის-კვეთებათა ხელოვნება, რომელსაც უნარი შესწევს ახალი დიდი საქმეების შესრულებისათვის. მთავარია კომუნისტების მშენებელი მრავალი მილიონობით ადამიანი.

ლიტერატურის როლი განსაკუთრებით პასუხსაგებია ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. ახალგაზრდობას ესაჭიროება წარმტაცი წიგნები, რომლებიც მას ზრდიან კომუნისტური იდეურობის, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების, მიზნის მიღწევაში სიმტკიცის, შეუპოვრობის სულიკვეთებით, რომლებიც აშუქებენ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომის რომანტიკას, უღვიძებენ შემოქმედების სიყვარულსა და ინიციატივას. ახალგაზრდა მკითხველი მოელის ისეთ წიგნებს, რომლებიც მისი სიჭაბუკის საიმედო მეგობარი, დამრიგებელი და მრჩეველი გახდებიან.

კომუნისტების ლიტერატურა დიადი ლიტერატურა უნდა იყოს არა მარტო იდეური შინაარსის სიმდიდრით, არამედ მხატვრული სრულყოფითაც. დიდ იდეებს მაღალი ოსტატობა ესაჭიროება, გამირულ ხასიათებს — ღირსეული მხატვრული განსახიერება. ხალხს ესაჭიროება ლიტერატურა, რომელიც ზრდის და ასწავლის ადამიანს მხატვრული ხანების სიმართლითა და სილამაზით, სულიერად ამდიდრებს მას, უფართოებს გონების არეს, ხატავს კომუნისტური მშენებლობის პროცესში ადამიანთა შეგნებულობის ზრდას. ჩვენს საზოგადოებას განსაკუთრებით ესაჭიროება ლიტერატურა, რომელშიც თანამედროვეობის აქტუალური თემები მკაფიო მხატვრულ განსახიერებას პოულობენ.

თანამედროვე პირობებში ერთ-ერთი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ოსტატობის სრულყოფა, ნაწარმოებთა მხატვრული თვისებებისადმი მომთხოვნელობის სერიოზული გაძლიერება. ნამდვილი ოსტატობის მიღწევა შეიძლება ხალხის ცხოვრებასთან მწერლის განუყრელი კავშირის საფუძველზე.

სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, ჩვენი გამირული ეპოქა კომუნისტების მშენებლობისა მხატვრული შემოქმედების ახალი უმაგალითო აყვავების უფართოეს პერსპექტივებს ქმნის. იდეების, თემებისა და სახეების დაუსრეტელ სიმდიდრეს აძლევს მწერალს ცხოვრება საბჭოთა ხალხისა, რომელიც თავისი ყოველდღიური გამირული შრომით გარდაქმნის ქვეყანას, ავლინებს კოლხოსალურ ბუნებრივ სიმდიდრეს, აშენებს ახალ მძლავრ ინდუსტრიულ ცენტრებს, ქმნის მატერიალური და სულიერი დოვლათის სიუხვეს, განუწყვეტლივ სრულყოფს ტექნიკას და შემართებით იპყრობს კოსმოსს!

ცხოვრება უცილობელი დამაჯერებლობით გვიჩვენებს სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი პრინციპების ურყეობას, ნაყოფიერებას, სოციალისტური რეალიზმისა, რომელიც სიმართლით და ისტორიულად კონკრეტულად ხატავს ჩვენი ეპოქის მთავარ შინაარსს — საზოგადოების წინსვლას კომუნისტებისაკენ.

სკკ ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და რევოზიონისტების უხეშ გამოლაშქრებათა წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა მწერლებმა დაგვანახვეს იდეური მოწიფულობა, სიმტკიცე და ერთხელ კიდევ ცხადყვეს მჭიდრო შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო, ერთგულება საბჭოთა ხალხისადმი.

ჩვენი პარტია, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს ლიტერატურისა და ხელოვნების როლს საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში და რომელსაც მწერლები თავის საიმედო თანამემწეებად მიაჩნია, პირდაპირ და გულახდილად აკრიტიკებდა და უსწორებდა იმთ, ვინც მერყეობა გამოიჩინა, შეცდომები დაუშვა. ამ პრინ-



ციხულ კრიტიკას, რომელიც ნაკარნახევია ლიტერატურისათვის, მხატვრის შემოქმედებითი ბედისათვის ზრუნვით, დადებითი შედეგები მოჰყვა. კომუნისტური პარტია კვლავაც მუდმივ ზრუნვას გამოიჩენს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. მხატვრის მაღალი იდეურობა, ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, ხალხის ცხოვრებასთან კავშირი, საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა და გრანდიოზულ პერსპექტივათა გაგება საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი წარმატებების საწინდარია. საბჭოთა ლიტერატურის ცხოველყოფილი ძალაა განუყრელი კავშირი კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს.

სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურისათვის ინტერნაციონალიზმის, მშრომელთა ძმური სოლიდარობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ზრდისა და განმტკიცების, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ხალხთა ბრძოლის კეთილშობილურ თემებს.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა კაპიტალისტურ სისტემასთან ეკონომიური შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპში შევიდა. სოციალიზმმა მთელი კაცობრიობის წინაშე გაშალა მშვიდობისა და შრომის დროშა, შექმნა იმის პირობები, რომ საზოგადოების ცხოვრებიდან გამოირიცხოს მსოფლიო ომები, დასახა ხალხის მასების ცხოვრების ყველაზე მაღალი დონის მიღწევის პროგრამა. ამ ბრძოლაში საბჭოთა მწერლების მოვალეობაა ყველა ქვეყნის პროგრესულ მწერლებთან ერთად კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთი შემოქმედებით ახალი სამყაროს ძალების მხარეზე, რომლის გამარჯვება ისტორიულად გარდუვალია.

რეაქციული და აგრესიული ძალები იმპერიალიზმისა, რომელიც თავის მხრის ჩასვენებას განიცდის, ცდილობენ ყოველი საშუალებით შეუშალონ ხელი კაცობრიობის წინსვლას, სოციალიზმის ძალების ზრდას, ცდილობენ ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ისინი ამისათვის იყენებენ სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიურ და იდეოლოგიურ საშუალებებს, ახალი მსოფლიო ომით ემუქრებიან კაცობრიობას. ლიტერატურის უაღრესად ჰუმანური, ყველა ხალხის ინტერესთა შესაბამისი ამოცანაა ამხილოს იმპერიალიზმის ანტიხალხური არსი, მისი აგრესიული პოლიტიკა, ბურჟუაზიული იდეოლოგიების ყალბი ცდები — შეაღამაზონ კაპიტალისტური სინამდვილე. საბჭოთა ლიტერატორების წმიდა მოვალეობაა თავიანთი მხატვრული სიტყვის ძალით ემსახურონ დიად ბრძოლას ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ემსახურონ ჩვენი ახალგაზრდობისა და მთელი ხალხის აღზრდას სოციალისტური სამშობლოს მხურვალე სიყვარულის სულისკვეთებით, იმისათვის მუდმივი მზადყოფნის ხულისკვეთებით, რომ დაიცვან სოციალიზმის ისტორიული მონაპოვარი.

საბჭოთა მწერლები მოწოდებული არიან კვლავაც დაუცხრომლად განანტიციონ მეგობრობა და ძმური ერთიანობა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მწერლებთან, ყველა პროგრესულ ლიტერატორთან, რომელთა შემოქმედება ემსახურება მშრომელი ადამიანის განთავისუფლებას სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, ყოველი დონისძიებით დაუჭირონ მხარი რეალისტურ ხელოვნებას, რომელიც უპირისპირდება უიდეო ფორმალისტურ ხელოვნებას.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საქმიანობის მიზანი უნდა იყოს ლიტერატურის შემდგომი განვითარება და აყვავება, საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი ძალების შეკავშირება, მათი იდეური ერთიანობის განმტკიცება იმ დიადი და პასუხსაგები ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც დასახულია საბჭოთა ლიტერატურის წინაშე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საბჭოთა მწერლების კავშირისა და მხატვრული სიტყვის თვითეული ოსტატის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ ლიტერატურის ახალგაზრდა ძალების აღზრდისათვის, ხელი შეუწყონ ნიჭიერი ახალგაზრდობის ზრდას.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს ვერ არასოდეს არა ჰყოლიათ შეითხველთა, მსმენელთა და მაყურებელთა ესოდენ დიდი აუდიტორია. გაზეთები, რადიო, ტელევიზია და კინო მასობრივი ტრიბუნებია, საიდანაც მწერლის სიტყვას ერთსა და იმავე დროს მილიონობით ადამიანი ისმენს.

იცხოვროს და იმუშაოს ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის — ეს არის საბჭოთა მწერლის უმაღლესი მოწოდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რწმუნას გამოთქვამს, რომ საბჭოთა მწერლები შექმნიან ახალ ნიჭიერ ნაწარმოებებს, რომლებშიც ღირსეულად იქნება ასახული ჩვენი შესანიშნავი ეპოქის სიდიადე, და მსურვალედ უსურვებს ჩვენს სახელოვან ლიტერატორებს დიდ შემოქმედებითს წარმატებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მამია პაჩანიძე

პატარა ზარი

ვუძღვნი ჩემი მშობლების სსოვნას

ვინ გიყიდა — მამამ, დედამ, ვინ და რომელ ბაზარზე?
ვინ ჩაგიდგა ტბილი ენა, ვინ ჩაგიგდო ბაზაზებს?!
ვინ გიყიდა? — იქნებ პაპამ. რად დაჭირდა ნეტავი?
მე გიპოვე ძველ ზანდუკში, არ ხარ ჩასაკეტავი.
დღეს წკარუნობ ჩემს ნებაზე, მყიდველები წავიდნენ,
მათი ფერფლიც ვერ მოგნახე... გახსოვს მათი მწარე ღღე?!
ახ, ამაზე სტირი იქნებ, როცა გაიწვრიალებ,
გული ხან თუ გამიცინე, ხანაც ამიწვრიალე.
ჰაუ, ამ დიდ სამყაროში შენი რეკაც გაისმის,
სიმღერის და იმედების შენც მაჩუქე ხალისი.
მე არც დიდი ფუნჯი მინდა, არც ფერები აისის.
მიყვარს შენი ღამით რეკვა, ყველა დარდებს გავთელავ,
როცა ვხედავ ნაპერწკლებით ბნელს ჭრის ციციანთელაც.
ცაზე მნათი ათასია, ჰა, რომელმა დაჩრდილა?!
ქვეყნად ზარი ათასია, ვინ ეს, ვინ ის არჩია,
შენი ტბილი წვრიალა ხმა, მა, რომელმა დაჩრდილა?!
ჰო, თქვენსავით პატარა ვარ, ელვით შემობწკარული,
იქნებ ჩუმად არ ჩაივლის ჩემი ელვა, წკარუნე.
სიმღერის და იმედების თავს მადგახართ ნათელად:
მოწკარუნე, მოელვარე — შენ და ციციანთელა.

ბევრი პური ღაბვითხემთ

ქალ-ვაყებო, ჩემი სიტყვა მინდა ლამპრად გენთოთ,
და ვინატრე ბრძენის ენა, ძალა მომეც, ღმერთო!
ეჰ, არ ისმენს ჩემს ხმას ღმერთი, არც ყოფილა თურმე,
თქვენ კი ითხოვთ მარგალიტებს...
და სურვილი თუ მე

სურასავით გადამემსხვრა, ხელთ ქვის კენჭი შემრჩა.
ეჰ, რა ვუყოთ, ვინ აღმასს თლის და ვინ მატყლსა ჩეჩავს.



არც ვარ ჭადარმერეული, რომ ჩემს სიტყვას ენდოთ,
და ლექსი რომ თქვენთვის ვებრწე, თქმა ვით გაგიბედოთ?
ეს სიბრძნედ არ ჩამითვალოთ, მე ვინ და ვინ ბრძენი,
სულ პატარა სათქმელი მაქვს, არ გეგონოთ გრძელი,
სულ უბრალო სათქმელი მაქვს, არ გეგონოთ ბრძენი.

დიდება ჩვენს მამა-პაპებს, ცისარტყლები თესეს:
აი, ბარში ვარდი ფეთქავს და ენძელა — მთებზე.
აქ ბალია, იქ ვენახი, ვაზი ვაზს არ ეძებს...
მაღლობა ჩვენს მამა-პაპებს, ჩვენთვის მკვს და თესეს,
ბადეც ქსოვეს შვილებისთვის, რომ დავუგოთ თევზებს.
ზღვა გემებით გადასერეს, რა არ დარგეს ხმელზე,
დაფერფლილი მოვიგონოთ, ცოცხლებს ვკოცნოთ ხელზე.
მამა მიდის, შვილი რჩება, ის აჩაღებს ზეიმს.
ებრძვის ქვეყნის ქირ-ვარამებს, თითქოს აღწევს ზენიტს,
მერე ისიც მიიძინებს... კვლავ ყრმა იწყებს ზეიმს...

მამები რომ არ მდგარიყვნენ მამულის ხარულლად,
დედები არ გარჯილიყვნენ... ნულარ ვიტყვი, ნულარ...
ბევრი პური უთესიათ, და ცოტა კი ქერი,
აბა, ქერი ვის რად უნდა, პური გვინდა ბევრი...
რომ სანთლები თავს დაგადგეთ, მშურდეს ბედი თქვენი,
ქალ-ვაყებო, შვილებმა რომ მოგიგონონ ქებით,
საფლავთ ვარდი დაგაყარონ, არასოდეს ქვები,
თქვენს სამარეს მტვერისაგან ცისმარე რომ ჰგვიდნენ,
თქვენი ტკბილი მოგონებით ქვებსაც ცრემლებს ჰგვირდნენ,
თქვენს გულზედა ოქროს სურით ოქროს წყაროს ცრიდნენ,
სიყვარულის ძეგლს გიდგამდნენ, მკერდებს გიკოცნიდნენ,
ეს უფლება მოიპოვეთ, ცოცხლები ხართ ვიდრე...
რა დიადი, რა გრძელია თქვენი გასარბენი,
მინდა მამულს მოვუხვეჭო მარგალიტი ბევრი...
რომ შვილებმა მოიგონონ სახელები თქვენი, —
ბევრი პური დაგვითესეთ და ცოტა კი ქერი.

შრიალებს მუხა

ამ მიდამოს რომ ჩრდილებს აფენს და ალამაზებს,
აი, ეს მუხა მე დაერგე აქ მამის საფლავზე,
მისი შრიალი მაგიწყებს მე სიკვდილს ამაზრზენს.

შრიალებს მუხა, ჩემი მუხა და სხივებს კემსავს,
მის ლაყვარლებში მზე ნარნარით აღმასებს კვესავს,
სიცოცხლის ჰანგებს აფრქვევს ლაღად და არა კენესას.

შრიალებს მუხა, ჩემი მუხა რტოებწკრიალა,
მე გაფურჩქნილი მუხა მიყვარს (ხმელი კი არა),
სიცოცხლის პიში ჩურჩულით რომ გამიზიარა.

აქეთ და იქით საფლავეებზე ბრწყინავს ქვათილილი,
აქრელებული წარწერებით ამანათივით,
აქეთ და იქით ბიბინებს და ელავს ქათიბი.

მეც კი დავდგამდი მარმარილოს ოქროს წარწერით,
მივხატავდი ჩემი ფუნჯით მამას თმა-წვევრით,
ალბათ ამიტომ შემაქებდნენ ბერიკაცები.

სიკვდილს მაგონებს ეს მღუმარე ქვა და ლოდები,
როცა საფლავეებს დავინახავ, მწარედ ვღონდები,
მე მუხა მიყვარს მზის, სიცოცხლის ცეცხლის მომდები.

შრიალებს მუხა და ფოთლების ხალი მოფინა,
აი ჩიტუნაც და არწივიც აქეთ მოფრინავს...
მამის საფლავეზე დავრგე მუხა
და სხვები სწუხან?!
დაე თქვან ჩემზე — უცნაური კაცი ყოფილა!

ლაზი ხარ, ბიჭო, ლაზი ხარ?

ლაზი ხარ, ბიჭო, ლაზი ხარ? მომხედე, რისთვის გრცხენია,
შენ იკვირტები, მე ლამის ფოთლები ჩამომცვენია.
ბიჭო, ვინა ვარ? მო, გეტყვი: შენი უფროსი ძმა ვარ მე,
ან დამიძახე ბიძია, ან ისე მოდი, ხმა გამე.
ან დამიძახე აშული, ბულბული კი არ შემარქვა.
რასა, რასა მთხოვ, მერცხალო? ეს მთაც, ეს ბარიც შენად ვთქვა.

ჰოი, რა გითხრა მე შენი ბაბუის ბედით დამწვარმა,
რათაო?

აი, ხომ ხედავ, გაღმა მიწა რომ ამწვანდა,
ის ლაზეთია, ბიჭუნავ, ეს სარფი მისი ყურია,
ის შენი პაპის ბუდეა, მისი ნახვა არ გწყურია?
ჰო, ჩემთვის ფიქრი ამაზე ათიათასი წყლულია.

სიო რომ მოჰქრის, ბიჭუნავ, იქედან მონაბერია,
ჰო, შენ რა იცი, ბიჭუნავ, მე მაგონდება ბევრი რამ,
გაიზრდები და მიხვდები, რა ფიქრებს ავუბნევივარ.
მოდი, გაეხედოთ, ბიჭუნავ, აი აფრინდნენ ყორნები...
გარბიხარ? რათა ბიჭუნავ? დედასთან ხომ არ ყოვნდები?
მშობლის აღერსი მოგინდა?

მეც შენსკენ თითქოს ვრბი ჩუმად.

ლაზი ხარ, ბიჭო, ლაზი ხარ? მო, ჩაგეხუტო, ბიჭუნავ!

მე საქართველოს ყოველი მხარე
მიყვარს და ეგზომ მომნატრებია,
დაეხედავ რუკას საქართველოსას, —
ირმები კარზე მომადგებიან.
ჯიხვები კარზე მომადგებიან...
მე წიწამური მომნატრებია
და სავურამო მომნატრებია...

მე წიწამურში როგორ გავივლი,
გულში ცეცხლია ეს წიწამური,
მალლა-მალლა რომ ფანტავს ნაპერწკლებს
და იწვის, იწვის ცაც მეწამული.

მე წიწამურში როგორ გავივლი,
იქ ხომ ილია გამანსენდება,
შუბლგახვერტილი ჩვენი ბუღბუღი,
ასი ჭრილობა იქ გამეხსნება,
მე ერთსაც იქნებ ვეღარ ავიტან...



ქალიშვიკი ზაქარია

უკანასკნელი ბორანი

ძალიან ადრე და უცებ შემოიჭრა წელს გაზაფხული....

კავკასიონის ქედის კალთებზე ნიაღვრებად წამოვიდა გამდნარი თოვლი. ატყდა თეთრი და შავი არაგვი, აიძვრა ლიახვის ხეობა, აივსნენ წყლებით და მტკვარიც აავსეს. ეს მოხდა მოულოდნელად, დღე-ღამის განმავლობაში. მტკვარი ტყვიისფრად აქაფდა, გაშმაგდა. იგი აბორგდა, მეტადრე თბილისთან, როდესაც სანაპიროების დულაბის კედლებში მოექცა. ვერ გადადიოდა მის მაღალ კედლებზე, რომ სახლკარში შევარდნოდა ისნის ძირას, რიყესთან მობინადრე ხალხს. აღარც წისქვილები იყო მტკვრის ნაპირებზე, ჩუღურეთის ხიდან ჩამწკრივებული, რომ, როგორც ძველად იცოდა ხოლმე, მოეგლიჯა და წაეღო მისი ვეებერთელა ბორბლები. მეტეხის ახალი ხიდიც შეურყეველი და გაქვავებული იდგა მორევის თავზე, ვერც იმას დააკლებდა რამეს. მხოლოდ დიდუბეში, დიდმის პირდაპირ, სადაც ახალი ხიდი შენდებოდა, ერთადერთი ბორანი-ლა ბორგავდა შემფოთებულ ტალღებზე. ამ ადგილას მხოლოდ ეს ბორანი იყო ორი ნაპირის დამაკავშირებელი. ძველი მებორნე, ჭარმაგი ვაჟკაცი ფილო ზაზაშვილი, რომელსაც ცხოვრების გარეყრაი მტკვარზე დაეწყო და ბინდსაც იქვე შეესწრო, იღუმაღმა შიშმა აიტანა. რას უქაღდა მის ბორანს ეს სტიქია? ან და როგორ მოქცეულიყო, მოეხსნა ორთაყვირი და ნაპირზე დაემა თავისი ბორანი თუ ებრძოლა მტკვრის ტალღებთან. დაუდგრომლად ემოშავნა და ვადაეყვანა ხალხი ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე?.. მით უმეტეს მოპირდაპირე ნაპირიდან ხელს უქნევდნენ, ეძახდნენ.

— გაგვიყვანე, ძია ფილო! — ისმოდა დაძახილი.

„ეეჰ, ერთხელ კიდევ გავალ და გამოვალ!“ — გაიფიქრა ფილომ და ჭარა უღვაშებზე ხელის გულები გადაისვა. შეხსნა თოვები. აჭრიალდა ბებერი ბორანი, აჩხრიალდა ჯაჭვი და ორთაყვირი ცხვირით ჩაეშვა წყალში. ტალღებმა უცებ ქეჩოზე მოიგდეს ბორანი, შეატეტივეს, მაგრამ მაგარი მკლავი აქვს ფილოს, მტკიცედ უჭირავს ორთაყვირი, თავის ნებაზე არ მიუშვებს მას. მაგრამ წუთიც არ იყო გასული, რომ მტკვრის ტალღები მოგლეჯილ-მოტაცებული ხეებით ეძგვრნენ ბორანს და გაწყვიტეს მავთულ-ბაგირი. ბორანი წყალმა გაიტაცა და ქვევით გააქანა. ფილოს მხოლოდ ორთაყვირი შერჩა ხელში. ის ერთ-

თი წამით შეკრთა, მაგრამ არ შემდრკალა, არ დაბნეულა. ხელი არ შეუშვა ორთაყვირს, რომლითაც მიმართულებას აძლევდა ბორანს. ჯერ კიდევ მძვინვარე იყო ჩელუსკინელთა ხიდი, ჯერ არ მოჩანდა მტკვრის სანაპიროს კედლები. იმდენი ეცადა, იმდენი იწვალა, რომ ბორანი მარჯვენა ნაპირისაკენ მიაგდო. ბორანზე მყოფნი შიშისაგან აკივლდნენ, აყვირდნენ, მეტადრე ქალები. მერე იმავე შიშმა ყველას ენა მუცელში ჩაუვლო. ისინი პირდაპირ თვალებში უქქერდნენ სიკვდილს. მოსახრების უნარიც კი არა ჰქონდათ, არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ.

— ეს როგორ დაგემართა, ფილო, ეს რა მოხდა! — შესძახოდნენ მებორნეს.

ფილო სდუმდა. ხმას არ იღებდა. ბორანი მარჯვენა ნაპირის შორი-ახლო მიიყვანა და მიხვდა, რომ ნაპირთან მეტი დაახლოება აღარ შეიძლებოდა, იყვირა:

— ვისაც ცურვა შეგიძლიათ, გადახტით!

სამი კაცი გადახტა მტკვარში. მათ მაშინვე წაჰბაძა ორმა ქალმა. ისინი ინსტინქტურად გაჰყვნენ მამაკაცებს, ისიც კი დაეიწყებოდათ, რომ ცურვა არ იცოდნენ. ეგონათ ბორანიდან გადახტომა უშველიდათ.

მამაკაცებმა გასცურეს და გავიდნენ ნაპირზე, მაგრამ ქალები იქვე დაატრიალეს ტალღებმა, ჯერ წყალში ჩამალეს და მერე ქვევით, კარგა დაშორებით გააქანეს. მაგრამ ამ დროს ნაპირიდან ორი ახალგაზრდა შეიჭრა მტკვარში და შორიდან მოჩანდა, როგორ ჩაავლეს ქალებს თმებში ხელი და როგორ ეწეოდნენ ნაპირისაკენ.

ფილო არ კარგავდა სულიერ სიმშვიდეს. სწორედ ისე იქცეოდა, როგორც ზღვაში, დაღუპვის პირას მდგომი გემის კაპიტანი მოიქცეოდა. შინაგანად აღვლებულს, გარეგნულად მშვიდად ეჭირა თავი და აწყნარებდა მგზავრებს.

— მდინარებას მივყვეთ, დაგვეხმარებიან, გადაგვარჩენენ! — ეუბნებოდა ხალხს.

დიდუბის ხიდის მშენებლობის უფროსმა, რომელიც ამ დროს ხიდან იდგა. შენიშნა თუ არა ბორანის მოწყვეტა, მაშინვე ტელეფონს მიაშურა. სახანძრო რაზმებსა და მილიციას აცნობა საგანგაშო ამბავი. მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ თბილისის ყველა ხიდან გაჩნდნენ მეხანძრეთა რაზმები.

ხალხი გადმოდგა სანაპიროს ქვის მოაჯირებზე, ხიდებზე, მაგრამ არავინ იცოდა, როგორ უნდა დახმარებოდნენ.

ბორანმა ჩაიარა ჩელუსკინელთა მაღალთაღიანი ხიდის ქვეშ. როდესაც იგი ვერის ხიდს მიუახლოვდა, შემზარავი წუთები დადგა. ათასობით ნემსი ჩხვლელტდა თვითეულ მათგანს, მთელ სხეულში ცივი ყრუანტელი უვლიდათ.

„ვაითუ ხიდის ბურჯს დაეჯახოს ბორანი, დაიმსხვრევა და ველარაფერი გვიშველის!“ — ფიქრობდნენ უსასოოდ.

მაგრამ ფილო ოსტატურად იყენებდა ორთაყვირს. მან მოხერხებულად გაატარა ბორანი ბურჯებს შორის.

შვებით ამოისუნთქა მებორნემ.

— დაწყნარდით, ხალხო! — გაიძახოდა ის თავშეკავებული მღელვარებით. ახლა მარქსის სახელობის ხიდის ქვეშ უნდა გაველოთ. მებორნემ, რომელსაც თანდათან ძალღონე და გამბედაობა ემატებოდა, აქაც გადაარჩინა ხალხი.

ნაკლები ხიფათი მოელოდათ ბარათაშვილის ხიდქვეშ. ხიდს ბურჯები არ



ჰქონდა, დაჯახებისა არ ეშინოდათ. ხიდზე გადმომდგარმა ხალხმა გადამრჩენ წრეები ჩაჰყარეს მტკვარში. ზვირთები ამ წრეებს თავის ნებაზე ატივტივებდა, ხან საით მიაგდებდა, ხან საით. როდესაც ბორანი ამ ადგილს მიუახლოვდა, ბორანიდან ორი კაცი გადახტა მტკვარში. ჩანდა, კარგი ცურვა იცოდნენ. თუმცა კარგა ხანს იწვალეს, ხან ყვინთავდნენ, ხან გვერდით, ხან ზურგზე წოლით, ხან მხარულით. ებრძოდნენ ტალღებს და ბოლოს მაინც ხელი წაავლეს წრეებს.

ხუთი კაციღა დარჩა ბორანზე, მათ შორის ერთი ახალგაზრდა ქალი. ამ ქალს როგორ უნდა გადაერჩინა თავი, როდესაც შიმის ზარს სცემდა მტკვარში ერთი გადახედვაც კი. მან ცურვა იცოდა, ბევრჯერ უცურავანია ზღვაში, მაგრამ სულ სხვაა მშვიდი, სარკესავით აკრიალებული კამკამა ზღვა და გაზაფხულის წყლებით აბორავებული მტკვარი, რომელშიც ამ ქალს არასოდეს ხელიც არ დაუსველებია.

ვერ გადამწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ის მეგობრებს შესცქეროდა, ისე როგორც მეზღვაურებს შესცქერიან ხოლმე, როდესაც გემი იღუპება.

— არ შეგეშინდეს. მარტო არ დაგტოვებ... გადავრჩებით... გადავრჩებით! — ეუბნებოდა მეგობრე ამ ქალს, თვითონ კი თვალი ეჭირა მტკვარზე, ცდილობდა აპყოლოდა მას.

მეტეხის ხიდთან უცნაური გონებაამახვილობა გამოეჩინათ თბილისელ მეთევზეებს. გაეგოთ თუ არა მტკვარმა ბორანი მოიტაცა და ქვევით მოაქროლებსო, წაპოვლოთ თავიანთი დიდრონი ბადეები და მეტეხის ხიდთან მტკვარზე დაემთავათ. აქ ბორანი იმ სახლის კედელს დაეჯახა, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე წყალში აღმართულ კლდეზე დგას. ბორანი შეირყა, შეინჯღრა, მაგრამ მაინც უვნებლად გადაჩა. ერთხელ დატრიალდა და ხიდის ქვეშ მორევში შევარდა. ამ დროს ხიდზე ჩამოშვებულ ბადეებს სამი კაცი ჩაებღაუჭა, ბორანი ფეხებიდან გამოეცალათ. თვითონ კი შერჩნენ ბადეებს. ახალგაზრდა ქალმა ეს ვერ მოახერხა და ბორანზე დარჩა.

მეთევზეებმა ბადეების მალა აწევა დაიწყეს. ბადეებზე დაკიდებულთ წერილი ქსოვილისაგან თითები დაეჭრათ, დაუსისხლიანდათ, მაგრამ მაინც არ ეშვებოდნენ, რადგან ეს ნამდვილად სიცოცხლის შენარჩუნების საშუალება იყო.

ბორანი მორევში ორჯერ თავბრუდამხვევად დატრიალდა და ისევ მდინარეებს წაჰყვა.

ქალი ხედავდა, როგორ თანდათან შემოეცალნენ თანამგზავრები. დარჩა მხოლოდ მეგობრე და თვითონ.

ფიდოს შევიწლო სადმე გადამხტარიყო და გაეცურა. ის თავის გადარჩენას შეიძლებდა, მაგრამ ქალი არ მიატოვა. იქნებ მას ბორნის მიტოვებაც ეძნელებოდა, იქნებ უკანასკნელ წუთამდე ზედ უნდოდა დარჩენა. იქნებ ბორანის დაღუპვასაც სწუხდა, ის ხომ ნამდვილად ამ ბორანზე გაიზარდა, მტკვართან, მტკვრის ტალღებზე?!

უახლოვდებოდნენ სამასი არაგველის ხიდს.

ამ დროს აშენებდნენ ორთაქალის ჰიდროელექტროსადგურს, მაგრამ წყალდიდობის გამო მტკვარზე მუშაობა შეეჩერებინათ. მიწის სამუშაოებს ასრულებდნენ სანაპიროებზე. მტკვარი იტაცებდა ხიდთან ამართული ხარაჩოების ხე-ტყეს და მუშები იქვე იდგნენ, დარაჯობდნენ ხე-ტყეს, რომ მოვარდნილ ტალღებს არ გაეტაცა.

ხიდთან მიახლოებისას ფიდოს ორთაყვირი გადაუტყდა და მთლად უმწყე-

ოდ ღარჩა. ახლა მას მხოლოდ იმის დანახვა შეეძლო. თუ რას დაეჯახებოდა მისი ბორანი და როგორ დაიმსხვრეოდა იგი. გარდუვალი დაღუპვას ელოდა მათ.

ფილომ ტანთ გაიხადა, ფეხსაცმლები გაიძრო და ქალს გვერდში ამოუღვა.

— ცურვა იცი? — ჰკითხა.

— ვიცი!

ამ დროს ბორანი ხიდს ცალი გვერდით დაეჯახა და შეირყა. ის-ის იყო ერთმანეთს უნდა დამორებოდა ბორნის ორი ნაგი, რომ ფილომ ქალს უბრძანა:

— გადმომყეთ!..

ფილომ მტკვარში გადაეშვა, ქალიც მაშინვე გადახტა წყალში. გამოცდილი მოცურავე მიჰყვებოდა ტალღებს, თანაც გვერდიდან არ შორდებოდა ქალს. დროდადრო წააგლებდა ხოლმე მზარში ხელს და ნაპირისაკენ ეწეოდა.

სანაპიროდან ხალხს თოკები გადმოეყარა, მაგრამ ამ თოკებს ტალღები უკან, ნაპირისაკენ ყრიდა. კაციც და ქალიც ლამობდნენ თოკებთან ახლოს მისულიყვნენ, რომ ხელი ჩაევლოთ მათი ბოლოსთვის, მაგრამ ვერ ახერხებდნენ.

— თოკი, თოკი!..

— მანდვეა, მანდვე!..

— ხელი მოჰკიდეთ!.. — ყვიროდა ხალხი, მაგრამ არც ფილოს, არც ქალს არ ესმოდათ.

ქალი წუთით შეაგვლებდა ხოლმე თვალს თოკის ბოლოს. მაგრამ მაშინვე თვალიდან ეკარებოდა, საღდაც შორს ეჩვენებოდა იგი. ყოველგვარ ძალღონეს ხმარობდა არ დაეძლიათ ტალღებს, არ ჩაეთრიათ წყალში. გამდნარი თოვლის ცივი წყლისაგან ხელუბრაბუებული ძლივს ამოძრავებდა თითებს, მაგრამ ერთი რამ არ ავიწყდებოდა, არ შორდებოდა მეზორნეს, მხარდამხარ მიჰყვებოდა მას.

აი, ფილომ თოკს ხელი წაავლო. სული მოითქვა. დასაყრდენი ჰქონდა. მეორე წუთში ქალთან მიცურდა და უთხრა:

— მოკიდე ხელი!..

ქალმა დახედა თოკს და მაშინვე ხელი ჩაავლო.

ნაპირიდან თოკს ეწეოდნენ. ქალიც მიენდო მას.

მტკვარზე გაზრდილი მეზორნე ახლა უკვე გულმშვიდად ებრძოდა ტალღებს, ქალზე ფიჭვი აღარ აწუხებდა.

ისინი უკვე ვადარჩენილი იყვნენ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალმა ფეხქვეშ მიწა იგრძნო, გული წაუვიდა. ხალხი შემოეხვია და აბრუნებდა მას. ისე აირია ხალხი, რომ კაცი, რომელიც მას თოკით ნაპირისაკენ ეწეოდა, ახლოს ვერ მივიდა.

— შინ წამიყვანეთ! — სთხოვა მან სასწრაფო დახმარების ექიმს.

— მისამართი? — შეეკითხა ექიმი.

ქალს კვლავ წაერთვა ძალა. ვერ უპასუხა.

ამ დროს შემოიჭრა კაცი, რომელმაც მტკვრიდან ამოიყვანა, დააკქერდა და იტნო.

— თინა! — წამოიძახა და ექიმს მიმართა, — მე ვიცნობ. მეც წამოგყვებით!..

მანქანაში ჩასვეს და სახლისაკენ გააქროლეს. როდესაც ქალმა თვალი გაახილა, ლევანი დაინახა. არ ეღიმიებოდა, მაგრამ ბაგეების ცალი მხარე აუთრთოლულა, გააგებინა, გიცანიო.



ამ დროს ფილო ნახევრად შიშველი მტკვრის ნაპირზე იდგა და გასცქეროდა ბორანს, რომელიც უკვე ფიცრებად დაშლილი წყალზე ვათანტულიყო. სტანული ეხატებოდა სახეზე... ეს ბორანი ხომ უკანასკნელი იყო თბილისში დიდებიდან ორთაქალამდე?!

* * *

იმ დამეს თინას სიცხე მისცა. აბოლებდა. თავზარდაცემული დედა ცივ ტილოებს ადებდა შუბლზე. მთელი დამე თვალი არ მოუხუტავს. ტუჩებზე დასცქეროდა, რას თხოულობსო.

ძლივს დაილია დამე... ფანჯრებში მკრთალმა სილურჯემ შემოანათა. თითქოს გათენება ხსნა ყოფილიყოს, შევებით ამოისუნთქა დედამ. გულზე მოეშვა თინასაც, სიცხემაც დაუკლო.

შუადღე გადასული არ იყო, როდესაც ფილო მოვიდა. მას ეცვა შავი უბრალო შარვალ-ხალათი, წელზე ქაშარი ერტყა, რომელზეც აქა-იქ ვერცხლის ფოლადები ეკეთა. მან კარებშივე ქული მოიხადა და ისე შემოვიდა.

— მშვიდობა აქაურობას! — წარმოთქვა და თავჩაღუნული გაჩერდა კუთხეში. იქამდე ასე იდგა, ვიდრე არ სთხოვეს, მოზრძანდითო.

— ერთი ი ქალი დამანახვეთ, ასე რომ ვლუპავდი!

ფილოს სახე ჩამოსტიროდა. ისეთი გულამღვრეული მოჩანდა, გეგონებოდათ ამაზე დიდი დარდი ქვეყანაზე არავის არა ჰქონდა.

— ბოდიში, ქალბატონო, ბოდიში!.. — ნაღვლიანად წარმოთქვა ფილომ, როდესაც თინა საწოლში დაინახა.

— რის ბოდიში, ძია, თქვენ კი გენაცვალეთ, თქვენ არ ვადამარჩინეთ, თქვენ არ დამიხსენით?..

— ეეჰ, არა, არა, მე გლუპავდით... მე დაგტანჯეთ ასე... ყველაფერი, რაც მოხდა, სულ ჩემი ბრალია!..

გაუჟვირდა კიდეც თინას, ნაცვლად იმისა, რომ ეს, მისთვის სრულიად უცნობი კაცი, რომელიც უკანასკნელ წუთამდე არ მოსცილებია თინას, გორიზად მოსულიყო და სიცოცხლე დაეყვედრებინა, ბოდიშს იხდიდა, მაპატიეთო.

„ეს ხომ სტიქია იყო?... მაგის რა ბრალია?... რატომ ვკვდებოდი ბორანზე? ის ხომ არ მეხვეწებოდა? რა ქნას მაგან, თუ კი ადიდებულმა წყალმა ბავირი გაწყვიტა და გაიტაცა ბორანი?“ — გაიფიქრა თინამ.

— დაბრძანდით, ძია, დაბრძანდით!..

ფილო ჩამოჯდა.

— დედა, ძიას ღვინო მიართვი.

მებორნე მაშინვე ფეხზე წამოდგა.

— მე კიდეც ღვინო უნდა დამალევინოთ?.. არა, ქაჯან, მე მაგის ღირსი არა ვარ!.. არა ვარ ღირსი და რა ვქნა?... მე იმიტომ მოვედი, რომ გამეგო, როგორ ხართ, ან ხომ არ მიჯავრდებით-მეთქი.

— არა, ძია, პირიქით, მე თქვენი ძლიერ დიდი მადლობელი ვარ!

— ეგრე, ჭირიმე, ეგრე, ნუ გამიჯავრდები!..

ფილო სწუხდა, თავის თავს ბრალს სდებდა... თუ კი გრძნობდა, რომ ბორანის აშეება სახიფათო იყო, რიდასთვის გადადიოდა მტკვარზე? რად აჰყვა ხალხის თხოვნას, რომელთაც არც მტკვრისა ესმოდათ და არც ბორანის მართვისა გაეგებოდათ რამე?... მისი ალაღმართალი გული ვერ მალავდა თავის დანაშაულს, გულმართლად ჰკიცხავდა თავის თავს.

თინამ დედას ანიშნა. პური და ყველი გამოიღეს. ერთი ბოთლი წინ დაუდგეს.

ფიდომ ალაღად დაილოცა:

— ამ ჭერსა და კედლებს გაუმარჯოს, თქვენ რომ წვიმისაგან გითარავენ. ნიაჭარს რომ არ გაკარებენ. დღეგრძელი იყავით ყველანი! — გადაჭკრა და წამოდგა. — ესეც არამია ჩემზე, — ჩაილაპარაკა.

— თქვენც გაგიმარჯოთ, ძია!..

— რაღა გამიმარჯოს, შვილო, დამეღუპა!..

— ვინ?..

— ბორანი დამეღუპა. დაიმსხვრა. იმას ვილა ააშენებ? მორჩა, უკანასკნელი იყო... ისიც გაქრა!.. — ცრემლი მოადგა ფიდოს თვალებზე, თითქოს ძველ მეგობარს დასტირისო.

— ძია, ახალ ხიდს რომ ააშენებენ, იმაზე კარგი ბორანი რაღა იქნება?

— ხიდი კარგია, მაგრამ ბორანი სულ სხვა არის... ის ხიდიც იყო და ბორანიც!

— ერთიც მიირთვით! — შესთხოვა დედამ და კიდევ დაუსხა.

ფიდოს ესიაშოვნა ღვინო, მოეწონა. ბოლოს დაატკერდა, რა ღვინოაო.

— რა კარგი ღვინოა!.. — აღტაცებით თქვა, — რამდენი ხანია ხეირიანი ღვინო არ დამიღვია. რაღაც ნომრები დააწერეს და მოდი გაიგე რას სვამ, ნომერს თუ ღვინოს?!. ისე სჯობდა, როცა ეწერა: „იყალთო“, „ველისციხე“, „საამო“, ჩემს ბაღლობის დროს იყო ასეთი ღვინოები. ეწერა „საამო“ და იცოდი, რომ საამო უნდა ყოფილიყო. აი, ეს ღვინო ნამდვილი საამოა. — და ფიდომ მეორე ჭიქაც გამოსცალა. ახლა წასვლა ეძნელებოდა.

— ძია, მამაჩემი მეღვინე იყო, ღვინის ყადრი ესმოდა!..

— ჰოო, იმიტომაც... შენ არ იცი, შვილო, რა იყო ჩემთვის ბორანი. მე მტკვარი მიყვარს, ძალიან მიყვარს. ვერ გავძლებ უმტკვროდ. ბორანით კი დღემუდამ მტკვარზე ვიყავი. დამღამობით თევზს ვიჭერდი ხოლმე. მტკვრის წყალშივე ვხარშავდი და მშაბიკებს ვუმასპინძლდებოდი. ცოტასაც ვყიდდი. გემრიელი თევზი იცის მტკვარმა, გემრიელი... აი, ერთხელ მე თქვენ მოგართმევთ მტკვრის წყალშივე მოხარშულ მტკვრის თევზს, ნახეთ რა გემრიელია!..

— გმადლობთ. ნუ შეწუხდებით...

— რა შეწუხებაა!..

— იცით, ძია, თქვენ არ გაგიგონიათ, ორთაქალქესი რომ აშენდება, მტკვარი დაგუბდება. მტკვარში ნაგები და კატერები ივლიან. მენავეობა ხომ შეგიძლიათ. თევზსაც დაიჭერთ...

— ვინ იცის ეგ როდის იქნება?

— სულ მალე, ორ-სამ წელიწადში!..

— შენ პირს შაქარი, შვილო...

სიჩუმე ჩამოვარდა. სალაპარაკო გამოელათ. მაშინ ფიდომ მესამე ჭიქა გამოსცალა და დედა-შვილს თავაზიანად დაემშვიდობა.



ნანა გვარამიანი

ორი საქართველო სად არის

7777

ორი საქართველო სად არის,
 ერთია, ერთიან ფიქრები.
 ორი საქართველო არ არის,
 ორგული საიდან ვიქნები?!
 ერთი ხარ, დედაო წმინდაო,
 მადლიან კალთით რომ გამზარდე,
 სულ შენი ღიმილი მინდაო,
 ავიდე, ავმალდე ცაამდე.
 თამარის ციხეო, მოვეყვები,
 შენს კედლებს მივეყრდნო გულითა,
 დედოფალს აქ ერთო ლოყები,
 ყაყაჩოს ნაზ თაიგულითა.
 ლაყვარდით, მის თვალთა სადარით
 ანათებ და ციციანთელობ.
 ორი საქართველო სად არი,
 მითხარი, ზეცაო ნათელო!

მთაწმინდის გზებო

იყვნენ, ცოცხლობდნენ ცამდის მალაღნი
 და აღელვებდათ გზები მრავალი...
 უკანასკნელად მოჰყევით მგოსანთ,
 და გაუთავეთ ყველა სავალი...
 ჰეი, ბილიკა მთაწმინდის გზებო!
 საოცარნი ხართ: სიგრილე გმოსავთ
 ამდენი ცხელი გულების ზემოთ!



ტაძრის თავზე მაღალ ცაცხვებს
აცახცახებთ ფარულად.
შიგ ობოლი კელაპტარი
ცრემლად ჩამოღვარულა.
სადღაც, შორით მოაქვს სიოს
მწუხარ ზართა ჰანგები,
ჩრდილებს მოჰყავთ მეჩუქურთმე
ამ ტაძრის ამგები.
ტაძრის გულში ზის ჯალათი,
ელის ძარღვებს მაჰრიანს.
— კარგი რატომ ავიგია!
ღმერთო! — ხელებს აჭრიან...
ხელებს, ოქროთ შესამკობელთ,
მოაცილებს პატრონი —
და სიჩუმის ანაბარა
ქვაზე დარჩენენ მარტონი...
— ჩუქურთმეგო, შეინახეთ
ჩვენთა ძალთა დიდება! —
შეჰლაღადეს ტაძრის კედლებს
ათრთოლებულ თითებმა.

გალაკტიონის საფლავთან

ახავსებულა საფლავზე ბორცვი,
ოჟალდახუჭულა გვირგვინი ყველა,
აქა-იქ სადღაც გამოკრთის მორცხვი,
ქართან კანკალებს, კრთის კურკანტელა,
თუ სისხლიანი კურცხლის წვეთი?..
შენ, ერთო პეშვო მთაწმინდის მიწავ,
როგორ დამარხე ლექსების ღმერთი?!

ნუ, ნუ ზიკჰიკჰე, პატარა ჩიტო

ალუბლის ტოტზე ყვავილი ბრწყინავს,
უხმობს ჩიტუნებს ჩემთან დარჩითო,
მოფრინდა ერთი, ისე ვით წინათ.
ჰიკჰიკჰე ნუ იწყებ, პატარა ჩიტო!
ჩუ, ჩუმად-მეთქი, ბულბულებს სძინავთ.



ჯამალ ჯაყელი

მ კ ს ა ღ ე ვ ა რ ი

დილა იყო სისხამი და მაკოცხლებელი.

ანეთი დილა მრავალი გასთენებია ზორტიყელის ალბურ თვალუწვდენებს. ბაბუა თენდურაა ამის მოწამე.

სხვებიც არიან...

მაგრამ დღეს სხვაგვარი ელფერი ადევს, საზეიმო.

მუხლის სიმარდე უნდა გამოსცადონ ჭაბუკებმა.

და მოხუცსაც ამან აუჩქროლა სისხლი, ააღელვა.

არაფერიც არ მოხდებოდა, ჯანჯუხას ბიქს ცეცხლი რომ არ წაეკიდებინა ბერიკაცისათვის.

— შენს გასადევარს ყავლი გაუთავდა, ბაბული! — სიყვარულით უთხრა, მაგრამ მერე იგრძნო, რომ მოუტირებლად ჰკადრა.

უთხრა და შევარდენა გააჯირითა.

თენდურამ პასუხიც ვერ მოასწრო, რომ ცხენის ფლოკვეებმა ბული დასდგა სანახირზე.

„ყავლი გავითავდაო...“ და თავის ბედზე ჩაფიქრდა თენდურა.

არ გამიმართლდაო იმედი, ფიქრობდა ბერიკაცი.

ერთადერთი შვილი ჰყავდა და ისიც ომში დაედუპა.

მისგან ბადიში დარჩა — მზიანა.

მზიანა საუნჯესავით უყვარს, ერთადერთი ბადიში.

სიბერის პირობაზე ჭეელივით გაუძღვა ცხოვრებას თენდურა.

და ყოველ შუამთობაზე ზორტიყელშია — ხალხის ზეიმზე.

შეეჩვია ბედს და უვაჟობაზე სამდურავები დაივიწყა.

არა აკლია რა თენდურას ერთის გარდა — მუხლებში ღონე და თვალებში ძველებური, არწივული მზერა.

დღეს ჯირითი იქნებო, უთხრეს და ბერიკაცს გულმა რეჩხი უყო, გაახალისა. ტკბილად გაიხსენა დაოთხილი შიშველი ცხენიდან მოკლეტარიანი ბაზალათი ხეზე ჩამოკიდებულ სანიშნო კვერცხებს ბაწარში რომ წყვეტდა.

მოგონებამ წელ-მუხლში ჭეელის ცეცხლი შეუყენა და გადაწყვიტა საჯირითო გასადევარზე მოულოდნელად გამოჩენილიყო.

შუამთობა იდგა.

ერთგან ჭიბონი კიპკიპებდა და დოლის ბაგაბუგში ხორუმი აღარ თავდებოდა.

სხვაგან გარმონი...

სალამური...

ხალხი, ბევრი ხალხი...

ცეკვა და თამაში...

სილალე და მორცხვობა...

თენდურას თვალეები კი მზიანას დაეძებენ.

„ნეტავ სად არის?“ — ფიქრობს და არავის ეკითხება.

„წუხელ შინ არ ვიყავ, ვაი თუ ეწყინა რამ და არ წამოვიდა შუამთობაზე“...

კვლავ ფიქრობს ბერიკაცი და ათახთახებულ ცხენს ლაგამით იჭერს..

ისევე მხიარულება და ბუბუნი...

— ჯირითი! — ჩაესმა უცებ თენდურას.

დაიჩუტა ჭიბონის გულა.

გარმონიც დაჩუმიდა და სალამურიცა.

ხალხი შეირხა.

ფერდობზე ბებრის ცხენმა დაიჭიხვინა და გადმოეგზნო. ტიტველი იყო ის სატიალე. ფაფარი ნისლისფრად გაწეწოდა და თენდურასაც ფაფარივით გაწეწოდა წვერი.

კორდი გადმოლახეს ცხენებმა და გაიმინდვრეს.

პანტის ძირიდან წეროსავით გაემწკრივენ თვალსაწიერის სანიშნო ბოძამდე.

თენდურას გამოჩენაზე ხალხი აჩოქოლდა.

დედაკაცებმა კმაყოფილებით გაიღიმეს და უკბილო ღრძილები გამოაჩინეს.

— ნენევ, რა ლამაზად მოჯირითობსო, — გაიკვირვეს პატარძლებმა და ქალიშვილებმა.

— თევზის ფხსავით ბებერია, ხმელი და ჯანშემორჩენილიო, — შეშურდათ ხნიერ კაცებს.

მოჯირითებმა პანტის ძირიდან სანიშნო ბოძამდე წრე შემოსწერეს.

ბაბუა თენდურას უკვირდა: სად არისო ჯანჯუხას ბიჭი. დღეს სულაც იმიტომ მოიკრიბა ჯან-ლონე, რომ ეჩვენებინა, ყავლი არ გასთავებოდა...

„რაკი გამოვჩნდი, უნდა გავიძარჯვო“, — გაიფიქრა და ირემას მათრახი მოუტრხია.

— ბაბუ, ჯანში გენაცვალონ ახალგაზრდები! — დასძახა თანამრბოლმა და გაახალისა.

თენდურამ ერთიც დააყიყინა და ირემას მათრახი შეუთამაშა. დააყიყინა და გაჰყარა საწვიმარ ნისლივით ჩამომძიმებული სამოცდათხუთმეტი წელი.

მოულოდნელად ბაბუა თენდურას ქარმა წარსტაცა ყაბალახი. მაშინვე ერთი მხედარი შევარდენივით შეერია მოჯირითებს და ყაბალახი ჰაერში აიტაცა..

— ჯანჯუხას ბიჭია, ჯიმშერაო, — თქვეს.

— რა ლამაზად გადმოსცურდაო, — დასცდა ვილაც ქალიშვილს.

— ისარივითო, — შეეხმინა მეორე.

— შენი ყაბალახი ძირს არასოდეს დაცემულა, ბაბული! — ჰკადრა ჯიმშერამ და ცხენის კისრისაკენ ლამაზად დაიხარა.

თენდურას გაუხარდა ვაჟის მოკრძალება და მადლობის ნიშნად თავი დადრიკა, თან ისეთი თვალებით შეხედა, თითქოს ეუბნებოდა: „ყავლი არ გათავებია, ჯიმშერ! ჩველებში კვლავ ჩველი მგონია თავი, მაგრამ ვხედავ გული მღალატობს, ტიალი...“

გრძნობდა თენდურა, რომ თანდათან გული უსუსტდებოდა, მალე თვალეში გაუწყლიანდა და გულისცემა აუჩქარდა.

მათრახის მომბეზრებელი ტყლაშუნი შემოესმა და ჩამორჩენილს მიხედა.

— ნუ სცემ, ბიჭო, ცხენს, ნუ აბეზრებ, თორემ გიგანებს! — გააფრთხილა ვაფიცვებული ჭაბუკი.

— მისებურ არ მიდის, ბაბუ. მაინცდამაინც დღეს მღალატობს, ეგ სამეგლე! — ბუზღუნებდა ჩამორჩენით შეძრწუნებული ყმაწვილკაცი.

თენდურას ირემა კი ხარირემივით მიგველავდა.

— ჰო, ჰო, ჰო! — ბუბუნებდა ხალხი.

მეცხრედ მორევივით რომ შემოაბრუნეს თვალუწყდენი მინდორი, ჯირითი დამთავრებულად ჩათვალეს.

პაპა თენდურას ცხენმა პირველმა დაასო ქუსლი მიჯნაზე.

მეორე ჯიმშერას ცხენი იყო, ხალხის წინ თქარტნი რომ მოადინა.

შემდეგ მესამე... მეოთხე...

და ხალხმა ბერიკაცი ცხენიდან სიყვარულით გადმოიტაცა.

„ცუდად შექმნილა“, — გაიფიქრეს, როცა ფითრისფერ სახეზე დახედეს.

„ერთხელ კიდევ მოიგონა სიჩაუქე სიბერის ჯინზეო“, — ჩაიჩურჩულეს.

ხელიდან არ გაუშვიათ გამარჯვებული.

ყველას უნდოდა მის ჭათქათა წვერზე მამაშვილური ამბორი, მაგრამ დადლილიაო და ასვენებდნენ.

მიწა იყო მისი გამჩენი და მშობლის კალთასავით კორდზე წაბეჭება ისურვა.

ირემას ვილაცა დაჰყენებდა — ჯირითის შემდეგ არ ჩახამდესო.

ბერიკაცს გულისცემა უფრო აუჩქროლდა, იგრძნო, რომ მისი კუნთებისა და „ნამსხმანის“ სასიცოცხლო მუსიკა თანდათან იშლებოდა.

და წყალი მოითხოვა, იქვე მორაკაკე უსახელო წყაროს წყალი.

მკერდი გაულეღეს და ზედ შეხეფები ასხურეს.

მზიანა სად არისო, იკითხა ოდნავ დამშვიდებულმა.

ყველა გაყუჩდა. თენდურას ცუდად ენიშნა ეს და შუბლი დაინაოქა.

— მზიანა სად არისო, — კვლავ უძღლურად გაიმეორა და მიაყურადა.

ხალხმა თავი დახარა, პასუხმა არ ააღელვოსო.

თენდურამ ძალა მოიკრიბა და შეეცადა უკვე ნახევრად ჩამქრალი თვალეებით მოეძებნა ის.

მის წინ მუხლზე დაეშვა ჯანჯუხას ბიჭი და თავი მოდრიკა.

„მაპატიეო“, — უსიტყვოდ ამბობდნენ მისი თვალეები.

— რა მოხდა, ჯიმშერავ? — მთრთოლვარედ ჰკითხა თენდურამ და პასუხის მოლოდინში თვალეები მილულა.

გასუსული ხალხი შეირხა და შეიშმუშნა, თითქოს ტევრი შეაშრილაო წიკვმა.

— მაპატიე! — მხოლოდ ეს დასცდა ჭაბუკს.

იქვე გაუმართლდა მოხუცს. ბაგეზე იკბინა. საფეთქელთან ძარღვი ებურცა.

„ღიღინანია უყვართო ერთმანეთი“, დასცდა ვილაცას.

ხალხმა ყაყანი დაადასტურა თქმული. თენდურა თითქოს გამოაცოცხლა ამ ყაყანმა, კუნთები დაძაბა და წამოწევა სცადა.

ჯიმშერას თვალით ანიშნა, მომიახლოვდიო. ჭაბუკი მორჩილად მიუახლოვდა და თავი დახარა. მოხუცმა შუბლზე აკოცა და ბაგეებში ჩურჩული გამოეპარა:

„იბენიერთ“...

მზიანას ნახვის სურვილი გამოეხატა სახეზე, მაგრამ აჩქარებულმა გულისცემამ სახე დაუღრიჯა და მოსცელა კიდევ.

ხალხს გმინვა დასცდა.

— მზიანა! — ერთხმად გაისმა რამდენიმე ხმა.

შეკრებილნი თითქოს ცისარტყელამ გააპოო, მზიანა შეიკრა ხალხში და გამზრდელს მიუახლოვდა.

— ბაბული! — წარმოთქვა მან დარცხვენილად.

მოხუცს მხოლოდ ბაგეები აუთრთოლდა.

„ბაბული!“ — შეჰკივლა ქალმა, მაგრამ ამაგდარ გამზრდელს ველარა გააგონა.

ხალხმა კვლავ დაიგმინა.

მზიანა ბაბუას ჩაეკონა და ცრემლად დააღწა.

ჯიმშერამ დარდი ჩაიღო გულში.

თენდურას ცხენი დაზაფრულივით აქიხვინდა. თითქოს ესაყვედურებოდა პატრონს: ნუთუ იმიტომ მაჰკენე, რომ ერთად დაგეხარჯა ძალღონე და სამუდამოდ მიგეძინაო...

— თენდურავ!..

დასცდა ბებერ ჯანჯუხას და ქალივით აქვითინდა — აღარ მყავსო ტოლი.

* * *

თენდურა იქვე დამარხეს, სადაც სული ამოხდა. დამარხეს და ქვაზე დააწერეს: „გამარჯვებული“, საფლავთან ახლოს მორაკრაკე წყაროს კი „თენდურას წყარო“ შეარქვეს ამ დღის სახსოვრად.



ღეჰან გეღაძე

დიღაჭარა

კაცი იყვნენ მოხეტქილნი ხორცით, ჯანით,
კაცი იყვნენ მოსაწონი
მხარით,
ბეჭით,
კაცი იყვნენ მიწის შეკმად დასანანი,
მტკაველ თითებს იმშვენებდნენ ვერცხლის ბეჭდით.
კაცი იყვნენ უშულლონი და პურადნი
ყურებადგე გადავრეხილ უღვაშებით,
ხმალს და ხანჯალს ისე მოლეს-მოპირავდნენ,
რომ დიაცი ჩოხებს ქსოვდნენ მუდამ შვებით.
კაცი იყვნენ
თვალმაძღარნი,
გულსავსენი,
ჩირად უჩნდათ მოყვრისათვის
ოქრო, ლალი,
ტრფობა იყო მათთვის ხატი გულსავსენი,
კერპი იყო მათთვის ქალი.
კაცი იყვნენ, ვით იტყვიან, კაცი მართლაც,
მიწა იყო მათთვის ღმერთი და გამჩენიც,
თუ ისმენდნენ,
თუ გასმენდნენ,
მხოლოდ მართალს,
სიმართლისთვის მორკინალნი და გამრჯენი.
მზის ტრფიალით შერუჯულნი მზისგან შავად,
შავლეგები, კირში მტკიცე, ვით აღმასი,
მტერს შინ მომხდარს გახელებით სცემდნენ ავად,
მათ იცოდნენ მშვიდობის და ძმობის ფასი.
ჰოდა, როცა დაითალხა ერთხელ ზეცა,
როცა მტერი წამოვიდა ერთზე ასი,

როცა ხმალი პეტრას¹ გულში მუხთლად ეცა,
როცა მრავალს ღვინის ნაცვლად შხამი ასვეს.
მაშინ იდგნენ ლომკაცები მტრის წინ კუმტად,
მაშინ ყრიდნენ ცეცხლს თვალთაგან,
ძაღოვანებს მტერი ისევ ბუზად უჩნდათ,
ურჯულოებს მიკაფავდნენ
ხან წინ...
ხან გან...

დიდსულობდა კვლავ სოფელი, იდგა ჯმუხად,
იდგა კენტად დიდსოფელი — დიდაჭარა.
იდგა, როგორც ველად ქართან დიდი მუხა
და ტოტებზე არწივები ისხდნენ ჯარად.
ვერ მოღრიკეს ვერც ყურანით,
ვერც ისლამით,
ამხნევებდა სიო ქართლით მონაბერი.
ბევრმა ფაშამ მოიტეხა წელიც ლამის,
წბილად დარჩა კიდევ ბევრი...
და შეარქვეს გულდიდ სოფელს დიდაჭარა.
ჩემო მხარეც, დიდი იყო ტანჯვა შენი,
ახლა შენს წინ ნათლად მოჩანს დიდი შარა,
ის ვაეობა,
გამტანობა
ახლაც გშვენის.

მ რ ი მ ლ ი

ციკლიდან „ჩრდილოეთის ჰანგები“

მიწას კვლავ სტკივა
ყუმბარებით დახრული მკერდი,
არ შეშრობია პირზე ჯერაც
სისხლი
და ოფლი.
აქ არ ბრძანდება არც ელინთა ომების ღმერთი,
აქ არ ისმოდა
არც ქვითინი შვილმოკლულ მშობლის.
აქ არ ისმოდა უპატრონო მერნის ჭიხვინი,
აქ არ კორტნიდა მხედრის თვალებს მშვიერი სვავი,
აქ არ გაჰქონდა მუხარაღზე გორდას ჭახანი,
არ მოვარდნილა აქ მარტოკა მეგრძოლთა ზვავი.
აქ მოხდა რაღაც
უფრო სასტიკი,
უფრო მძაფრი,
უფრო მაღალი,
აქ დაილეწა უთვალავი შავი სვასტიკი,

¹ იგულისხმება პეტრას ციხე.

რომ შეგვენახა შშვიდობა და აზრი ახალი.
რომ ეზეიმა
ამ სიყვარულს,
ამ გატაცებას,
რომ ეპატარძლათ
ამ გაზაფხულს
და ამ მიმოზას,
რომ შეძლებოდა ჩემს თაობას დავაყვაცება,
მამამ სიცოცხლე
მამულსა
და შეილებს
უბოძა.

გ ზ ა

ნუ გადახვალ, შეილო ჩემო,
ნუ გადახვალ სწორი გზიდან,
მამამ ასე მიანდერძა.
სულ მეგონა,
სულ მეგონა
ეს გზა ჩვენი სოფლის შარა,
სხვა გზა საით გამეგონა,
გავცქეროდი წარამარა.
მამა თვალს არ მამორებდა,
არ იციო: გზა, სავალი,
არ იციო ამა სოფლის,
ასავალი, დასავალი.
და მწყუროდა მალე, მალე,
გავდგომოდი ამ გზას მარტოდ,
ვწუხდი როდის გავიზარდო,
ხანი როდის მომემატოს.
ერთ საღამოს მამამ მითხრა:
„წადი, ბიჭო, ქალაქს ხვალე“,
ლტოლვამ გული გამომიხრა,

მოენატრათ ძილი თვალებს,
ირიყრაყა:
გზა დაიწყო მოხვეული,
მართლა მრუდი,
შიშნაჭამი, დაზაფრული,
ლამის უკან გამოვბრუნდი.
მაგრამ მალე თვით შევიცან,
მამა სხვა გზას მიწალდავდა.
ამ გზას — ბილიკს ის არ ჰგავდა.
ის იყო გზა სიმართლისა,
ნამუსის და ვაყვაცობის.
მივხვდი ამ გზით სიარული,
არ ხვდა წილად მზიდველს ცოდვის.
მივხვდი...
მივხვდი...
ეს გზა არის,
გზა სწორი და გზა ნათელი,
თუ ამ გზიდან გადაუხვევ,
რა კაცი ხარ,
რა ქართველი.



გელა კაკიშაძე

ილარიონის სიხარული

— კაცო, ნუ წაიღე ყურთასმენა ამ ჩოქის ჩხაკუნით. მისწერე იმ ბიჭს წერილი. შაბათს თხუთმეტი გახდება, მისი არაფერი ვიცი. ჯერ იყო და თავი მოიკალი, ბიჭი ინჟინერი უნდა გამოვიდესო. ისიც სამთო ინჟინერიო. გადამიკარგე ბიჭი კლდეებში. ახლა სამი წლის წინ გული მოგაყვანიხა და აღარ დაგავიწყდა. ვინც უყვარდა, ის ითხოვა. ახლა, ნეტა ღმერთი შეგვეწეოდეს და შვილიშვილის ღირსს გაგვხდიდეს, თორემ რა გვაქვს ხმის ამოსაღები. ინჟინერი, ნასწავლი, კარგი ოჯახის შვილი...

— კარგი, კარგი, მინადორა, გეყოფა. ხელი არ შემეშალო. ვიწყებ წერას. მივწერ — დედაშენი ცუდადაა, ცოცხალს ჩამოუსწარი-მეთქი.

— ილარიონ, ბაბანა არ გადამირიო. ორი სიტყვა მიწერე, დედაშენი ჯავრით აღარ არის, სასწრაფოდ ამბავი მოაწვდინეთ-თქო.

— კარგი, კარგი, — დაეთანხმა ილარიონი და წერას შეუდგა. — სალამი შვილებო, — დაიწყო ილარიონმა, მაგრამ ამ დროს კიშკრიდან ხმა მოესმა — ვიღაც მინადორას ეძახდა. ილარიონი იძულებული გახდა წერა შეეწყვიტა.

— თქვენ ნუ წუხდებით. ბატონო ილარიონ, მინადორა ბიციოლა. მინდოდა, სამეზობლოდ შევაწუხე.

ხმაურზე მინადორა ფუსფუსით გამოვიდა აივანზე. გაიხარა თამარის სტუმრობით, რომელმა ქარმა გადმოგადოო, გაეხუმრა მოსულს და სამზარეულოში შეიპატიჟა.

ილარიონს ქალების საუბრისათვის ყური არ დაუგდია, მაგრამ თამარის დანახვისთანავე თვალში ეცა მისი წინ წამოწეული მუცელი. ფართო ტუჩები, საესე გულ-მკერდი, მხედველობიდან არც მისი დატალული სახე გამორჩენია... მწარედ ამოიხვნეშა, „დაილოცა მაგის ჯანიო“, წარმოთქვა და თავის თავს გაეპასუხა: „ერთი ბიჭის მეტი არაფერი გამაჩნია ამ ქვეყანაზე. ის არის ჩემი საფიცარი. ცოლის შერთვა ერთი თვის შემდეგ შემატყობინა... გავბრაზდი. არ შევირიგებ-მეთქი, ვიძახდი, მაგრამ პატარა შვილიშვილები დამიდგნენ თვალწინ და მათი სიყვარულით ყველაფერი დავივიწყე. ამაშიც გავწბილდი. აგერ მესამე წელია და აინუნშიაც არ არის რძალი ბატონი. ამ ქალს კი ექვსი სახლში ჰყავს. ერთი აგერ, ესეც შვიდი. ბედნიერია მაგის, პატრონი ბედნიერი...



განედლა გადაშენების გზაზე დამდგარი ოჯახი. არა, არა, რა ჰქვია ახლა ჩემი სთანა კაცს, ა?.. უიღბლო, ბატონო, უიღბლო“, — დაასკვნა ილარიონმა ოთახში წინ და უკან ნერვულად დაიწყო სიარული.

ის იყო დაჯდომა გადაწყვიტა ილარიონმა, რომ კვლავ მოესმა ჰიმერის ჭრალი. ბროლიამ მაშინვე შეეყვება, მაგრამ უცებ ხმა გავემინდა. „ვიღაც ახლობელია“, გაივლო გულში ილარიონმა და შესახვედრად გაემართა. ხელი მოიჩრდილა. თვალებს არ უჯერებდა — მერაბი და ქეთევანი ნელა მოაბიჯებდნენ ოდისაყენ.

— მამა! — შესძახა მერაბმა და მოხუცებულს გადაეხვია. ქეთევანმაც გადააკონა მამამთილი.

სიხარულით აივსო ოჯახი. მინადორა კითხვას კითხვაზე აყრიდა მოსულებს.

— მოასვენე, ქალო, ნამგზავრები არიან, — ეუბნებოდა ილარიონი და მინადორას თვალთ საშარეულოსაკენ ანიშნებდა.

— სირცხვილი არ ზაჭამო, ქალო, რძალთან. რა გვაქვს და რა გვაკლია.

— მარანში ჩადი, კაცო, უხადი ჭური მოხადე. სხვა ყველაფერი მაქვს ღვთის მოცემული.

მალე ილარიონი მინადორას საგულდაგულოდ გაშლილ მაგიდაზე თამაღობდა და გულით ლოცავდა რძალს და ვაჟიშვილს, თუმცა საყვედურიც უნდოდა ეთქვა ორივესთვის, მაგრამ ქეთევანს არ ეწყინოსო და თავი შეიკავა. ყველა მადიანად შეექცა სადილს, ქეთევანს გარდა. მან მყავე კიტრის ერთი ნაჭერი გადმოიღო, ცოტა კიდევ ცხელი მჭადი და სულგუნი. შემდეგ ბოდიში მოიხადა და მაგიდა დატოვა. არ მოეწონათ რძლის საქციელი მოხუცებს, მაგრამ რა უნდა ექნათ. მანქანამ აწყინაო, ბოდიში მოხადა ცოლს მერაბმა და მოხუცებმაც დაიჯერეს.

დიღხანს აღარ დარჩენილა მაგიდასთან მამა-შვილი. მერაბი ქეთინოსთან გავიდა ოთახში, ხოლო ილარიონი მინადორას ეხმარებოდა სუფრის ალაგებაში. ოთახიდან ქეთევანის ხმა მოისმა. მერაბს უჯავრდებოდა. მაშინვე სმენად იქცნენ მინადორა და ილარიონი, მაგრამ როცა ქეთინომ ყვირილს უმატა, სიჩუმე ილარიონმა დაარღვია.

— შედი, ქალო, და გამოიყვანე ბიჭი გარეთ, ჩხუბი თუ უნდოდათ, საღიყენენ აქამდე.

— მათი საქმე თვითონ უკეთ იციან! — უკმეხად გაუპასუხა მინადორა. მაგრამ ქეთევანი არ ცხრებოდა და მინადორაც გაწიწმატდა.

— გესმის, კაცო, რა ღღეს აყენებს ბიჭს? დედა, ჩემი სიკვდილი. გესმის რას ეუბნება? ფეხს ვერ მოიცვლი სახლიდანო, იჯექი და მიყურეო. ბიჭი რას უპასუხებს, გესმის, კაცო?

— ქეთო, გენაცვალე, გივი მინდოდა მენახა. თუ შენ გწყინს, ფეხს არ მოვიცვლი, დაწყნარდი, სანერვულო რა გაქვს.

— ვაიმე, გული მეხუთება, რამდენჯერ უნდა გითხრა, პაპიროსის სუნს ვერ ვიტან-მეთქი. სულ შენს სიამოვნებაზე ფიქრობ.

— ა, გენაცვალე, ვაგდებ, ფანჯრებსაც გავაღებ. მეტს არ მოვწევ. აწი თუ გაგაბრაზო, რაც ვინდა, ის მითხარი.

— ილარიონ, რაფერ მოუთქავავს ბიჭი, მოუკვდეს ღეღამისი. პაპიროსი არ მოსწიოო, ფეხი არსად გადადგაო, სულ შენს სიამოვნებაზე ფიქრობო. ახლა დაუგდე ყური რას ეუბნება? გესმის, კაცო?!

— მესმის, მესმის, — იმეორებდა გულდამწვარი ილარიონი.

— მერაბ, არ მავოცო! — მოისმა ისევ ოთახიდან. — ლენის სუნი გდის...
“შენს სუნსაც ვერ ვუძლებ... იქით გაიწი... ფანჯარასთან დაჯექი,
— გესმის, კაცო?! — აჩემდებოდა მინადორა ილარიონს.
— მესმის, მესმის. — იმეორებდა ილარიონი და ოთახში მოუსვენრად
დაბორიალებდა.

შუალამემდე ჩურჩულებდნენ ლოგინში მინადორა და ილარიონი. ბრაზო-
ბდა მინადორა, აწყნარებდა ილარიონი.

— არა, არა, ვილაც ქალს ასე ბიჭს ვერ დავაჩაგვრინებ. თუ არ მოსწონს,
ბატონო, გზა ფართოა, მიბრძანდეს, სადაც უნდა... ურთბაშად შხითევის გადა-
ტანა არ გაუჭირდეს. თუ შვილიშვილებით ამავსო? უნაყოფო ხესაც არ გავა-
ჩერებ ეზოში. აწი მე ვიცო მე ვიცო, — იქაღნიდა მინადორა და წაღმა-უჯუღმა
ტრიალებდა.

— ქალო, დაწყნარდი, თავს ნუ მომპკრი, სოფელ-ქვეყანაში კაცი მქვია.
ბიჭი თვითონ არაფერს ეუბნება და შენ რა გაწუხებს. ორ დღეს ვერ გაუ-
ძლებ, ქალო, შვილს და რძალს? გაჩერდი, თვარა წავალ სახლიდან.

მინადორამ მწარედ ამოიხვნეშა. სიტყვა აღარ გაუღია. მთელი ღამე არ
უძინიათ შვილის მწარე ბედზე ჩაფიქრებულ მშობლებს. მამლის პირველ ყი-
ვილზე წამოცვიდნენ, ცეცხლი გააჩაღეს და საქმეს შეუდგნენ.

მოგვიანებით წამოდგნენ ქეთინო და მერაბი. აღარ ჩხუბობდნენ, მაგრამ
რძალი კვლავ უგუნებოდ გამოიყურებოდა. საუზმე ძალად ჭამა და ისევ ლო-
გინს მიაშურა.

მინადორა ვერ ითმენდა რძლის უგუნებობას. ოთახში შევიდა. უნდოდა
დაწვრილებით გამოეკითხა ქეთინოსათვის ყოველივე, მაგრამ საქმე სულ არ
გავაფუჭოო, გავლო გულში და თავი შეიკავა. ერთხანს უბრად იდგა ფანჯარა-
სთან, შემდეგ თავს ძალა დაატანა და მშვიდად დაიწყო:

— მეორე დღეა არაფერი გიჭამია, შვილო. მითხარი რას შეჭამ და უშოვ-
ნელს გავაჩენ...

— რა ვქნა, დედა, არაფერი არ მინდა. ეს ერთი ხანია ცუდად ვგრძნობ
თავს. მერაბსაც უმიზეზოდ ვუხირდებო... ვერაფერს ვჭამ. დღეს კი ასე მგო-
ნია ნედლ კომბოსტოს შევჭამ, ძმარში გაკეთებულს, თუ გაქვთ.

— კი, შვილო. ბოსტანში მაქ ორი ძირი. თუმცა წუხელ გვარიანად თოვ-
და, მაგრამ ილარიონს გავგზავნი და ხელად ამოვადებინებ.

— მეც მოვეხმარები, დედა, — დაეთანხმა მერაბი და წასასვლელად შე-
ემზადა.

დიღხანს ეძება მამა-შვილმა კომბოსტო თოვლში, ძლივს ამოიღეს. მინა-
დორამ სასწრაფოდ დაარჩია და ხარშვას შეუდგა. კომბოსტოს სუნი დატრიალ-
და ოღაში.

— მერაბ, ეს რა საშინელი სუნი მცემს. აღარ შემიძლია, მერაბ, გადაყა-
რე, დედას უთხარი სასწრაფოდ გადაყაროს. ფანჯრები გამიღე. აქ გაჩერება
აღარ შემიძლია. ისული მეხუთება, მერაბ...

— გესმის, კაცო, რას ლაპარაკობს რძალი ბატონი? არა, არა, ილარიონ,
ჩვენ თავს რაცხა დიდი უბედურება. მონუსხულია, ბატონო, მონუსხული.

— მინადორა, ცოტა მაცალე, ქალო, ცოტა მოითმინე, ქალო...

— უიმე, მიშველუთ, გული მერევა — სასოწარკვეთით დაიყვირა ქეთევანმა. — მერაბ, მიშველუ...

— დედა, დედა, კიდევ არ გაგიარა, შვილო, მანქანის ნაწყენმა? — დაიწყო მინადორამ.

— გაუვლის, ალბათ, მალე გაუვლის, — ღიმილით უთხრა დედას მერაბმა და მრავალმნიშვნელოვნად თვალი ჩაუკრა.

მინადორას ყველაფერი გადაავიწყდა სიხარულისაგან. კისერზე ჩამოეკიდა ბიჭს და კოცნა დაუწყო.

— თქვენი ჭირიმი, ორივეს ჭირიმი, ღმერთმა გაგამრავლოთ! — გაიძახო და მინადორა და ტაშტს მოარბენინებდა.

ილარიონს ცოტა ეჭვი კი ეპარებოდა, რძალი ფეხმძიმედ ხომ არ არისო, მაგრამ თქმა ვერ გაეხედა. როცა მინადორას ხმა მოესმა, „ღმერთმა გაგამრავლოთ, შვილებო, სიხარულით კინლამ კარებთან ჩაიკეცა. რაღაც ტკბილმა სითბომ დაურბინა სხეულში. აღარ იცოდა, რა ექნა. ღრმად სუნთქავდა. თვალები სიხარულის ცრემლებით ავსებოდა. „ყოჩაღ! ყოჩაღ, ილარიონ!“ გაეპასუხა თავისთვის. „შენი დამჩაგრავი აწი აღარავინაა ამ ქვეყანაზე. ჩემს ოდაშიც იპიკეციებს ბიჭის ბარტყები“. სასწრაფოდ კარებს მოსცილდა, ოთახში შეიჭრა და სანადირო თოფს მიწვდა. „ისე უნდა ვისროლო, მთელ სოფელში იკითხონ, თოფი იყო თუ ზარბაზანიო“, ფიქრობდა მოხუცი და ზუმპპს მთელი ძალით ურტყამდა ლულაში. ამ დროს ოთახში სიხარულით აცრემლებული მინადორა შემოვიდა.

— ილარიონ, კაცო, სამახარობლო და ისეთ რამეს გეტყვი! — გააგრძელა მინადორამ. — აბა მალე, აბა მალე, ილარიონ, თვარა მგონი ისედაც დავიწყო. — ფართხალებდა მინადორა.

— სამახარობლო? კარგი, — დინჯად წარმოთქვა ილარიონმა და ფეხზე წამოიჭრა. მინადორა მოულოდნელად ილარიონის მკლავებში აღმოჩნდა. ილარიონი თავდავიწყებით დატრიალდა ოთახში.

— აი სამახარობლო, ჩემო მინადორა, დღეს სულ ასე უნდა გატრიალო. ამისდა ოცნება, ხომ?.. აწი მე ვიცი, მინადორა. ბიჭია ხომ?

— გამიშვი, კაცო, ბაღნებმა არ დაგვინახონ, სირცხვილია, ასე რამ გადაგვრია.

— მინადორა, ბიჭია ხომ?

— კაცო, ჯერ არ დაბადებულა და რა ვიცი. ბიჭია თუ გოგო, რომელი გამოცდილი დობტური მე ვარ?

— მაშ არ იცი ხომ? იყავი ასე! — ამბობდა ილარიონი და წრეს უფრო მარდად უვლიდა.

— კარგი, ბატონო, ბიჭია, ოღონდ გამიშვი, რეტი დამესხა, კაცო.

— მაშ ბიჭია, ხომ? გაგიშვებ.. ბიჭი თუა, თოფიც უნდა დავცალო.

— კაცო, არ გაბრიყვდე. სად გაგონილა ამ დროს თოფის დაცლა. ღმერთმა არ გვიწყინოს. — გაგულისდა მინადორა.

— მაშ არ ვარა? ხომ? კარგი, კარგი, არ დავცილი. მეყოლება და მაშინ დავცილი. მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, მინადორა. აბა შენ იცი. ქეთინოს არაფერი აწყენინო. ყველაფერი აუსრულე. გახსოვს მერაბზე რა დღეში გყავდით მე და საწყალი დედაჩემი? ყველაფერს გვიწუნებდი. არაფერს ჭამდი. ასეა, ჩემო მინადორა, მიზეზობა, ასე. რძალს მიხედე, ბიჭის დე-

დას. მე კი ახლა სახლში ვეღარ დავტყევი. ცოტას გავიარ და მალე დავბრუნდები.



თოფი მხარზე გადაიკიდა ილარიონმა და კარები მიიხურა.

ჭიშკრიდან ილარიონის ხმა მოისმა.

— რა გინდა, კაცო, — შეესიტყვა მინდორა.

— თუ ქალი ხარ, სათუთუნე დამრჩა მაგიდაზე და გამომიტანე ერთი.

— ვერ ვნახე, კაცო! — ცოტა გულმოსულად გაეპასუხა მინდორა.

— თუ ვერ ნახე, გაანებე თავი, ერთი აქეთ გამოდი, საქმე მაქვს.

ილარიონს სულ სხვა რამ სურდა ეთქვა მინდორასათვის. მაგრამ ამბავი ასე დაიწყო:

— ქალო, იასონი თუ მოვიდეს ჩემს მოსვლამდე, უთხარი დამელოდოს.

— ამისათვის მომიყვანე, კაცო, ჭიშკართან?

— არა, კიდევ ის მინდოდა მეთქვა, რომ შენ იცი და ქეთინოს უარი არა-ვერზე უთხრა. ბავშვი ხარბი არ გამოვიდეს. ყური უგდე, მძიმე არაფერი აწიოს.

— კარგი, კაცო, გეყოფა. ვითომ მე ოჯახის მტერი ვარ, თუ რაშია საქმე!

— არა, ჩემო მინდორა! ნუ გაჯავრდები. ისე გითხარი, თვარა ჩემი სწავლება რად გინდა! მე მალე დავბრუნდები.

ილარიონი სიხარულით გაჰყვა სოფლის შუკას. მის თვალში ყველაფერი სხვაგვარად მოჩანდა. ყველაფერი ებრალებოდა, ეცოდებოდა. ბოსელში გადაიხვედა. მინდორას დაბმული ხბო დედის ჯიქანს მისწვდომოდა. სხვა ღროს ილარიონი გადახტებოდა და ონავარ ხბოს დედას მოაცილებდა. მაგრამ ახლა ამისთვის არ ეცალა. უჩვეულო ხასიათზე იდგა. „გამოწოვოს, კარგი მოხვერი დადგება“, გაივლო გულში. სიტყვამ „მოხვერი“ სხვაგვარად შეუღლიტინა მოხუც გულში. გზა განაგრძო. უხაროდა, თითქოს დიდი საგმირო საქმე ჩაედინოს.

მეზობლის ეზოდან ბავშვის ტირილი შემოესმა. გული დაეწვა. ბაბუამისი იქვე შემეს ჩეხდა და თითქოს არც ესმოდა ბიჭის ზღუქუნია.

— გამარჯობა, იაგორ! — მიესალმა ილარიონი. — რას ატირებთ, კაცო, ბალანას. მიხედე, მაგაზე უკეთესს ვის მოუვლი. რა არის ჩვენი სიცოცხლე შვილიშვილების გარეშე?! მოუარე, ჩემო იაგორა, მიხედე, თორემ ხომ ხედავ, სიბერე კარზე მოგვადგა და მაგათ ხელთ ვრჩებით. — სიტყვა „შვილიშვილები“ ისე მაღიანად წარმოთქვა ილარიონმა, რომ იაგორას კინალამ გაეცინა, რა ბევრი შვილიშვილის პატრონივით მელაპარაკებო.

— არა უშავს. — ღიმილშერევით უპასუხა იაგორმა. — გაიზრდება და დააფიყდება.

უცებ ილარიონი ეზოში შეიჭრა, მტირალა კახა გულზე მიიხუტა და მოეფერა. ჯიბეში არაფერი აღმოაჩინდა. შეწუხდა. გულის ჯიბე მოსინჯა. სამამა-ნეთიანი ამოიღო და მუჭში ჩაუტენა. — კამფეტები იყიდე, ბაბუ, ამით. აბა გაჩუმიდა ახლა. საღამოს ჩემთან მოდი. მერაბი ჩამოვიდა, შენთვის კამფეტები ჩამოიტანა, მოგცემ. ხომ მოხვალ ჩემთან, კახა?.. მოხვალ?.. — ეალერსებოდა კახას ილარიონი და ფუნჩულა ხელებზე სიყვარულით ჰკოცნიდა.

აღერსით რომ გული იჯერა, ილარიონი ისევ შუკას გაჰყვა. უდიდეს სიამოვნებას გვრიდა სოფლის ირგვლივ ცად ამართული მთების ცქერა. ნანასავით ესმოდა რიონის ჩქერების ხმაური. სიხარულით გაბრუებული მიაბიჯებდა სო-



ფლის ორლობეში. კოლმეურნეობის კანტორის წინ თავმოყრილი ხალხი შენიშნა. გულმა აღარ მოუთმინა. შეიარა. საჭირო საბუთები მისცა თავმჯდომარეს. მალე დავბრუნდებო, დაიბარა და გზა განაგრძო. სოფელს გასცდა. უცებ კურდღელი გადმოხტა ბუჩქიდან. დაუმიზნა, მაგრამ გადაიფიქრა, „კინალამ შევეციდო,“ ჩაილაპარაკა და გზა განაგრძო. „გაიხაროს, გაიხაროს, ჩემი ბიჭის სახელზე, დღეს სისხლს როგორ დავიდე ვალად“, ბუტბუტებდა თავისთვის. გორაკის თავს ისე მოექცა ილარიონი, რომ ერთხელაც არ დაუსვენია. ჩამოკვდა. სოფელს გადახედა. უცხოსავით აკვირდებოდა ყველაფერს. თეთრ ზეწარ-გადაფარებული სოფელი ულამაზესად ეჩვენებოდა. დიდხანს ტკებოდა სოფლის ცქერით. მერე თავქვე დაეშვა. ეკალ-ბარდს მძივებივით დაკიდებულმა წითელმა ჩიტკაკალამ მიიქცია მისი ყურადღება. ბავშვობა მოაგონდა. „დაეკრეფ და ჩემი ბიჭისთვის წავიღებ“, გაივლო გულში, მაგრამ მინადროას სიტყვები ჩაესმა: „არ ვარგა, ღმერთმა არ გვიწყინოს“, და თავი შეიკავა. გზა განაგრძო. მადლობას უხდოდა ირგვლივ ყველაფერს.

სოფელს რომ მიუახლოვდა, სიმღერა შემოესმა. ახალგაზრდები ხმაშეწყობით მღეროდნენ. სიმღერა მისი მეგობრის სახლიდან გამოდიოდა. მიხეილმა არ დამინახოსო და გზის პირად ჩამწკრივებულ თუთის ხეების გაფორჩხილი ტოტების ამოფარებით გზა განაგრძო. მაგრამ აივანზე ღვინის ჩამოსასხამად გამოსულმა მიხეილმა მანაც შენიშნა მიპარვით მიმავალი ილარიონი. სასწრაფოდ ჭიშკართან გაჩნდა და გაჯიუტებული მეგობარი ძალით შეიყვანა სახლში. ქალაქიდან ჩამოსული მოყვრები გააცნო და თამადის გვერდით საპატიო ადგილზე დასვა.

ღიღინით გასცდა ილარიონი მიხეილის ჭიშკარს. ზამთრის ცივი ქარი სამოდ ელოლიავებოდა გახურებულ შუბლზე.

ქარის ზუზუნში ილარიონს მინადროას სიტყვები ჩაესმა: „ხელს არ გადაყვე, კაცო, მალე მოდი სახლში“. ღიმი მოეფინა სახეზე. „გადავეყვი, ჩემო მინადროა! გადავეყვი, მაგრამ ვიცი მაპატიებ დღეს“... ღვინო გვარიანად გასჯდომოდა მოხუცს. ფეხი გადადგა. დაბარბაცდა. „არაფერიო,“ ჩაილაპარაკა და სიმღერა წამოიწყო: „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“. ხმას აუწია, მაგრამ თითქოს სიმღერა აუკრძალესო, ხმა გაკმิดა. სიტყვა „ნუ მომკლავ“ აეკვიცა ილარიონს. „ვინ უნდა მომკლას ახლა მე, ა... ვინ უნდა მოკლას ილარიონი — ბიჭის ბაბუა, მერაბის მამა, ყველასათვის კარგის მსურველი და მოსიყვარულე? არავინ... არავინ...“ მძიმედ ჩაილაპარაკა და ფეხს აუჩქარა:

შუა ეზოში შედგა ილარიონი, კარგად დააკვირდა აივნის ბაწარზე მოფარფატე საგანს. სიხარულმა გადაურბინა ილარიონს სახეზე. „ბიჭის პერანგი“... გაივლო გულში და სიხარულით აირბინა აივნის კბეები. ახლოს მივიდა. დააქქერდა ფოთოლივით მოცახცახე საგანს — გაეცინა. ნადუღის საწური გაეფინა მინადროას გასაშრობად. რა დროს პერანგიაო, გამოერკვა ილარიონი და ოთახისაკენ ბარბაცით წავიდა.

მინადროას არ ეძინა. ბუხრის პირას ხელსაქმით ირთობდა თავს ქმრის მოლოდინში. ხმაური მოესმა. სასწრაფოდ კარები გამოაღო. ილარიონი ისე მძიმედ შევიდა ოთახში, თითქო ბუთხუზა ბიჭი ჰყოლოდა გულზე მიკრული. უხაროდა... ფეხები აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ კვლავ გარეთ სიარული უნდოდა.



შაქვა ამისუდაშვიდი

ზვავი გადმოსკდა

— ზვავი გადმოსკდა, ლაშარის ჯვარმა! —
ხმა დაიბოხა მწყემსმა ფოცხვერამ;
გადააბოტა დათოვლილ ჯაგნარს
და მუხასავეთ დადგა ბორცვზედა.
— ზვავი გადმოსკდა, ლაშარის ჯვარმა!
ქუხილი მისი

გესმის, ბარელო?!
გულში ნურაფერს ჩაიდებ ჯავრად,
თუ რამე გსურდეს, დააბარეო!..
— ზვავი გადმოსკდა! — იტყვის მესამედ
და თან მამხნევებს ყინვით დაზაფრულს:
— ფიქრი ნულარ გაქვს, შენი კენესაშე,
ახლა კი მალე ვნახავთ გაზაფხულს.
მე ვეუბნები, ჩემო ფოცხვერავ,
ჩემთვის ენაქელა ახლა ცოცხლდება...
გიკვირს?.. რა ცივად უცქერ ქვეყანას,
არ გყვარებია ქვეყნად მზექალა?!
შემოიფშვენი, ულვაშზე ჭირხლი,
გათალე ჩქარა უნაგრის ტახტა,
ეზოში ცხენმა უმატა ჭიხინს,
მონატრებია გარსაკრის ბალთა.
გათალე ჩქარა უნაგრის ტახტა,
შემადგმევიწე უზანგში ფეხი.
დაუბერტყია ფიფქები ზამთარს
და ყვავილებად მოუსხამს ხეხილს.
დაუბერტყია ფიფქები ზამთარს,
ღრუბლებიც ხრამში ჩაუფანტია,
ამაღამ ერთად ვიაროთ მთა-მთა,
ულელტეხილზე შევხვდეთ განთიადს!..

— ჩქარობ, ჰაბუკო, ლაშარის გვარმა,
 რასაც შენ ამბობ, არ ღირს მოცდენად.
 გზა ჩაგლიჯაო დაძრულმა ზევამა! —
 ნიშნის მოგებით მეტყვის ფოცხვერა.
 — გზა ჩაგლიჯაო დაძრულმა ზევამა,
 ქუხილი მისი გესმის, ბარელო?!
 გულში ნურაფერს ჩაიდებ ჯაგრაღ,
 თუ რამე გსურდეს, დააბარეო!..

მეტეხის ახლო

მეტეხის ახლო დაეცა მეხი,
 ბოლი ადინა ახალ ბალავარს.
 მალე ბრძანება გაისმა მეფის:
 — დამსახლებელი აქ აღარა ვარ.
 წაიღეთ უკან დათლილი ქვები,
 სახარაოე ხე და ფიცარი.
 სხვა არაფერი არ მინდა თქვენნი,
 ისნის უბნიდან მიხმეთ მისანი!
 ეშმაკმა უწყის, რა თქვა მისანმა,
 ბედის მომჩივანს ეახლა როცა...
 ეს კია, მეფე მთლად შეიცვალა, —
 და მოჰყვა იგი ცრემლიან ლოცვას.
 — მეფეო, მეხი მუხის მტერია
 და შენც ხომ ჯიში მოგდამს მუხისა.
 რაც მოხდა, მოხდა! არაფერია,
 ნუ მოიქუფრავ სახეს მწუხრისად! —
 ასე ხარჯავდნენ დარბაისლები
 დამამშვიდებელ სიტყვებს ხმატკბილად,
 და მაინც გული დანაისრევი
 ვერ გამოსტაცა მეფემ სატყვიარს.
 ცდებოდნენ... მუხა მეფე კი არა,
 ო, საქართველო იყო ყოველთვის.
 მის გულს რამდენი სწევავდა იარა,
 ჰბუგავდა ცეცხლი უდაბნოეთის?!
 გინ ჩამოთვალოს ჩამოსათვლელი,
 ანდა, რაც ვთვალეთ, ისიც ხომ კმარა.
 განა ტყუილად ამბობს ქართველი:
 — მუხა მუხადვე რჩებოდა მარად!..
 რამ აატირა მეფე მწარე ხმით,
 ნუთუ პატარა უბრალო მეხმა...
 მაშ, ისტორიის მეხით დამეხილს
 თვით საქართველოს რა უნდა ექნა?!



ღუკმითხან კოჰადეითხილი

საუბარი წყაროსთან

პაწაწინა,
მთის ანკარა წყაროვ,
წუთით შესდექ,
სათქმელი მაქვს,
გეტყვი:
წყაროვ,
უწყინარო,
შენებრ ცელქს და
მოუსვენარს
ერთ გოგონას ვებრფი.
წუთით შესდექ,
მოგეხვიო მინდა,
მთის ასულო,
ლაყვარდივით წმინდავ.
იმ გოგონამ გული
ჩამომიდნოს ლამის,
შენებრ გარბის ისიც,
არ ჩერდება წამით.



ლუბა მარიალევნიძე

უღიმილო

„იდეა მაინც გაიმარჯვებს!“

საშა წულუკიძე.

... და არასოდეს არ გაუღიმიო მას!..
არავინ იცოდა რა იყო მიზეზი...
სინარტულის დროს მხოლოდ თვალი აუმზიანდებოდა და ბაგე აუცახცახ-
დებოდა.

უღიმილო უწოდეს მეგობრებმა თავიანთ გულში. ხმამაღლა კი ვერავინ
გაბედავდა ამის თქმას.

ბავშვობის მეგობრებსაც კი მიავიწყდათ ომარის ეშხიანი ღიმილი, მხი-
არული ხასიათი და გულგაშლილობა.

ჰო, არასოდეს გაუღიმიო მას...

არც არავინ იცის რატომ...

ციმბირი...

სიჩუმე სამარისებური, როგორც იტყვიან უღიდესი სიჩუმის გამოსახატა-
ვად, მაგრამ ამ შემთხვევაში ესეც ვერ გამოხატავს სრულად იმ სიჩუმეს,
რომელიც ციმბირმა იცის. მას შეიძლება მხოლოდ ციმბირული სიჩუმე ეწო-
დოს.

ღიდიხანია მიიძინა ქურასთან ტყავებში გახვეულმა ნალბანდმა...

პატარა ბიჭი კი თვით ქურაზე მოთავსდა. კარგა ხანს იტრიალა, რადგან
ცხელი ქურა გვერდებსა სწვავდა; შემდეგ თანდათან მოითენთა და ის იყო
ტკბილ ძილს უნდა მისცემოდა, რომ კარებზე რაღაცამ ბრაგვანი მოადინა.

შეკრთა პატარა ბიჭი... ნალბანდი მადიანად ხვრინავდა.

ბრაგვანი აღარ გამეორებულა, მხოლოდ კარებიდან კედლის საათის ქან-
ქარასავით ფრთხილი რაკუნის ისმოდა...

გაიტვრინა პატარა ბიჭი... შეშინდა, ხმას ვეღარ იღებდა. ვერც ქურიდან
ჩამოსვლა გაეხებდა, რომ მამა მუჯლუგუნით მაინც გაეღვიძებინა....

კარებიდან კი განუწყვეტლივ ისმოდა ძლიერ, ძლიერ ფრთხილი რაკა-



რუკი... მერე სიჩუმე ჩამოვარდა და საშინელი ოხვრა მოისმა. პატარა სასოწარკვეთით შეჰკვივლა...

ნალბანდი შემოფოთებით წამოვარდა. დანახა თუ არა მოცახცახე ბავშვი, გაოცდა — რა უნდა მომხდარიყო!.. ისევ მოისმა ოხვრა და ნალბანდი მიხვდა, თუ რამ ააცახცახა ბავშვი...

კარებთან თამამად მივიდა, მაგრამ ისევ შედგა.

არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა მის სანალბანდოს ესტუმრებიან ხოლმე ამ დროს, მაგრამ ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა აუწიოკებით ნალბანდი — აქაო და გაქცეულებს მალავო.

მდუმარედ იდგა კარებთან ნალბანდი... მერე ჩაახველა... კარებს გულგამგმირავი ოხვრა ამოჰყვა — ეს ოხვრა მარტო ტანჯვას კი არა, სიზარულსაც გამოხატავდა....

ახლა კი გამოელაპარაკა კარებს ნალბანდი...

მხოლოდ ხრილმა უპასუხა...

რამდენჯერმე განმეორდა ასე და ნალბანდმა ურდული გამოაცალა კარებს. ალაგვზე მოჭრილი მკლავი გაიშხვართა, უსისხლო, თითქო სანთლით ხელოვნურად გაუკეთებიათო...

შეძრწუნდა ნალბანდი. მის წინ ბრგე ვაჟკაცი ეგდო თავისსავე მოკვეთილი მკლავით...

„ალბათ ვერ გაიმეტაო უბედურმა მგელთათვის“, გაიფიქრა მან და სანალბანდოში შემოათრია ვაჟკაცი...

პატარა ბიჭმა ქურა გააჩაღა, ნალბანდი კი უცნობის მოსულიერებას შეუდგა — არაყით დაუზილა სახე და ხელ-ფეხი. შემდეგ პირი გაუხსნა და თითით ჩააწვეთა არაყის რამდენიმე წვეთი.

უცნობმა ტუჩებს ლოკვა დაუწყო. მერე თვალი გაახილა, ნალბანდის დანახვაზე შეშლილივით გაიღიმა, ისეთი ღიმილით, რომლითაც ვერაოდეს გაიღიმებს ადამიანი...

... და როცა ნალბანდის კარადა სრულად გასწმინდა სანოვავისაგან, პირველი სიტყვისთანავე ძირს დაემხო.

— გიორგი!..

ძახილი კი არა, ბღავილი იყო უცნობის მიერ წარმოთქმული ეს სახელი.

პატარა ბიჭმა მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ უცნობს სამი ხელი ჰქონდა — ორი თავისი, ერთი კი მოკვეთილი და მაჯაზე მიჯაჭვული, ალბათ, ხუნდით...

ეს ხელი ნალბანდს უცნობის მხრიდან ეგონა ჩამოცელებილი. დიდის წვლების შემდეგ დაამსხვრია ნალბანდმა ბორკილი...

უცნობი პატარა ბავშვივით იხუტებდა მეგობრის ქარვასავით ყვითელ ხელს. დასტიროდა იმ საშინელი ტირილით, იქ, შორს, კოლხთა მხარეში რომ იცინა ხოლმე...

ნალბანდმა უცნობის თავთან დაიჩოქა და მშობლიურად დაუწყო დაწყნარება. იქვე პატარა ბიჭი ქვითინებდა, ქვითინებდა გულამოსკვნილი...

ვინ იცის, რომელს დასტიროდა შვლის ნუკრივით უცოდველი ცრემლებით: — იმ ვაჟკაცს, რომელიც ახლა მის წინ თავდაღმა ემხო და მიწას ჩაღმურდა, თუ იმ მკლავის პატრონს, რომელიც მისსავე წინ ეგდო ნახევრად, ნახევრისათვის კი უცნობს დაეკონებინა სახე და ცხელ კურცხალს აფრქვევდა ზედ... მერე როგორც დიდი ქეჩა-ქუხილი, ერთბაშად მიყუჩდა...

მოთენებულები უკვე, როცა სანაღბანდოდან გამოვიდნენ. პატარა ბიჭი
შან უკან მისდევდა ნაგეშ ფინიასავით, ხან წინ გაუსწრებდა...

არე-მარე თოვლის ქათქათა სუღარაში გახვეულიყო.

მღუპარებს მათ ფეხთა ქვეშ ჩამტვრეული ყინულის ჩხრიალი თუ არღვევდა მხოლოდ.

უცნობ ვაჟკაცს თავი მხრებში ჩაერგო, არწივი რომ ფრთებს აიჩჩინავს
ხოლმე, იმგვარად.

ბევრი იხეტიალეს.

გადამუადლებული იყო, როცა ერთგან შედგა უცნობი, მეძებარივით მო-
ყნოსა ჰაერი და მარცხნივ გადაუხვია. ფეხს თანდათან აუჩქარა, აძუნძულდა,
ნერე კი სირბილით გაქეპანა...

ნაღბანდი და პატარა ბიჭიც დაედევნენ.

უცებ ვერცხლის ქოლგასავით გაშლილ ხესთან შედგა, რომელსაც ყინვის
ლოლუები ჩურჩხელებივით დაჰკიდებოდა, და მოწყვეტილი დაემხო ძირს.

უმალ ნაღბანდიცა და პატარა ბიჭიც იქ გაჩნდნენ.

მათ წინ ადამიანის გვამი ეგდო მთლად გაყინული...

ნაღბანდმა მიწა ამოთხარა და უცნობი წამოაყენა, რომლის წამწამე-
ბიდან ცრემლები სანთლის წვეთებივით ჩამორბოდა შემოდგომის ფოთლის-
ფერ ლაწვებზე...

ლევა ღრუბელივით მგლოვიარე უცნობი დასჩერებოდა მეგობრის ცხე-
დარს, რომელიც დაჩუტული, დამდნარი თვალებიდან ისე იცქირებოდა, თით-
ქო უსაყვედურებდა:

— რად მიმატოვეო, რად, მეგობარო!..

და ქვითინებდა უცნობი. ქვითინებდა იმდარად, შორს, კოლხთა მხარეში
რომ იციან ხოლმე ქვითინი...

ახსოვს უცნობს, ოთხიოდე დღის წინ (ჰო, ალბათ, ოთხიოდე დღის წინ,
რადგან მას შემდეგ მესამედ გათენდა, მისი მეგობრისათვის კი მხოლოდ ერთ-
ხელ) გიორგიმ ძალისძალად რომ გადმოაგდო მარხილიდან ომარი, ბარემ მგლე-
ბის კერძი გავხდეთო, თუ თავს ვერ დავადწვევთ, ბრძოლაში მაინც ამოგვხ-
დებო სული... მარტოდ დარჩნენ ხელ-ფეხში ბორკილებგაყრილი შორეული
ციმბირის ჟანდარმის გულივით ცივი ცის ქვეშ...

ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ მაინც ვერ გაითავისუფლეს ხელი ბორკილისა-
გან. ერთმანეთის ხელზე იყვნენ მიკრულნი... მცენარეთა ძირებს ღეჭავდნენ
შიმშილით გააფთრებულნი მთელი დამე.

გამთენიისას გიორგის ოხვრა აღმოხდა და სუსტი, ძლიერ სუსტი ძახილი
გაისმა: „დე-და“!..

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ მეგობრის ხმა აღარ სმენია ომარს... მის გა-
ციებულ სხეულს დასტიროდა...

თავისთავსაც დასტიროდა მაშინ ომარი, მარტო რომ დარჩა შორეული
ციმბირის ცის ქვეშ.

მთელი დღე ათრია მეგობრის გვამი, თანდათან სუსტდებოდა, დაჩოქილი
მიფოფხავდა ზურგზე გიორგის გვამით; მუხლის თავები და ხელები დაუსკ-
და. სისხლი სდიოდა ფრჩხილებიდან. მაჯა ბორკილმა დაუფლითა, რადგან გი-
ორგის მაჯაც ზედ იყო მიკრული და, როცა მთელი დღის ნაბობღავსა და ნა-

ტანჯს ამ ქოლგასავით გაშლილ ხის ძირას შემოალამდა, ყინვის ლოლულებს
ვერცხლის ჩურჩხელებივით რომ ჩამოკიდებია, გადაწყვიტა მიეტოვებინა მე-
გობრის გვამი, მაგრამ, როგორ...

საქართველო
შენათავისუფლებ
საქართველო

ბორკილს კბილით ხომ ვერ დაამსხვრევდა...

და სწორედ მაშინ... და სწორედ მაშინ...

აღარ ახსოვს ომარს, როგორ ააჭრა მეგობრის უსისხლო გვამს მკლავი... და აღარ ახსოვს ომარს სხვა რამ, გარდა ორთავიანი არწივისა, რომელიც მრისხნანე კერპივით გადმოსდგომოდა თავს ვეებერთელა ქვეყანას... და აღარ ახსოვს ომარს სხვა რამ, გარდა შურისძიებისა, იმ შურისძიებისა, რომელსაც ამ დამსკლარ-დასისხლიანებული ფეხებით უნდა გაესრისა ორთავიანი არწივი...

და, როდესაც მეგობრის ცხედარი მიწას მიაბარა, წყნარად და სიმტკიცით, ქართულად წარმოთქვა:

„იღეა მაინც გაიმარჯვებს, გიორგი!“

რა იცოდა უცნობმა ვაჟკაცმა, თუ სწორედ იმ წუთებში ამ სიტყვების ავტორი, იმერეთის სამაისო-სადედოფლო ქალაქში, ზვირთაგორებულ რიონის მარჯვენა ნაპირის მახლობლად სამუდამოდ ეთხოვებოდა სიცოცხლეს და მისი ქლექიანი, გაცრეცილი ბაგე უკანასკნელად რწმენით იმეორებდა:

„იღეა მაინც გაიმარჯვებს!“.



ზუკაბ გორგინიაძე

გზად ლეკი შემომეყარა

გზად ლეკი შემომეყარა
ფაფარაწეწილ თეთრონით,
თუმც პირზე ვარდი ეყარა,
მაინც შევეტოკდი, შევეთროლდი.

თითქოს მომდევდა დაგეშოილს
ცხელტყვია დაუხარჯავი,
სისხლი აჯანყდა ძარღვებში,
ვადა მოვსინჯე ხანჯალის,
ვადა მოვსინჯე ხანჯალის,
გულმა ნაღმივით იფეთქა,
ლეკიო, ტაშით, ტკარცალით
ჩაიშრიალეს იფნებმა.

ლეკიო, ძველი დარდებით
ჩამჩურჩულებდნენ ალვები,
ყანის პირს, როგორც ვარდები,
დასხდნენ ლამაზი ქალები,
ჩენი ლამაზი ქალები,
ზოგი მორცხვი და თავნები.
ლეკს რისთვის არ ემალებით, —
მათ უწყრებოდნენ ალვები.

უნდოდათ ჩემი დაცემა
და ჩემი მიწა დაცოფეს,
აქ თურქი მესხეთს მტაცებდა,
იქ ლეკი — დას და საცოლეს.
დღეს ლეკი შემომეყარა,
გული გახურდა ვით თონე.
ძმასავით შემოვეგებე

და ბნელ წარსულსაც ვიგონებთ.
მთას გავყურებდით მოვერცხლილს,
ტვერმა საირმე მოღობა,
დაი მთხოვა და მივეცი,
როგორ დაეუწლი მოყვრობას!..
როგორ დაეუწლი მოყვრობას
ვაყვაცს აშუღის ნაშიერს,
ხმალი ხმაღს როცა დაშორდა,
გული გულს დაეუკავშირეთ.
ჰეი! დაღესტნის ირემო,
გულს ცისკარივით გაგიღებ,
ჩვენ გვახსოვს ჩვენი ხმღის გემო,
ღღეს სუფრის გემო გამიგე.



გიორგი ურუშაძე

ქიკვიძის მეზობელი

(მომგონის დღიურიდან)

1942 წლის შემოდგომა...

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეები...

ჩრდილოეთი კავკასია...

ქალაქი გროზნო მრისხანედ გამოიყურება. იგი სამხედრო ბანაკადაა ქცეული, დიდრონი ქარხნები და საცხოვრებელი სახლები გარინდულან; ქალაქის გარეუბნები სანგრებიტაა გადასერილი, აღარ გრავანებენ, დაზგები, მზოლოდ სამხედრო მანქანების გრუხუნი ისმის.

ჩვენს ნაწილს ნაბრძანები ჰქონდა დილით შეტევაზე გადასვლა.

პოლიტხელ თედო კასრაძესთან ერთად მებრძოლებს ჩამოეუარეთ. დამდებოდა. მთავარსარდლის ბრძანების შესასრულებლად ემზადებოდნენ. სანგრებშიც გაეჩინათ საზრუნავი: იარაღს წმენდნენ და საბრძოლო მზადყოფნას აზუსტებდნენ. ზოგი ნაღმსატყორცნისა თუ ტყვიამფრქვევის ირგვლივ შეჯგუფულიყო. კამათობდნენ. უმცროსი მეთაურები ჩვენი მიზნობებისას პატაკს გვაძლევდნენ.

სანგარში ერთ მებრძოლს აირწინალი თავქვეშ ამოდო და განმარტოებით მხარტეძოზე წამოწოლილიყო.

ახლოს მივედით, მივესალმეთ და სადაურობა კვითხეთ. იგი წამოიჭრა, საყელო შეისწორა და მოგვესალმა.

— ქუთაისიდან ვარ, გაბო წიქორია, — გვიპასუხა.

— ოჰო, ვასილ კიკვიძის მეზობელი ყოფილხარ, ძმობილო, — ღიმილით თქვა პოლიტხელმა.

— კი, ჩვენი ვასოსი... მაგრამ...

— მაგრამ რა?

— არ ღირსეარ მის მეზობლობას... ვასო სხვა კაცი იყო... ლეგენდარული გმირი...

— ჰო, მართალია, ვასო ლეგენდარული გმირი იყო, მაგრამ ვასოსთანები ხომ ბევრია ჩვენს არმიისში?!

გაბომ დასტურის ნიშნად გაიღიმა და განაგრძო:

— დღეს წერილი მივიღე სოფლიდან. მეუღლე მწერს, ჩვენ ბიჭი წამოიზარდა, შენ რომ ჩამოხვალ, ალბათ, ლაპარაკიც ეცოდინებო... მენატრებიან... მთელი დღე მათზე ვფიქრობ... ახლა ჩემს ქვეყანაში მოსავალს იღებენ... უპა... დათავლული ყურბენი და ლეღვი, ქუთაისური კბილდაკრეპილი ბროწეული კაცის ხელს ელის... ის წყეული ჰიტლერი რომ არა, ოჯახში ვიქნებოდი: — გაბომ მუშტი მალლა აიშვირა და ომის გამჩაღებლებს წყევლა-კრულვა გაუგზავნა.

— ამიტომაც პირველ რიგში უნდა ვიფიქროთ გამარჯვებაზე. ეცადე მიბაძო შენს სახელოვან მეზობელ კიკვიძეს... ომში იმარჯვებს მამაცი, მარცხდება მხდალი...

პოლიტხელი წიქორიასთან უფრო ახლო მივიდა და თვალბში ღიმილით ჩახედა. გაბო სახეგაბრწყინებული შესტყეროდა საყვარელ მეთაურს, პოლიტხელის სიტყვები ამხნეებდა, რწმენას უმტკიცებდა და რაღაც გამოუთქმელ სულიერ მღელვარებას განაცდევინებდა.

— მესმის, ამხნავო პოლიტხელო! — წარმოთქვა მან, მარჯვენა ხელი ყვრიმალთან მიიბჯინა და სწრაფადვე დაუშვა.

მეორე დღეს, საბრძოლო ოპერაციის დროს, მტერმა დიდძალ ჯარსა და სამხედრო ტექნიკას მოუყარა თავი. გაჩაღდა სისასლისმღვრელი ბრძოლა. მე დავიპერი. მტერმა ინიციატივა ხელთ იგდო. ჩვენ ფერდობისაკენ გადმოვინაცვლეთ. მალღობს ვტოვებდით. მაგრამ უცებ, სად იყო და სად არა, ტყვიამფრქვევი აჯაკანდა და რამდენიმე გერმანელი დაეცა. კვლავ წამოიშალნენ საიერიშოდ, მაგრამ იმავე ტყვიამფრქვევმა მოსცელა ისინი. ტყვიამფრქვევთან გაბო წიქორია შევნიშნე. მას მარტო გაეხსნა ცეცხლი მიტოვებული მალღობიდან...

მთელ დღიზიას მოედო გაბო წიქორიას მამაცობის ამბავი. მის გმირობაზე საველე გაზეთებიც წერდნენ. იგი მთავრობის ჯილდოზე წარადგინეს.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის ოთხი წლის შემდეგ ქუთაისში შევხვდი გაბო წიქორიას. ძმებივით გადავეხვიეთ ერთმანეთს. ყვრიმალთან თმები შევერცხლოდა, სამოქალაქო ტანსაცმელში ცოტა მესხვაფერა, თუმცა ისევ ისე უბრალო თავმდაბალი, მორცხვი და სახემოღიმარი იყო, როგორც რამდენიმე წლის წინათ.

მას შემდეგ გაბო არსად შემხვედრია, მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გაზეთში წავიკითხე მისი შრომითი მიღწევების შესახებ.

გამიხარდა... თვალწინ წარმომიდგა სამამულე ომის მრისხანე დღეები... გროზნო, სტალინგრადი, ბრძოლები... სანგრები და გაბო წიქორია — კიკვიძის მეზობელი!.. ფრონტელი მებრძოლი მეგობარი...

მაინც რა ტკბილია ფრონტელ მეგობართან შეხვედრა!



კაკლო ღაღანიძე

გულით მინდა ვიცოდე

გიგონებენ დედაო,
შენი ქვეყნის შვილები,
მტრებში შიშის მთესველნი,
ძმისთვის ხელგაშლილები.
საქართველოს დედობას
შეიძლებდი — შეგატყვეს
და დედოფლად გაკურთხეს,
წელზე ხმალი შეგატყვეს.
აშენებდი ქვეყანას
მეფე-ქალი თამარი.
ვერ ბედავდა ურჩობას
მტერი ნათამამარი.
ალაზნიდან გასკერი
არხი შემახიამდი —
„თამარ არხი“ უწოდეს.
მეფე იყავ დიადი.
აგიგია ხიდები,
ციხეები ტინისა,

ფეხით შემოგივლია
სანავარდო ირმისა.
აყვავე სამშობლო
გამჭრიახი გონებით.
განთქმული ხარ შამქორის,
ბასიანის ომებით,
უფრო ნიჟს აფასებდი,
ვიდრე გვარიშვილობას
და გინდოდა მარადის
საქართველოს მშვიდობა.
გულით მინდა ვიცოდე,
ის ადგილი სად არი,
სადაც უნდა ეწეროს:
„განისვენებს თამარი“.
იქნებ ლოდი გულს გაწევს,
ლოდი, მთაზე ნადები,
მჯერა, მასზეც იქნება
ამოსული ვარდები.



პიჩიან შიკვაშიძე

სიმღერა დედაზე

დრამატურგმა ა. შერვაშიძემ დაწერა ოთხმოქმედ-
ბიანი პიესა აპარის ცხოვრებიდან. ქვემოთ ვებეჭდავთ
პირველ მოქმედებას და ფინალს.

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

ეპიზოდი პირველი

მდიდრულად მორთული სასტუმრო ოთახი. სურიე როიალონ ზის, გატაცებით უკრავს და მღერის ახალ ქართულ რომანსს. ნიგარი ფრთხილად შემოდის. დიდხანს დგას, ეტყობა რაღაცა უნდა უთხრას სურიეს, მაგრამ ვერ ბედავს, ბოლოს გაბედავს და სურიეს მიმართავს ნელი ხმით.

ნიგარი — სურიე, სურიე... ანზორმა სკოლიდან დარეკა, მშობელთა კრებაზე ყველამ მოიყარა თავი და დედა რატომ არ მოდისო.

სურიე — ღმერთო, მომეცი მოთმინება... ანდა რა მოთმინება ეყოფა ამ სატანჯველს! (ნიგარის შეუტყვის) რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, როცა მუსიკით ვარ გართული, ხელი არ შემომშალოთ-მეთქი... რამდენჯერ, მითხარი!

ნიგარი—რა გემუსიკება, როცა შვილი მოუთმენლად გელოდება.

სურიე — ჩემს ბავშვზე შენ უფრო გტყვივა გული?

ნიგარი — შენი თუ შვილია, ჩემი — შვილიშვილია.

სურიე — გადამრევს!

ნიგარი — ამდენ ლაპარაკს კი ჯობია ბავშვს დროზე მიხედო.

სურიე — თავი დამანებე, ქალო, რას ერევი ჩემს საქმეში... ბოლოს და ბოლოს, მე ვარ ამ ოჯახის უფროსი თუ შენ.

ნიგარი — არც შენ და არც მე. ამ ოჯახის უფროსი იმედო ირემამეა.

სურიე — ჩემი კანონიერი ქმარი.

ნიგარი — ჩემი კი შვილი.

სურიე — შენ რომ კარგი დედა იყო, ასე არ გაგვიმწარებდი სიცოცხლეს. აქიოდა, შვილი გავზარდეო და სამარემდე არ მოგვასვენებ. სულთამხუთავივით მაზიხარ კისერზე. რაც შეეხება ანზორს, თავს ვერ შევაკლავ, ბოლოს და ბოლოს, იგი შენმა შვილმა ოდეს-ღაც უჩემოდ იშვილა და დღეიდან



თქვენ თვითონ მოუარეთ. მეყოფა, შვიდი წელიწადი მაგ ნაბიჭვარს, კოჭლ ანზორას შევალე.

(ნიგარი შეკრთება, თითქოს გველმა უკბინაო, თავს დახრის, შემობრუნდება და წელი ნაბიჭვით გადის. ხარს დარეკენ. სურვიე გადის და სოფლოსთან ერთად ბაასით ბრუნდება).

სოფიო — იქნებ შენთვის ადვილია, მაგრამ ჩვენთვის აუტანელია, შერცხვენა... უფრო მეტიც — განადგურება. ჩვენი ოჯახის მალალი ტრადიციები საქვეყნოდაა ცნობილი. შენ კი ერთი მოუფიქრებელი ნაბიჭვით კინალამ ყველაფერი დაგვინგრიე.

სურვიე — კი, მაგრამ, ხომ არაფერი მომხდარა?

სოფიო — რომ მომხდარიყო... მითხარი, რომ მომხდარიყო, მაშინ სად უნდა გამოგვეყო თავი. თვითონ ზეჟერია იზეთოვიჩის ოჯახში, სადაც ისეთი ბრწყინვალე საზოგადოება იყო თავმოყრილი, ხომ სამუდამოდ მოგვჭრიდა თავს შენი დედამთილის გამოჩენა. სად უნდა დაგვეჩინა... ვისთვის უნდა დაემშვენებია გვერდი... მარტო ერთი შეხედვითაც მიხვდება კაცი, რომ იგი სულ სხვა წრიდანაა. მერე რა ვუყოთ, რომ სახელმძღვანელო შვილის დედაა თვითონ, მითხარი, თვითონ რას წარმოადგენს, რა ოჯახიდანაა, რა უნახავს ცხოვრებაში... მთელი მისი სიცოცხლე უქმროდ და გაჭირვებაში გაუტარებია... ხან მრეცხავი იყო, ხან კიდევ თეთრეულის მკერავიო. როგორ მოგწონთ, ა? ჩემი ქალიშვილის დედამთილი — პრაჩკა.

სურვიე — უკვე შვიდი წელიწადი შესრულდა, რაც იგი ჩემი დედამთილია და მისი ვინაობა ახლა შეიტყვე?!...

სოფიო — უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ აქამდე არაფერი ვიცოდით... თუმცა იმასაც კი ამბობენ, იმედო ნიგარის ღვიძლი შვილი არ არისო.

სურვიე — კარგი, გეყოფა, დედიკო, ცეცხლზე ნავთს ნუ მისხამ.

სოფიო — მე ახლა არც ცეცხლი

ვიცი და არც ნავთი. შენს ქმარს დღესვე კატეგორიულად დაუსვი საკითხი: ან შენ, ან დედამისი... გესმის? და ის ნაბიჭვარი, კოჭლი ანზორაც თან მიაცილოს.

სურვიე — ძალიან კარგი სურვილია, მაგრამ...

სოფიო — თუ უნდა, რომ ტკბილად იცხოვროთ, არსად არ შერცხვეთ და ჩვენც წყნარად ვიყოთ, სხვაგან გადაიყვანოს, ცალკე უშოვოს ოთახი, თორემ თქვენს ოჯახში არც მე და არც მამაშენი ფეხს აღარ შემოვდგამთ. კიდევ კარგი, რომ აქამდე არავინ იცის, თორემ სირცხვილისაგან სად უნდა გამოგვეყო თავი, ა? ჩემი ქალიშვილის დედამთილი — პრაჩკა... სიძე კი კისერზე ჩამობორწიალებული ბუშით.

სურვიე — იმედო ამას არასოდეს არ იზამს.

სოფიო — უნდა აიძულო.

სურვიე — კი, მაგრამ, როგორ?

სოფიო — სრულებით უბრალოდ... თუ მართლა უყვარხარ, ყველაფერს იზამს.

სურვიე — მას დედაც უყვარს და თავისი ანზორიც, იმედო ხომ ნაშუაღამემდე მუშაობს. ჰოდა, სამუშაოს რომ დაამთავრებს, პირველად დედამისის ოთახში შედის და, სანამ არ დაბრუნდება, დედა კარგად არის და უკვე ანზორასაც სძინავსო, უკან არ დაბრუნდება. სხვაგან რომ გადაიყვანოს ისინი, მაშინ სანახევროდ მათთან იქნება.

სოფიო — ისე გამოდის, მოუშორებელი ბარგია.

სურვიე — ბარგი და მერე როგორი ბარგი.

სოფიო — შენ როგორც გინდა ისე მოიქეცი, მაგრამ ეთერის აწი აქ აღარ დავტოვებ... აქამდე თუ სანახევროდ ჩვენთან იყო, ამერიდან სულ ჩვენთან იქნება (შეუმჩნევლად შემოდის ყავარჯნებზე დაყრდნობილი ანზორი... სოფიოს და სურვიეს რომ დაინახავს, კარბშივე გაქვავდება)..



სურიე — რა მოხდა!

სოფიო — რა მოხდა და სიფრთხილესა სპირო... გოგო მალე უკვე თოთხმეტი წლის გახდება და...

სურიე — მერე?...

სოფიო — განა ჩემი შვილიშვილი იმის ღირსია, რომ იმ ვივინდარა ბუშის გვერდით იზრდებოდეს? რა იცი, რამდენ სიკვამლე შეასწავლის (ანზორი თავს ჩაქინდრავს და გადის).

სურიე — მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ვერ ვიტან ანზორის დანახვას, მაინც არც ისეთი ცუდი ბიჭია, რომ ეთერიმ მისგან ცუდი რამეები ისწავლოს... ისინი ხომ ერთად იზრდებიან, როგორც და-ძმა.

სოფიო — და-ძმა — სხვადასხვა დედამამის შვილები?! იცოდე, იმედოს რომ რაიმე მოუვიდეს, შენ მშრალზე დარჩები და ეთერის ხომ სრულებით არაფერი ერგება. ანზორი და შენი ძვირფასი დედამთილი კი მთელი ქონების ნახევარზე მეტს მიიღებენ. ფრონტზე დაღუპული მეგობრის შვილს ვზრდიო, ტრაბახობს შენი ქმარი... არა, ერთი ვიცოდე, რისთვის სჭირდებოდა უდედმამო ბავშვის აკიდება.

სურიე — ანზორი თუ შვილია, ეთერიმ რა დააშავა?

სოფიო — რა დააშავა და, როგორც ახლა გავიგე, იმედოს თურმე ანზორი კანონიერად უშვილებია, ეთერი კი, კანონის მიხედვით, ამ ოჯახის წევრი არ არის.

სურიე — გამოდის, ანზორა ჩემთვისაც კანონიერი შვილია, ჩემი ეთერი კი...

სოფიო — ჰოდა, დროზე უნდა მიხედო ამ საქმეს, თორემ მერე სანანებლად დაგვრჩება.

სურიე — ამ საქმეში შენ ხარ დამნაშავე... შენ თვითონ არ გინდოდა, რომ იმედოს ჩემი ეთერი კანონიერად ეშვილებია. შენი მოთხოვნით ეთერი ჩემს ქმარს ბიჭია იმედოს ეძახის, ან-

ზორი კი მამას... მაგრამ იმედოს ეთერი მაინც ღვიძლი შვილივით უყვარს.

სოფიო — ჰოდა, თუ ასე უყვარს, მაშინ ადგეს და თავისი ქონება ეთერის უანდერძოს.

სურიე — რას ამბობ, დედაჩემო?! ოცდაჩვიდმეტი წლის კაცს ანდერძი დავაწერინო!

სოფიო — სხვანაირადაც შეიძლება — ნოტარიულად დაუმტკიცოს.

სურიე — ნოტარიულად?

სოფიო — ჰო! საერთო შვილი რომ გყოლოდათ, მაშინ კიდევ არა უშავდა, მაგრამ ახლა...

სურიე — რას ამბობ, დედაჩემო?! ეს ხომ შენი ბრალია... განა შენ არ მეჩიჩინებოდი: ბავშვი არ გაიჩინო, ფიგურა წაგხდება და ვაი თუ იმედომ გული აიცრუოს და სხვისი ბალის ყვავილებს მიაშუროს?.. ჩემი დედამთილი კი მე და იმედოს ამის გამო ერის მოღალატეს გვეძახის... ჩვენო, ისედაც მცირერიცხოვანი ვართ და, რომ არ გადავშენდეთ, ყოველ ქართველ ოჯახს რამდენიმე შვილი უნდა ყავდესო.

სოფიო — ხედავთ საითკენ იქნევს მათრახს?... ამდენს კი ახერხებს შენი ჯაგლაგი დედამთილი?!

სურიე — შენ რაც გინდა ის დაარქვი, მაგრამ ხანდახან ისეთს იტყვის, რომ დიდი ჭკუის კაცსაც შეშურდება.

სოფიო — ამაზე ახლა გვიანაა ლაპარაკი. შენ არც კი იცი, რა სიმდიდრის, რა ქონების პატრონია შენი ქმარი... მასეთი მეორე არ არის ჩვენს ქალაქში... შენ კი ყურებსაც არ იბერტყავ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ადამიანი მუდამ სვალინდელ დღეზე უნდა ფიქრობდეს. ღმერთმანუ ქნას, მაგრამ რაიმე რომ დაემართოს, შენ და ეთერი სანახევროდ მშრალზე დარჩებით. ასე რომ არ მოხდეს, ანზორი მაინც მოიშორე თავიდან. იგი, თურმე, არც ისე უპატრონო ყოფილა — დედის მხრივ კარგი ნათესაეები ჰყოლია ლენინგრადში... ადექით და



იმათ გაუგზავნეთ. შენს დედამთილს კი უფრო იოლად გაეუფსწორდებით.

სურთე — ნეტავი ორივეს მოვიშორებდე თავიდან, მაგრამ ვაი, რომ ძნელია ჩემი ნატერის ასრულება.

სოფიო — ანზორს უთხარი დღესვე ჩემთან მოვიდეს. დანარჩენი კი მე ვიცი (საათს დახედავს). ამდენ ღამე-რაკში მგონი დავაგვიანე კიდევ. ჩემს პარტნიასთან პრიმერკაზე ოთხზე უნდა ვყოფილიყავი.

სურთე — ყოველთვის სახლში გაკითხავდა და ახლა შენ თვითონ მიდიხარ მასთან?

სოფიო — აღარ ცალია, იმდენი ზაკაში აქვს, რომ ვეღარ აუღის. მთელი ჩვენი ქალაქის ბომონდი მის კართან არის ატუზული, მაგრამ რჩეულთა შორის მხოლოდ ყველაზე უფრო რჩეულს უყვარავს და მაინც გადატვირთულია (წამოდგება) ჰო, ერთი სიტყვით ასე... თუ არ გინდათ, რომ ჩვენც შევრცხვეთ და თქვენც თავლაფი არ დავგესხათ. ხვალ მხოლოდ იმედოსთან ერთად მოხვალ. ღმერთი არ გაგიწყრეთ და შენი დედამთილი სახლში არ მომიპორჩვილოთ... არც ის ანზორა მომიტორით. მამაშენი გამოსათხოვარ ქეიფს აწყობს. ხო იცო რა საზოგადოება იქნება ჩვენთან... ჰოდა, არ შეგვარცხენო.

სურთე — გამოსათხოვარს? რატომ?! სხვაგან გადაიყვანეს?

სოფიო — ზეგ ბელგიაში მიდის. იქიდან კი კისლოვოდსკში მიემგზავრება დასასვენებლად (ისევ საათზე დაიხედავს). ღმერთო ჩემო, როგორ დამაკვიანდა... აბა, მივდივარ, მივდივარ. ბავშვი ჩამიპროშტენე (სურთეს გადააკონცნის და მიდის).

სურთე — ეხ. დედაჩემო, განა უკეთესად არ ვიცი ჩემი დედამთილის ავან-ჩავანი? მაგრამ რას იზამ... ალბათ, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი. არა, რატომ მაინცა და მაინც ჩემს დედამთილს უნდა ჰქონდეს ასეთი უცნაუ-

რი ზნე... რა აუტანელი ვინმეა. რა რომ თავი დავანებოთ, ისეთი უჭკნულება მაინც ჰქონდეს, რომ ხალხში გამოსაჩინად ვარგოდეს. ჩაცმა-დახურვაშიც არ მისცა ღმერთმა შნო. აბა გაბედე და ამის შესახებ რამე უთხარი ჩემს ქმარს... ა, ამხელაზე გადმოგებრიალებს თვალებს... ჩემი დედიკო ასეთიაო, ჩემი დედიკო ისეთიაო და მოყვება მის ქებას, მაგრამ რას მოყვება... პირდაპირ ცაში აპყავს. თუმცა, ამ ბოლოსანს ორ-სამჯერ კი შეუყვირა მაგრად თავის დედიკოს, რატომ ხარ ასეთი აუტანელი, რატომ აწვალე ჩემს ცოლსაო... კი, ასეთი სიტყვებით შეუტია, მაგრამ ამით მაინც არაფერი გამოსწორებულა. ვნახოთ, ჩანამდე იპარბაშებს; ვნახოთ, სანამდე გაუძლებს ჩემს კლანჭებს... მალე დავანახებ, ვინ არის ამ ოჯახში უფროსი — მე, თუ ის (საათს დახედავს). ვაიმე, სულ არ დამავიწყდა ჩემი იმედოს სიმფონიის მოსმენა! დღეს პირველად გადასცემენ რადიოთი (რადიოს ჩართავს. ისმის შესანიშნავი სიმფონიის დასასრული. შემდეგ ვამაყრუებელი ტაში. ტაშის შემდეგ კი დიქტორის სიტყვები).

დიქტორი — „თქვენ მოისმინეთ კომპოზიტორ იმედო ირემაძის სიმფონია „გაზაფხული“. იგი გადმოგვცემს ხალხის დავროვებულ ბოღმას, რაც ამ კუთხის ქართველებს სამასი წლის განმავლობაში გულში უტარებია. მეორე ნაწილი კი აჭარის ბედნიერების შესახებ, მისი სილამაზისა და მისი გაზაფხულის შესახებ მოგვითხრობს.

ნიჭიერი კომპოზიტორის ეს შესანიშნავი ნაწარმოები ქართული სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ქმნილებაა“ (სურთე რადიოს გამოართავს).

სურთე — თვითონ იმედო ირემაძე კი, სამწუხაროდ, ჩემი დედამთილის ქმნილებაა. ჰმ!



იმედო როიალთან ზის და მუშაობს, ხან უკრავს და ხან ნოტებზე გადააქვს მისი მუშაობა. კარებში ნივარი გამოჩნდება, ხელში იმედოს თბილი პიჯამა უჭირავს, ფოთლოვან მთა იმედოსთან და დედობრივი მზრუნველობით პიჯამას შემოახურავს. იმედო გაბრაზდება.

იმედო — რამდენჯერ ვითხარი, როცა ვმუშაობ, ხელს ნუ შემოიშლი-მეთქი.

ნივარი — ნუ მიწყრები, შვილო, უკვე შემოდგომაა, შენ კი ფანჯარა გაგილია და ისე მუშაობ, გაცივდები.

იმედო — დედაჩემო, რატომ ვერ შეიგნე, რომ პატარა აღარ ვარ... რომ შემცივნოდა, მე თვითონ მოვინახვედი მაგ ოხერ პიჯამას.

ნივარი — კარგი, გეყოფა, ნერვებს ნუ იშლი, იმუშავე, აღარ შეგიშლი... აი, მივდივარ, მივდივარ.

(ნივარი თავის ოთახში გადის, იმედო გატაცებით განაგრძობს მუშაობას. კედლის სათითორმეტჯერ დარეკავს, კარი გაიღება და სურვიე შემოდის, შლაპას მოიხდის და სარკის წინ თმებს ისწორებს).

სურვიე — მუშაობ? რომ იცოდე, როგორ წააგე, დღევანდელ კონცერტს რომ არ დაესწარი... მეცოს არა უშავდა. მაგრამ ბარიტონი, ოო, ბარიტონი პირდაპირ შედეგრი იყო... ექვსჯერ გამოუძახეს.

იმედო — (უკმაყოფილოდ) სურვიე!

სურვიე — ჰო, რა იყო? ხელი შეგიშალე არა, ხელი შეგიშალე?

იმედო — (ალერსით) ხომ ხედავ, ჭირიმე...

სურვიე — ვხედავ და სწორედ ეს მიკლავს გულს... მაგ როიალსა და ე მაგ ნოტებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევ, ვიდრე შენს საბრალო ცოლს.

იმედო — სურვიე!!

სურვიე — ვიცი, უშენოდაც კარგად ვიცი — უკვე ოცდაათი წელიწადია სურვიე მქვია.

იმედო — ოცდათექვსმეტი.

სურვიე — ვითომ რაო, უკვე გადაწყვიტებულად გეჩვენები, არა? შენი ამბავი რომ ვიცი, ამას ხალხშიც წამომძახებ. კი, უეჭველად წამომძახებ... დღემენის გასახარებლად.

იმედო — იქნებ კიდევ დაუმატებ რამეს (სურვიე ახლოს მივა და ნოტებს დახედავს, კითხულობს).

სურვიე — „სიმღერა დედაზე“... აი თურმე რაშია საქმე!.. აი თურმე რამ აგამღერა — დედა! მე კი აქ არაფერი ვარ, არა? გმადლობ, ჩემო გულის გამხარებელო ქმარო. ოდესღაც, ჩემი სალოცავი ხატი ხარო, მეფიცებოდი, და ახლა?! (ისევ ნოტებს დააქერდებდა) „სიმღერა დედაზე“, ჰმ!

იმედო — სურვიე... კმარა... ეს კი უკვე მეტისმეტია (იმედო უნებურად მხრებზე შემოსურულ პიჯამაზე დაიხედავს და უკმაყოფილოდ თავს დახრის).

სურვიე — ვხედავ, კარგად ვხედავ, დრო იხელთა და მოგირბენინა... არ გაცივდე, შვილო, ჩემო საბრალო ბიჭუნო... ისევ მე, თორემ შენს ცოლს სად სცალია შენთვისო. ვიცი, კარგად ვიცი, ამას ყველაფერს განგებ აკეთებს, რომ რაც შეიძლება ჩქარა შემიძულო. შენ კი... რატომ ვარ ასეთი უბედური. რატომ, რატომ? (იმედო პიჯამას მოიხდის და სკამზე გადაკიდებს).

იმედო — ახლა ხომ ბედნიერი ხარ. გეყოფა, ჭირიმე, წადი, დაისვენე.

სურვიე — ვითომ ძალიან გებრალეზი... დავისვენო, არა? გულში კი დამასვენეო, ფიქრობ...
იმედო — სურვიე!

სურვიე — უნდა მოგელაპარაკო.

იმედო — ახლა?!

სურვიე — ამადამ... როცა მუშაობას დაამთავრებ.

იმედო — დიდხანს მოგიხდება ლოდინი.

სურვიე — მოვიციდი. არ დავიძინებ. დავწვიბი და ყურნალებს გადავათვალიერებ. წიგნს წავიკითხავ.

იმედო — თანახმა ვარ.

(სურვი გადის, იმედო ისევ გატაცებით მუშაობს. მუშაობის, დროს გამუდმებით ეწევა პაპიროსს. ჩამოხუნდება. სიბნელეში იმედოს მიერ შექმნილი ახალი მუსიკის პანგები გაისმის. მუსიკა თანდათან შეწყდება... სინათლე აინთება.

იმედოს თავი როიალზე დაუდგია და თვლებს, ცხვირს დააცემინებს, გამოფხიზლდება. მუშაობას განავრცობს. ცხვირს ისევ დააცემინებს. კარებში ნიგარი გამოჩნდება. საათი ორჯერ დარეკავს. ნიგარი ფრთხილად მივა და უნდა პოემა ისევ შემოახუროს, მაგრამ ვერ ბედავს. შეუშინებლად მიიპარება ფანჯარასთან, მოხურავს, შეიღს სიყვარულით დახედავს და ვადის. ჩამოხუნდება. სიბნელეში კვლავ ვაისმის სულ ახალი და ახალი მუსიკის პანგები. მუსიკა თანდათან შეწყდება. სინათლე აინთება. იმედოს ნოტებზე გადააქვს მუხიცა, მაგრამ ღონე აღარ ყოფნის, ძილი ერევა. წამოდგება, ტახტზე წამოწევა და ნოტების წერას განავრცობს. ჯერ ფანჯარი დაუფარდება, მერე ნოტების ფურცლები და ჩაეძინება. საათი ოთხჯერ დარეკავს. კარებში ისევ ნიგარი გამოჩნდება. მხრებზე თავშალი მოუხურავს, ამოქნარებს. დაძინებულ იმედოს დაინახავს, გადის. მერე კარებიდან სურვი გამოდის. დამის ხალათშია. ეტყობა ნამძინარეა. ირგვლივ უკმაყოფილოდ მიმოიხედავს).

სურვი — რამდენს აბოლებს... ნეტავი ვიცოდე, რატომ ვერა გრძნობს, რა საშინელი ჰაერია...

(მძინარე იმედოს შეამჩნევს. არ მოწონს, თავს გაიქნევს, ფანჯარას გააღებს და ფარდებზეც გადასწევს. ამ დროს ნიგარი შემოდის, ხელში თხელი საბანი უჭირავს, უნდა თავის იმედოს გადაახუროს, მაგრამ სურვიეს შეძახილზე სახტად დარჩება).

სურვი — ვითომ რაო? მე ვერ დავახუროვდი?

ნიგარი — სუ, ჩუმად, გაეღვიძება.

სურვი — გაიღვიძოს, საკუთარი თვალით დაინახოს დედამისის ცუდლუტობა (იმედოს გაეღვიძება).

იმედო — რა იყო, რა გაყვირებთ ამ შუალამისას.

სურვი — დედამენს ჰკითხე. დამით მაინც ჩამოგვეხსნას, გინახიათ ასეთი მოლუმორებელი?!

იმედო — რა გაყვირებთ, რა მოხდა მეთქი.

ნიგარი — (საბანს ტახტზე დაადებს) არაფერი, შევილო, წადი, დაიძინე.

სურვი — რა მოხდა, რა მოხდა... რა მოხდა და დედამენს ძილი არ ეკარება იმის მოლოდინში, რომ შენს თვალში როგორმე დამამცროს... როგორც კი დამინახა, გაიქცა და საბანი მოარბენინა, ვითომ მე აქ სრულებით არ ვიყო.

ნიგარი — თუ აქ იყავი, რატომ არ დაახურე... ვერ ხედავ, კაცი გაცივდა.

სურვი — გადამრეგს ეს ქალი. კაცო, ვერ შეასმენ, რომ პატარა აღარ ხარ?!

ნიგარი — ჯანმრთელობის მტერი, როგორც პატარასი, ისე დიდისაც ერთია.

სურვი — აღარ შემიძლია, დავიღალე ამდენი ჭკუის სწავლებით.

იმედო — (ნიგარის) რამდენჯერ გითხარი, სხვის საქმეში ნუ ჩაერევი-მეთქი.

ნიგარი — შენი ჯანმრთელობა ჩემთვის სხვისი საქმეა? იმიტომ ვაგზარდე, რომ ბოლოს უყურადღებობით დაგკარგო?

სურვი — (თავისთვის) კმ... ფარისეველი. (ნიგარის) ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა ამოვიდეთ შენი ვალიდან... შეილი თუ გაჩინე, უნდა ვაგეზარდა კიდევ, სულ დიდი, ერთი ვედრო რძე აწოვე, თუ გინდა ორი იყოს... რძეს მთელ ცისტერნას გიყიდი, ოღონდაც შენი ყვედრებისაგან გვიხსენი.

(სურვი დემონსტრატულად დატოვებს დედას და შეიღს და გადის მარჯვნივ. ნიგარი უკმაყოფილო თვალებით უცქერის იმედოს, მწარედ გაიღიმებს, ძალზე ნაწყენი თავს დაბარის და გადის მარცხნივ. მარტო დარჩენილი იმედო ერთხანს გაქაყვებული დგას, შემდეგ მოწყვეტით ჩაეშვება სავარძელში და თავზე ხელებს წაიფლებს).



ძვირფას სილამურ კაბაში გამოწყობილ სურვის წინსაფარი გაუკეთებია და იმედოვნებს უბრუნება.

სურიე — არა, არ დავჯდები... დეე ყველამ გაიგოს, თუ როგორი გამრჯე და გემოვნების მქონეა შენი მეუღლე. მე იქაც მოვასწრებ და აქაც.

იმედო — დედა სად არის?

სურიე — სამზარეულოშია, მეხმარება.

იმედო — მადლობა ღმერთს... ისე კი, ჩვენ ყოველთვის არ ვართ მართალი. რაც არ უნდა იყოს, დედაა და მტყუანიც რომ იყოს ჩვენს წინაშე, ხშირად უნდა დავუთმოთ.

სურიე — შენ, როგორც გატყობ, აჰლამ ისე ხარ ამდერებული, რომ დედაშენს სუფრის თავში წამომისკუბებ და გადამრევ კიდევ.

იმედო — უხერხულია, სტუმრებს ხომ უნდა გავაცნო. შენი მშობლები თუ გავაცანი, დედაჩემმა რა დააშავა.

სურიე — ა, უყურეთ ახლა ამას! კაცო, ჩემს მშობლებს ადარებ დედაშენს?! თუ გინდა თავი მოგჭრას, მიიყვანე და დასვი, მე წინააღმდეგი არ ვიქნები... ბოლოს და ბოლოს, ჩემს დედამთილს მე თვითონ წარვუდგენდი სტუმრებს, მაგრამ შენს სახელს ვუფრთხილდები, შეგარცხვენს... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტანსაცმელიც არ აცვია ისეთი, რომ ასეთ ხალხში გამოაჩინო... იქნებ ამაშიც მე დამდებ ბრალს... ხომ იცი, მისი კვიმატი ხასიათი, გემოვნებით ჩაცმა-დახურვა ჭირივით ძულს.

იმედო — ესეც ჩვენი ბრალია, რატომ ერთხელ მაინც არ მოგვივიდა აზრად, რომ...

სურიე — იმხელა ქალის ჩაცმა-დახურვაზეც მე ვიზრუნო?

იმედო — დიახ, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ... ხომ იცი, რომ თვითონ არასოდეს არ მოგვთხოვს.

სურიე — შენი სახელის შერცხვე-

ნას რომ ერიდებოდეს, მშვენიერად მოგვთხოვდა, მაგრამ მას ისევე აინტერესებს შენი სახელი, როგორც მე მთავარზე გაფრენა.

იმედო — მთელი მისი სიცოცხლე მე შემალია და ახლა ჩემს მტრად აცხადებ?

სურიე — სტუმრებს რომ მიხედო, კი აჯობებდა (შემოდის მდიდრულად მორთული სოფიო).

სოფიო — თითქმის ყველა სტუმარმა მოიყარა თავი და თქვენ კიდევ აქა ხართ?! თქვენ მაინც გამოდით, იმედო!

იმედო — ახლავე, ახლავე (იმედო გადის).

სოფიო — (სურიეს) შენ რაღას უცდი?

სურიე — მეც ერთი წუთით გავალ, თორემ უხერხულია. სტუმრებს დახვედრა უნდა (სურიე წინსაფარს გაიხდის და გადის).

სოფიო — ერთი წუთით... ჰმ, მოსვენება აღარ აქვს საბრალოს. გავიწილა?... ასეთ ოჯახს მარტო ერთი მოსამსახურე ჰყავს! რას გაწვდება, თუ სურიე არ დაეხმარა... დედამთილი კი, ალბათ, გულხელდაკრეფილი ზის და ბუხებს ითვლის.

(ნიგარი შემოდის და სინით შემწვარი გოჭი შემოაქვს. სოფიო და ნიგარი ჯერ თვლით ერთმანეთს აწონ-დაწონიან და მერე თავდაქვრილად მიესალმებიან).

ნიგარი — პირველად გოჭი შემოიტანეო და თვითონ კი არა ჩანს.

სოფიო — სუფრა უკვე გაწყობილია, მაგრამ ჯერ რა დროს გოჭია?!

ნიგარი — რა ვიცი, თქვენმა ქალიშვილმა ასე ბრძანა და... (ნიგარი სინს მაგიდაზე დადებს).

სოფიო — თქვენ რომ არ შეეწუხებიეთ, ისე არ შეიძლებოდა? მოსამსახურე ქალი სად არის?

ნიგარი — სამზარეულოშია, მეც ვე-
ხმარები.

სოფიო — რა ვიცი, ამდენი ქალია
ამ ოჯახში და ჩემს საბრალო ქალიშ-
ვილს მინც არა აქვს მოსვენება, ყვე-
ლაფერს თვითონ აკეთებს.

ნიგარი — კი, ტანსაცმელსაც თვი-
თონ იცვამს, ჭამითაც თვითონ ჭამს,
არავინ ეხმარება საბრალოს (სოფიო
გულმოსული გადახედავს ნიგარის და
გადის). რაც დედაა, ქალიშვილიც ის
არის... ნეტავი ვიცოდე, საიდან ჩნდ-
ბიან ასეთი ადამიანები (სიცილით შე-
მოდინან სურიე და გიორგი. ნიგარის
ვერ ამჩნევენ).

სურიე — არა, მასეთი სასაცილო
კაცი ჯერ არ მინახავს.

გიორგი — სასაცილო კი არა, ხუ-
მარაა.

სურიე — ხო, მეც ეგ მინდოდა მე-
თქვა და სხვანაირად გამომივიდა.

გიორგი — შენ რატომღაც ყოველ-
თვის და ყველაფერი სხვანაირად გეჩ-
ვენება.

სურიე — მართალი ხარ, გიორგი,
მე ჩემს ირგვლივ ყველაფერს კარგი
თვალეზით ვუტყქერი, მაგრამ, სამწუხა-
როდ, სულ სხვანაირად გამოდის...
უმაღლესი ერთად დავამთავრეთ, შენ
უკვე მოსამართლე ხარ, მე კი... ვინა
ვარ? არაფერი.

გიორგი — ვატყობ, რაღაც უკმაყო-
ფილო ხარ, მაგრამ რატომ, არ ვიცი.
შესანიშნავი ქმარი, მშვენიერი ოჯახი,
უზრუნველი ცხოვრება... მეტი რაღა
გინდა?!

სურიე — უზრუნველი... ეებს (გიორ-
გი ნიგარის შეამჩნევს).

გიორგი — (სურიეს) ვინ არის ეს
ქალი? ალბათ, იმედოს დედაა!

სურიე — ეს ქალი? ეს ქალი... ის...
როგორ გეკადრება... მეზობელია და
გვეხმარება. იმედოს დედა ამჟამად
მოსკოვშია, მივლინებაში.

გიორგი — ბოდიში, მე კი რატომ-
ღაც მეგონა, რომ...

სურიე — შენც ბევრი რამ სულ
სხვანაირად გეჩვენება. აბა, მოხსენი
შენთან ლაპარაკში სტუმრები სულ
გადამავიწყდა (გიორგი გადის).

ნიგარი — რას ჰგავს ეს... აქაც თა-
კილობ?

სურიე — დედა, რა ექნა, რატომ არ
ესმის ამ ქალს, რომ მე მის მხარეზე
ვარ. იმხელაზე აგწიე, საქმეების გამო
მოსკოვშია-მეთქი და შენ კი... კიდევ
თაკილობ?!

ნიგარი — დიდად გმადლობთ პატი-
ვისცემისათვის... ბავშვები სად არიან?

სურიე — ანზორი სამზარეულო-
შია... ნუ გეშინია, მშვიერი არ დარჩება.
რაც კარგი კერძი იყო, მაგიდაზე დაუქ-
ლაგეთ და მადიანადაც ილუკმება.

ნიგარი — ეთერი?

სურიე — ეთერი თავის ბებიასა და
ბაბუას უზის გვერდით.

ნიგარი — სუფრის თავში? (გულნა-
ტყენი თავს დახრის, შემდეგ სწრაფად
გამოერკვევა ფიქრებისაგან და ნელი
ხმით მიმართავს სურიეს) გოჭი და
მწვადები როდის შემოვიტანო?

სურიე — აჰ, არ უნდა... მე და მა-
რუსია გავაკეთებთ ყველაფერს. თავი
არ მოგეჭრა და მართლა არ შემოხ-
ვიდე.

ნიგარი — ნუ გეშინია, არც მე დავ-
მცირდები იმდენად, რომ შენს დედა-
მთილად გამოვაცხადო თავი.

სურიე — მასე აჯობებს, თორემ
მოსკოვშია-მეთქი და... მატყუარად
ჩამთვლიან.

ნიგარი — კი, მასე სჯობია, თორემ
ტყუილი სიმართლე ეგონებათ.

სურიე — ვითომ რაო? ესე იგი...
მე საერთოდ მატყუარა ვარ და თავს
მართალ ადამიანად ვასაღებ, არა?

ნიგარი — არა, რატომ, რატომ უნ-
და ეგონოთ, როცა ასეა.

სურიე — (ვითომ არ ესმის ნიგარის
ნათქვამი) რამდენიმე ბოთლი ცივი
ბორჯომი მომიტანე.

ნიგარი — ბორჯომი მაცვიარშია.

სურიე — (თავისთვის) მაგენაა მაცვიარში ჩასადები, იქნებ გაიყინოს და გვეშველოს.

(გულმოსული გადახედავს ნიგარის და სამზარეულოში გადის. უცებ სამზარეულოდან ჯერ ჭურჭლულის მსხვერვის ხმა და შემდეგ სურიეს შევივლება მოისმის: „ვაიმე დედა, დავიღუბე“. ნიგარი იმ წამშივე სამზარეულოსაკენ გარბის. კარები გაიღება და სოფიო და იმედო შემოიჭრებიან ოთახში. სანამ კარებს მიხურავს იმედო, სტუმრებს ვადასძახებს: „ამ წუთში გვახლებით, მეგობრებო!“ სურიე კოჭლობით გამოდის, ნიგარი ეხმარება. მაგრამ სურიე ხელს ჰკრავს და გამწარებული იხასის: „შენ ამიშალე ნერვები, შენ მიქენი ეს, შენ... შენ გაღამასხი მღუღარე“).

სოფიო — ვაიმე, რა დაგემართა, შვილო! (სოფიო მიიჭრება სურიესთან, რომელსაც წყალი ვადასხმია მუხლებზე, და ფეხებს ძლივს მიაბიჯებს. გამოჩნდება ანზორი).

სურიე — (იმედოს) ახლა ხომ დაწმუნდები დედაშენის აქალობაში, ახლა მაინც ხომ გაახელ თვალებს... სანამდე მიმიყვანა, რა მიქნა, რა მიქნა ამ კუდიანმა, ვაიმე, ალბათ, სამუდამოდ დამასახინრა.

ანზორი — (სურიეს) ბებია ნიგარი რა შუაშია, თქვენ ხომ თვითონ...

(სურიე სიტყვის დამთვრებს არ დააცლის, ხელს კრავს, ცალი ყვარჯენი გადაუტყდება, მაგრამ მეორე ყვარჯენზე დაყრდნობილი ანზორი ძლივს შეიკავებს თავს და ძალზე ნაწყენი და გაბრაზებული კედელთან აიტუხება. იმედო გაქაგებული ღვას და არ იცის, რა ქნას. სოფიო აფთარებით მიიჭრება ნიგარისთან და ზიზღით მიახლოს).

სოფიო — ეს რა ჩაიდინე შე ქვეყნის გლახავ, შე მაწანწალავ!

ნიგარი — როგორ მიბედავ, ვომბიოვ! (ნიგარის უნდა სილა გააწინას, მაგრამ თავს შეიკავებს).

იმედო — არ გაბედო! (იმედო სოფიოს გადაეფარება და მუშტს შემართავს).

ანზორი — (წინააღმდეგება) მამიკო!..

იმედო — (ნიგარისა და ანზორს) მომწყდით თავიდან.

(ნიგარი ვაშუშებული უცქერის მუშტებზე მართლ იმედოს, თავს დახრის, წაიბარბაცებს და მხრებიდან ძირს დაეარდნის თავშეშენს სცქერის, იმედო თავს უხერხულად ვაშუშებს ხელებს ნელ-ნელა დაუშვებს, არ იცის ისინი სიით წაიღოს).

სურიე — (ხელს ანზორისა და ნიგარისაკენ გაიშვერს და იმედოს მიმართავს) ან ისინი, ან მე.

სოფიო — ნუ გეშინია, შვილო, მე თვითონ აღარ დავტოვებ აქ, ამ კუდიანის ხელში!

(სურიეს ტირილი ატყდება, იმედო და სოფიო აწყნარებენ და ოთახიდან გააყავთ. ნიგარი თავშალს დაწელება და წვლში მოხრილი ტახტისაკენ მიდის და თავშალს უღონოდ მიათრევს. ტახტზე ჩამოჯდება. ჩამობნელება. სიბნელეში ნათლად მხოლოდ ნიგარი და ცალ ყვარჯენზე დაყრდნობილი ანზორი მოჩანან).

ანზორი — (თავისთვის) კარგად ვხედავ... ჩემზე არიან გაბრაზებული... ყველაფერი ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია (ანზორი ვადის).

ნიგარი — ამასაც მოვესწარ, ჩემო იმედო... მე მაგ მუშტებს ძალიან კარგად ვიცნობ, მახსოვს ისინი იმ დროიდან, როცა მხოლოდ ორი დღისა თუ იქნებოდნენ... მაშინ ისინი ძალიან პატარები იყვნენ, სუსტნი და უძლურნი... და მე სიყვარულით ვკოცნიდი პატარა, პაწაწინა მუშტებს. შემდეგ ძალიან ხშირად ვბანდი, რომ ჭუჭყი მომეშორებია, რომ სულ მუდამ ფაფუკი და სუფთა ყოფილიყვნენ... რამდენჯერ სათუთად შემიხვევია, როცა დაკაწრული მინახავს და სულ იმაზე ვოცნებობდი, რომ ისინი მძიმე, დაუნდობელი და ძლიერი ყოფილიყვნენ მხოლოდ მტრის წინააღმდეგ... არასოდეს, არასოდეს არ მიფიქრია, რომ ოდესმე ვე მუშტები თავისი ძალის გამოსაცდელად ჩემს წინააღმდეგ აღიმართებოდნენ... და აი, ამასაც მოვესწარ, ჩემო იმედო! (ანზორი ფრთხილად შემოდის, ნიგარისათვის შეუმჩნევლად მაგიდაზე წერილს დადებს და უკანვე ვადის).

ან მე, ან ისინი... შენ კი ვერაფერი ვერ უპასუხე... ნუთუ ასეთი ლაჩარი



გაგზარდე, შვილო! ნუ გეშინია, ხელს აღარ შეგვიშლი, იცხოვრე, როგორც გენებოს (წამოდგება) მე კი ჩემს გზას მოვნახავ (მავიდაზე წერილს შეიმჩნევს, აიღებს, დააქჳერდება და ხელეზი აუჯანკალდება. კითხულობს). „ჩემო ძვირფასო ბებია ნიგარი! კარგად ვიცი, თუ რამდენი უსიამოვნების მიზეზი ვარ ამ ოჯახში. ჰოდა, კმარა! მივდივარ. როცა ამ წერილს წაიკითხავ, უკვე ამ აღარ ვიქნები. არ შეგეშინდეს, ცუდი

არაფერი შემემთხვევა. მალე თხოვ მეტი წლისა გავხდები და დროა, თვითონ მივხედო. ვიცი, არც შენთვის არის სასიხარულო აქ ყოფნა, მაგრამ როცა უფრო დავაუქაცადები, ჩემთან წაგიყვან და კარგად ვიცხოვრებო. თქვენი ანზორი“.

(ნიგარის წერილი ხელიდან გაუფარდება და კარებისაკენ ვაეშრება, კარებთან ანზორის გატეხილ ყვარჯენს დახედავს... თავშალს წამოაღლებს ხელს და გარბის).

ეპიზოდი მეოთხე

ახლად შემოსულ იმედოს კარებთან სურვიე ზედება. იმედოს ხელში დიდი კოლოფი და კიდევ რაღაც ნაყიდი უჭირავს. ნაყიდებს ტახტზე დააღაგებს და ოდნავ ამოიხორბებს.

იმედო — ესეც ასე...

სურვიე — რა იყო, რას ჩამოგიყარია ყურები.

იმედო — სურვიე, ასე აღარ შემოძლია... მეტს ვეღარ მოვიტმენ... უკვე მეორე თვეა, დედა და ანზორი არ მიწახანავს. ვინ იცის, როგორ არიან, იქნებ რამე უჭირთ, მხოლოდ ლოგინი და ტანსაცმელი წაუღია და ისე წააუღია.

სურვიე — ნუ გეშინია, ალბათ, მშვენივრად გრძნობს თავს, თორემ რამე რომ გაჭირვებოდა, თვითონ მოგაკითხავდა.

იმედო — მე თვითონ მივაკითხე, მაგრამ არ მიმიღო. კარები ჩაიკეტა და ხმა არ გამცა. არც ანზორი მანახა.

სურვიე — რა ვიცი, ჩემი დედიკო ასეთიაო, ისეთიაო და ახლა სულ მოგიძულა? კარგი, რაც არ უნდა მოხდეს, დედა ასე არ შეიძულებს თავის ერთადერთ შვილს. გარდა ამისა, არ ვიცი, რა გავაზრებს. არც მისი ბინის ქირის გადახდა დაგანება, არც სხვა რამ დახმარებას იღებს შენგან... ალბათ, ძალიან კარგად გრძნობს თავს და შენ რა

გაწუხებს? ვერაფრით ვერ გაიკვია, რისთვის ჯავრობ ამდენს, მოვა დრო და, თუ რამე დაჭირდა, თვითონ მოგაკითხავს. კარგი ეშმაკია, ნუ გეშინია, თავს არ დაიჩაგრავს.

იმედო — საბრალო ბიჭი!... სახლიდან რომ წასულა, გზაჯვარედინზე გადასვლისას ცალ ყვარჯენზე დაყრდნობილს ვერ მოუსწვრია გაქცევა და ავტომანქანას მოჰყოლია... მტკივანი ფეხი გადატყდომია... ჩვენთვის რომ გზაკვალი აებნია, დედაჩემს თურმე იმ დამეს ანზორი მეზღვაურთა საავადმყოფოში მოუთავსებია, შემდეგ კი თავის ნათესაეთან, მემედ დევაქსთან დაბინავებულან.

სურვიე — რას გარბოდა, მოწყინდა კეთილი ცხოვრება, არა?

იმედო — სურვიე...

სურვიე — რა იყო, იქნებ ახლაც გეწყინა ჩემი სიტყვები?! მაგრამ მე სიმართლეს ვლაპარაკობ და სხვანაირად არ შემიძლია.

იმედო — სურვიე... მითხარა, რატომ ერთხელ მაინც არ ჩაიხედავ ჩემს გულში, რატომ ერთხელ მაინც არ გწუხებს ჩემი გულისტკივილი, რატომ გგონია, რომ ამ ოხერ მკერდში გულის ნაცვლად ქვა მიდევს და ადვილად შემიძლია ავიტანო ეს საშინელი ტანჯვა...

სურიე — შენ თუ ძალით იწუხებ გულს, მე რა გიყო. იქნებ გინდა დედაშენის დანაშაული მე ჩამომკიდო კისერზე.

იმელო — შენ შენიც გეყოფა...

სურიე — ეს კი უკვე მეტისმეტია.

იმელო — იქნებ ჭერ კიდევ საკმარისიც არ არის... ამიერიდან კატეგორიულად ვაფრთხილებ აღარ ჩაერიო დედაჩემის ირგვლივ წამოჭრილ საქმეში.

სურიე — ოღონდ თვითონ ნუ ჩაერევა ჩემს საქმეში, თორემ მე მისი სახელის გახსენებაც არა მსურს.

იმელო — (ნაყიდებზე მიუთითებს) შეინახე.

სურიე — რა არის?

იმელო — უკვე დაზამორდა... დედაჩემს კი ერთი ძველი პალტო შერჩა და ისიც თხელი და გამოხუნებული. ხეირიანად არც ფეხზე აცვია... ჰოდა, პალტო და ბოტები ვუყიდე, მივუტანე, მაგრამ როგორც ვითხარი, კარი არ გამოიღო და არც ხმა გამცა. ესენი კი ანზორს ვუყიდე.

სურიე — კარგი უქნია (ნაყიდს ათვალეობებს). რა მშვენიერი მატერია... ალბათ, იფიქრა, ასეთი პალტოს ღირსი არ ვარო.

იმელო — დედაშენი თუ კარაკულის პალტოში გამოხვეული დადის, ნუთუ დედაჩემს ეს მაინც არ ერგება?!!

სურიე — გმადლობთ შედარებისათვის... კიდევ კარგი, რომ შენი სიტყვები ვერ სწვდებიან ჩემს დედიკოს, თორემ საბრალო ქალი ჭკუიდან შეიშლებოდა.

(სურიე გულმოსული დაავლებს ხელებს ნაყიდებს და ვადის. იმელო ნერვულობს, რომ იალთან მივა, რამდენიმე აკორდს აიღებს, შემდეგ ფანჯარას მიადგება, იქაც არ გაჩერდება დიდხანს, რადიოს ჩართავს; რომელიღაც სიმღერის დასასრული ისმის, მერე კი „სიმღერა დედაზე“. იმელო სულგანაბული უსმენს გულში ჩამწელობს სიტყვებს. ველარ გაუძლებს და ტელეფონს მივარდება).

იმელო — ჭუმბერ, გამარჯობა... იმელო ვარ, მაგრამ რომ იცოდე, თუ ვინ ვარ, ალბათ, შეგეცოდები. თუ ხარ, თავი დაანებე საქმეებს და ახლავ ჩემთან გაჩნდი. ისევ შენ თუ მოახერხებ რამეს, თორემ მე ვერაფერს გავხედი, დედაჩემი და ანზორი ახლოსაც არ მიკარებენ... აგერ უკვე ერთ თვეზე მეტია არ მინახავს და მათ შესახებ არაფერი ვიცი. გელოდები (შემოდის სურიე, ხელში რალაც ქალაღი უქირავს).

სურიე — გაიხარე, შენმა დედიკომ მოკითხვის ბარათი გამოგიგზავნა (იმელო გახარებული გამოართმევს ქალაღს და კითხულობს. როცა ბოლომდე წაიკითხავს, ქალაღს მაგიდაზე მიაგდებს და უგუნებოდ სკამზე დევდება).

სურიე — ხედავ, სასამართლოში გვიჩვილა შენმა ასეთმა ისეთმა კარგმა დედიკომ. დედაჩემსაც უჩვილა. ხედავ, სანამდე შესტობა? ახლა მაინც ხომ გაახელ თვალებს, ყველაფერში რომ მე მდებდი ბრალს. ახლა მაინც ხომ მიხვდები, ვინ იყო ჩვენს შორის აუტანელი და დამნაშავე. დედამ გვიჩვილა... რა უნდა უწოლო ამის შემდეგ ასეთ დედას. ხედავ, ანზორი მასაც გაქცევია და ამიტომ გვიჩვიის, თქვენი ბრალიაო.

იმელო — გაჩუმდი, სურიე!

სურიე — შენ აქ თავს იკლავდი, ნეტავი ჩემი დედიკო როგორ არისო და ის კი, აი თურმე რას გიმზადებდა. საქვეყნოდ უნდა შეგვარცხვინოს (იმელო ისევ აიღებს ქალაღს და შეატრიალებს ხელში).

იმელო — ნუთუ ასე დაეცი, დედაჩემო! შენ თურმე ყველაფერში მართალი ყოფილხარ, ჩემო სურიე. მშობელი დედა კი არა, ცული დედინაცვალიც არ იკადრებს ასეთს საქვალობას.

სურიე — მადლობა ღმერთს, რომ ახლა მაინც მიხვდი...

სასამართლო. თავმჯდომარის ადგილზე ზის ვიორჯი. მისამართლის მაგიდის მარჯვნივ დგას ნიგარი, მარცხნივ კი სოფით, სურვი და იმედო.

ვიორჯი — მაძიებელი ნიგარი რე-
 ჯების ასულო ირემამევე, რას მოითხოვთ
 მოპასუხისაგან.

ნიგარი — (ვიორჯის) თქვენ მეკით-
 ხებით, მოპასუხისაგან რას მოითხოვ-
 თო. ჩემი ერთ-ერთი მოპასუხისაგან,
 ჩემი შვილისაგან მოვითხოვ მხოლოდ
 ერთს — საფუძვლიანი მიზეზების გამო
 აღიაროს, რომ იგი არ არის ღირსი
 ჰყავდეს შვილი... დიხ, წაერთვას უფ-
 ლება იწოდებოდეს მის მიერვე ნაშვი-
 ლები ანზორის მამად... წაერთვას უფ-
 ლება... უფლება... დედა მიწოდოს.

(ნიგარი უკანასკნელ სიტყვებს ძლივს ამ-
 ბობს. იმედო საცოდაოდ აწრიალდება, არ იც-
 ის რა ქნას).

სოფიო — ერთი ამას დამიხედეთ,
 როგორ დალაგებულად ლაპარაკობს.

სურვი — ლაპარაკი კი იცის, ორა-
 ტორია... ფაბრიკაში რამდენიმე წელი-
 წადს ავტოტატორად გახლდათ.

ნიგარი — თუ კეთილი გულის
 არა ხარ, ვერ უმღერებ კეთილ საქმე-
 ებს... და თუ მაინც მღერი, ყალბია შე-
 ნი სიმღერა. კარგის მქადაგებელი თვი-
 თონაც კარგი უნდა იყოს, ცუდი კი
 მხოლოდ ცუდს შეუძლია...

სოფიო — ერთი მეც მათქმევინეთ!

ვიორჯი — ბრძანეთ, ქალბატონო!

სოფიო — ამ ქალს ენა ხალიჩასავით
 მოუქარავს, თაფლივით ტკბილ სიტ-
 ყვებს ამბობს, მაგრამ უხსენებელზე
 უფრო შხამიანად იკბინება. დედა ვარო,
 შვილი გავზარდეთ... მეერ რა მოხდა?..
 მეც გავზარდე ქალიშვილი, მეც დედა
 ვარ, მაგრამ ჩემს ქალიშვილს ტვირ-
 თად არ ავკიდებია...

კარგი და მოსიყვარულე დედა, რო-
 დესაც შვილს საკუთარ ფეხებზე და-
 აყენებს, თავისუფალი ცხოვრების სა-
 შუალებას მისცემს და თავზე მაჯლაჯუ-
 ნასავით არ დააწევება. კარგი დედა ყო-
 ველთვის იმას ცდილობს, რომ შვილის

ოჯახში მყუდროება არ დაარღვიოს და
 უსიამოვნების მიზეზი არ გახდეს, მაგ-
 რამ, სამწუხაროდ, ეს ზოგიერთ დედას
 როდი ესმის. აქაო და შვილი გავზარ-
 დეთ და ახლა თავს გადაწყვესო, ჩემს
 ნება-სურვილებზე იაროსო, ჩემი კაპ-
 რიზების შემსრულებელი იყოსო და
 ვინ იცის კიდევ რას მოითხოვს. ყველა-
 ზე დიდი ცოდვა ის არის, როდესაც
 დედა მხოლოდ თავის თავზე, საკუთარ
 სიამოვნებაზე ფიქრობს და შვილსა და
 მის ოჯახს სიამტკბილობას უმწარებს.
 სწორედ ასეთია ჩემი უბედური ქალი-
 შვილის დედამთილი... როცა დანიხა,
 რომ შვილის ოჯახში თავებლობა აღარ
 გაუვიდა, გაიქცა, ცალკე მოეწყო, ყო-
 ველგვარ დახმარებაზე უარი თქვა, ახლა
 კი ღვიპლ შვილს უჩივლა მხოლოდ და
 მხოლოდ იმისათვის, რომ შეარცხვი-
 ნოს... და ასეთ ადამიანს ჰყოფნის გამ-
 ბედაობა თავის თავს დედა უწოდოს.

ნიგარი — მე საჩივარი აღმძარი ჩე-
 მი შვილის წინააღმდეგ არა იმიტომ,
 რომ სასამართლომ დააკისროს მას ჩე-
 მი რჩენა. სრულებითაც არა. ამას არ
 ვსაჭიროებ, ვერ კიდევ შემწვევს იმდე-
 ნი ძალა და უნარი, რომ ჩემი სარჩო-
 საცხოვრებელი საკუთარი შრომით მო-
 ვიბოვო. მინდა გავიგო, აქვს თუ არა
 უფლება ასეთ შვილს, ასეთ ადამიანს,
 იყოს ჭეშმარიტი ადამიანის სულის
 მშენებელი, მისი ღირსეული მომღე-
 რალი? რაც შეეხება ჩემს რძალსა და
 მის სანაქებო დედას, მოვითხოვ სასტი-
 კად დისაჯონ საბრალო ბავშვის გაუ-
 ბედურებისათვის. მათმა არაკეთილსინ-
 დისიერმა საქციელმა აიძულა სახლი-
 დან გაქცეულიყო ანზორი, რომელიც
 ვერ ავარიამი მოყვა და ნაღრძობი ფე-
 ხი უფრო დაუშავდა, შემდეგ კი, რო-
 გორც გამოკეთდა, ისევ გაიქცა და აი
 როგორი წერილი დატოვა (წერილს
 ვიორჯის გადასცემს).

იმედო — აი თურმე როგორი ყოფი-
ლხარ, აი თურმე სადამდე მიხვედი, დე-
დაჩემო? ნუთუ რასაც ამბობენ, მარ-
თალია... ნუთუ შენ...

სურვი — (იმედოს) რატომ გაჩუმ-
დი?.. მიდი, მიდი... ერთი კარგად გა-
მოლანძმე, ყველაფერი უთხარი, რაც
ეკადრება.

სოფიო — აფსუს... ასეთმა ქალმა
უნდა თქვას, მეც დედა ვარო?! ცხენის
კუდზე უნდა გამოაბა ეს მართლა კუ-
დიანი დედაკაცი და ისე უნდა ამოართ-
ვა სული. გინახიათ ასეთი?! დედა
ღვიძლ შვილს სამარეს უთხრის. რას არ
ნახავს, რას არ მოესწრება ადამიანი!
მაგრამ, საბედნიეროდ, როგორც ბე-
რისგან ვამიგონია, იმედო ირემმაჟე არ
არის ამ ქალბატონის ღვიძლი შვილი
და...

მემედი — (დარბაზიდან) ამხანაგო
მოსამართლევ, გთხოვთ ნება დამართოთ,
სიტყვა მაქვს სათქმელი.

გიორგი — თქვენ ვინ ბრძანდებით?

მემედი — მემედ აღის-ძე დევაძე
ვარ, პერსონალური პენსიონერი, ირე-
მაძეების ნათესავი... საქმის გასარკვე-
ვად თქვენ მოვალე ხართ ორიოდ სიტ-
ყვა მეც სათქმევინოთ.

გიორგი — მობრძანდით.

(მემედ დევაძე სცენაზე აღის)

სოფიო — ეს ვინდაა!.. იგი გვაკლდა
ახლა ჩვენ?!

გიორგი — მოქალაქე დევაძე, მოახ-
სენეთ სასამართლოს რა ვსურთ?

მემედი — ჩემი სურვილი, დარწმუ-
ნებული ვარ, ყველა აქ მყოფის, აი,
მთელი ამ დარბაზის სურვილია. მინდა
დავიცვა დედა, რომლის ამაგსაც ვერ
აფასებენ, ჯეროვან პატივს არ სცემენ.

სოფიო — თქვენ კი არა, მსუფთავედ
უღიღესი ვეჭილი ვერ დაიკავს... ისე
დედას, რომელმაც შეილი, თავისი
ღვიძლი შეილი სასამართლოში მოიყუა-
ნა გასალანძლავად და თან, როგორც
მოსისხლე მტერს, ისე ქოლავს და წყე-
ვლის.

მემედი — ქართველებს შესანიშნავი
ანდაზა აქვთ: „დედა რომ შეიღს დას-
წყევლის, ძუძუები ილოცებიანო“. დე-
და! არ არსებობს ადამიანთა ენაზე ამა-
ზე დიდი და ძლიერი სიტყვა. მხოლოდ
ეს სიტყვა მოსწყდება ადამიანის ბავშვს
განსაცდელის ყამს, მხოლოდ ეს სიტყ-
ვა აღმოხდება ადამიანს გაჩენის დღი-
დან და მხოლოდ ამ სიტყვას წარმოთ-
ქვამს ადამიანი სიცოცხლის უკანასკ-
ნელ წუთებშიც.

არ არსებობს ქვეყანაზე დედის
გრძნობაზე უფრო დიდი გრძნობა და
არც მისი შესადარი. არის ისეთი ინს-
ტინქტები, არის ისეთი ქცევა, მოძრა-
ობა, რომლებიც ადამიანის ნებისყო-
ფას არ ემორჩილებიან... აი, შენს ახ-
ლოს, შენს თავთან გასროლილმა ქვამ
გაიზულია, იმ წამშივე თავს ორივე ხე-
ლით დაიფარავ, ანდა განზე გახტე-
ბი... დედას კი განსაცდელის ყამს თა-
ვისი თავი არასოდეს არ ახსოვს, იგი
პირველყოფისა შეიღს მივარდება,
დაიკავს, თავისი მკერდით დაფარავს
მას და, თუ საჭირო იქნა, მსხვერპლა-
დაც შეეწირება... და, აი, მეც ერთი
ასეთი დედის შესახებ მინდა მოგიყ-
ვეთ. ეს ამბავი დაიწყო ამ ოცდათვრა-
მეტი წლის წინათ... მაშინ აჭარა, მენ-
შევიკების გაქცევის შემდეგ თურქებმა
დაიკავეს.

ეს იყო ასე...

მოქმედება მეოთხე

სურათი მშვიდი

ენიზოლი პირველი

ისევ სასამართლო. ნიგარი კვლავ გაქვევებული დგას თავის ადგილზე. სოფიო ძლიერ
უკმაყოფილოა. სურვიეს თავი დაუხრია, იმედო კი სასოწარკვეთილებამდე მიხულა, კპორგავს,
არ იცის რა გააკეთოს. მემედი განაგრძობს თხრობას.

შემდეგ — პირველ ხანებში ახლად შექმნილ ოჯახში ყველაფერი თავის რიგზე იყო, შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ ოჯახის წევრები... შემდეგ რაც მოხდა, თქვენთვისაც ცნობილია... ახლა კი თვითონ განსაჯეთ — ვინ არის დამნაშავე?... იქნებ გეთხრან: რა ვუყოთ მერე, ცხოვრებაში ხშირად ასეც ხდება... მართლაც, სამწუხაროდ, ასე არცთუ იშვიათად ხდება... ბოლოს, ერთს კიდევ ვიტყვი: ვისაც დედა არ უყვარს, მას სიყვარული საერთოდ არ შეუძლია... უსიყვარულოდ კი ადამიანი თავკერძაა, ეგოისტია და ასეთ კაცს არა აქვს უფლება იყოს ჰემოზარტი ადამიანი. დედა დაივიწყა, მებრძოლის, მეგობრის წინაშე დადებული ფიცი გატეხა, შვილობილი მოიძულა და ავადამიანთა კვალზე მავალმა საბრალო ბავშვი დაღუპვამდე მიიყვანა. ვინ იცის, სად არის ახლა ანზორი, ვინ იცის, რა დღეშია, იქნებ...

ნიგარი — ვაი შენს ბებეკოს, ჩემო ბიჭუნო!

(უცებ დარბაზიდან ანზორის ხმა გაისმის)

ანზორი — აქ ვარ, ნუ გეშინია, ცოცხალი ვარ, ჩემო ბებეკო!

(ანზორი სცენაზე აღის, ნიგარი და ანზორი ერთმანეთს გადახეხევიან. იმედო გახარებულა, მაგრამ თავს იკავებს. ანზორი სოფიოს მიუბრუნდება).

ვერ შევასრულე თქვენი სურვილი (გადაუგდებს ფულის დასტას, რომელიც სოფიოს ფეხებთან დავარდება).

არსად არ წავალ, მე ჩემს ბებეკოს არასოდეს არ ვუღალატებ... (მორცხვად) არც ჩემს მამიკოს...

(სიტყვას ვერ ამთავრებს, გულამოძვარი ისევ ნიგარის შემოხეხევა. იმედო თავს ხელეზში ჩარგავს).

შემდეგ — (სურვიეს და სოფიოს გადახედავს) ამათ შესახებ ვერაფერს ვიტყვი... საბრალო და ამასთან ერთად საძაგელია ადამიანი, როცა საკუთარი თავის იქით ვერავის და ვერაფერს ხე-

დავს. (იმედოს) არა თუ ადამიანი, ბუნების ოდნავი სუნთქვაც კი ვერაფერს ვიცი, როგორც ხელოვანისათვის მისაწვდომია, ხელშესახებია... შენს ირგვლივ ყველაფერს ისე უნდა გრძნობდე, როგორც საკუთარ გულისძგერას. რაც ბევრისათვის უხილავია, შენთვის ხომ ამკარა და შესამჩნევია... და აი, შენ, ასეთმა ადამიანმა ის ვერ შენიშნე, რაც ყველა ჩვეულებრივ ადამიანს შეუძლია შეამჩნიოს და ვალდებულიც არის მხედველობიდან არ გამოორჩეს... დედა, შვილი... შენი ვალი დედისა და შვილის წინაშე სულ დაივიწყე... სპეციალურ გრძნობათა მომღერალი ქვად გადიქცი. მითხარი, ვინ მოგცა ამის უფლება?

იმედო — კმარა... გეყოფა... მეტი არ შემიძლია:

(თვალებს ვერავის უსწორებს, თავდახრილი მივა ნიგარისთან, დაინოქებს და დედამის ხელებს უკონის).

დამნაშავე ვარ!... თუ შეგიძლია მამატიე, დედაჩემო... ტკბილო დედიკო!

(ნიგარი ჯერ გაქვავებული დვას, მერე თვალეზზე ცრემლები მოადგება, იმედოს წამოაყენებს, შეერღში ჩაიკრავს და მღელვარებასთან ხმაც უქანალებს).

ნიგარი — შვილო, ჩემო იმედო!

(აჭვითინდება. იმედო აწყნარებს და თვალებს უკონის).

სოფიო — ერთი შეხედვით, როგორც გაგვეყიდა ამ უნამუსომ...

სურვიე — უსინდისოდ ჩვენ ვიქცეოდით, დედაჩემო!

სოფიო — ხმა ჩაიკმიდე... სად დაკარგე თავმოყვარეობა? ვერ ხედავ, როგორ გაგვათახსირეს!

სურვიე — გვეკუთვნოდა და მივიღეთ კიდევ.

სოფიო — შენც მათ მხარეზე ხარ?

სურვიე — კი, დედაჩემო!

(იმედო მხარეზე ხელს შემოხეხევს ნიგარისა და ანზორის და განათებულ კბეზე აღიან. სურვიე კიბესთან მიიბრუნეს და ქვევიდან მუდარით

უცქერის იმედოს, ნიგარისა და ანზორს. ჯერ ცხენილი დგას შუა ადგილზე და არ იცინი ნიგარი ვაუწყდის ხელს, მერე იმედო და ორ-საით წავიდეს. სოფით კი დაბლა რჩება. ანიშნებენ: „ამოდით“... მაგრამ სურვიე დარ-

ცხენილი დგას შუა ადგილზე და არ იცინი ნიგარი ვაუწყდის ხელს, მერე იმედო და ორ-საით წავიდეს. სოფით კი დაბლა რჩება. ანიშნებენ: „ამოდით“... მაგრამ სურვიე დარ-



ეპიზოდი მეორე

მადლობზე სინათლის შუქზე მხოლოდ იმედო, ანზორი და ნიგარი მოჩანან... ისინი სულ-ვანაბული უსმენენ რადიოს...

დიქტორი — „გადმოვცემთ კომპო-ზიტორ იმედო ირემადის ახალ ნაწარ-მოებს „სიმღერა დედაზე“...“

(ისმის შესანიშნავი, ამაღლებელი მუსიკა. იმედოს ხელები შემოუხვევია ნიგარისა და ან-

ზორისათვის, ხოლო ისინი სიყვარულით უცქე-რენ თავიანთ იმედოს. სურვიე კიბის საფეხურ-თან მისულა, ასელა სწადია, მაგრამ ხშირად უკან, დედისკენ იუფრება, დედამისი კი ქვე-ვით გაქავეებული დგას თავის ადგილზე).

ღ ა რ დ ა



თაოზიდ გოგია

ბ ა რ კ ა რ ო ლ ა

მითხარ, ტურფა ქალო,
გული საით გიწევს?
იალქანი ფრთებს შლის,
ქარი ქროლვას იწყებს.
ოკეანეს ნახავ?
ან ბალტიის ტალღას?
სად დაუშვებ აფრებს?
კუნძულ იავასთან,
ნორვეგიის მთასთან?
იქ ენძელებს დაკრფ?
მითხარ, ტურფა ქალო,
გული საით გიწევს.
იალქანი ფრთებს შლის,
ქარი ქროლვას იწყებს.
— მსურს ვეწვიო აფრიო
ერთგულების ნაპირს,
ენახავ ტრფობას მარადს.
— გაცრუვდები მწარედ,—
ამნაირი მხარე
არ არსებობს, არა!

ფრანგულიდან თარგმნა
ირინე არეშიძემ.



ქველ ქლავაჲი

ბუმა... ბუმა...

ბავშვი გარინდული, ფერმიხდილი იწვა პატარა თეთრ საწოლში და ციებ-ციხლებსაგან გაფართოებული თვალებით ერთ წერტილს მისჩერებოდა, თითქოს ნათლად ხედავდა იმას, რასაც კარგად მყოფნი ვერ ამჩნევდნენ.

დედა საწოლთან ეჯდა და შეწუხებული უცქერდა ავადმყოფს, თითებს იკვნეტდა ყვირილის შესაკავებლად. მამა კი, ეს ჯანმავარი მუშა, შეშინებულ თვალებში ცრემლებს ძლივს იკავებდა.

ნათელი, მშვიდი დღე თენდებოდა. ივნისის დილამ დეზაბეს ქუჩის ერთ-ერთ პატარა ოთახში შეანათა, სადაც პატარა ფრანსუა კვდებოდა.

შვიდი წლის ფრანსუა, ქერა, ლოყაწითელი, მხიარული, ბელურასავით ცელქი იყო ამ სამიოდე კვირის წინ, მაგრამ ერთ საღამოს, სკოლიდან რომ მოიყვანეს, მოთენთილობასა და სიცხეს გრძნობდა. ამის შემდეგ თავის ქათქათა საწოლში იწვა და ხანდახან, როცა დედის საგულდაგულოდ გაწმენდილ თავის პატარა ფეხსაცმლებს დახედავდა, წამობოდებდა: „შეგიძლიათ გადაადგოდით პატარა ფრანსუას ფეხსაცმელი! პატარა ფრანსუა მას არ ჩაიცვამს, რადგან ვეღარ წავა სკოლაში... ვერასოდენ ვერასოდეს!“

მამის მამა წამოიძახებდა: „გაჩუმიდი, რას ამბობ!“ დედა კი ბალიშში ჩამალავდა გაფითრებულ სახეს, პატარა ფრანსუას რომ არ დაენახა მისი ცრემლები.

ორი დღეა ბავშვს არ წამოუბოდებია, მაგრამ ექიმს მაინც აშინებდა მისი სისუსტე, რაც სიკვდილის მოახლოებას ჰგავდა. თითქო ამ შვიდი წლის ბავშვმა უკვე იგრძნო წუთისოფლის ამოება. ის ღონემიხდილი იწვა და ჩუმი, მოწყენილი, არეული თვალებით რაღაცას ეძებდა შორს, ძალიან შორს. ბავშვი არაფერს კამდა — არც შაქარწყალს, არც ბულიონს.

- არაფერი გინდა, ფრანსუა? — ეკითხებოდა დედა.
- არაფერი, — იყო პასუხი.

— აუცილებლად უნდა გამოვიყვანოთ ამ გარინდებიდან, — თქვა ექიმმა, — თქვენ ხართ მისი დედ-მამა, თქვენ იცნობთ თქვენს ბავშვს... როგორმე გამოძებნეთ მისი გამოცოცხლების საშუალება...

და ექიმი წავიდა.

— გამოძებნეთ!

მართალია, ისინი კარგად იცნობდნენ თავიანთ პატარა ფრანსუას! იცოდნენ, რომ ბავშვს უყვარდა კვირაობით ქალაქგარეთ გასეირნება, შემდეგ მამის მხარზე წამოსკუპება და პარიზში დაბრუნება კუნელით სავსე ხელებით. ან კიდევ ელისეს მინდვრებზე გაბმულ ბაწრებში შეძრომა, თოჯინების თეატრში შესვლა მდიდარ თანატოლებთან ერთად...

მამამ ფრანსუას ჩინური სილუეტები და ნახატები უყიდა, რომლებზეც ჯარისკაცები იყვნენ გამოსახული. ნახატები მის ლოგინთან დაჭრა და ჯარისკაცები „ააცეკვა“ ბავშვის გასაცინებლად. თუმცა თვითონ მას ეტირებოდა...

— შეხედე, ეს არის „ჩატეხილი ხიდი“, ეს კი გენერალია! გახსოვს, ჩვენ რომ ვნახეთ ერთხელ გენერალი ბულონის ტყეში? თუ ამ წამალს დაღევ, მე გიყიდი ნამდვილ დრაპის მუნდირში გამოწყობილ ოქროს ეპოლეტებიან გენერალს... მითხარი, გინდა?

— არა, — უპასუხებდა ბავშვი და სიცხისაგან პირი უშრებოდა.

— გინდა დამბაჩა, ბურთი, მშვილდისარი?

„არა“, იმეორებდა მკვეთრად და თითქმის უქმეხად.

რასაც პირდებოდნენ, მუყაოს ჯამბაზები იქნებოდა ეს თუ ფერადი ბუმბუტები, ყველაფერზე უარს ამბობდა. მშობლები კი ერთმანეთს სასოწარკვეთილებით შეჰყურებდნენ.

— ნუთუ მართლა არაფერი გინდა, ფრანსუა? მითხარი მე... დედაშენს! — თითქოს საიდუმლოს უჩვენებდა, ყურთან ნახად ჩასჩურჩულა დედას.

ბავშვმა ლოგინიდან წამოიწია, ხელები გაუწოდა რაღაც უჩინარს და მძაფრი ხმით, რომელშიც თხოვნაც ისმოდა და ბრძანებაც, წამოიძახა:

— მე მინდა ბუმ-ბუმი!

ბუმ-ბუმი?!

საწყალმა დედამ შეშფოთებული თვალებით შეხედა ქმარს. რას ლაპარაკობს ეს ბავშვი? შეიძლება ისევ საშინელი ბოღვა დაიწყო?

ბუმ-ბუმი?

ქალმა არ იცოდა რას ნიშნავდა ეს და ეშინოდა, ბავშვი ავადმყოფური დაუქინებით რას იმეორებდა.

— ჰო, მე მინდა ბუმ-ბუმი, ბუმ-ბუმი. მე მინდა ბუმ-ბუმი!

მედღენამ ნერვულად ჩასკიდა ხელში ხელი თავის ქმარს და სულ ჩუხად, შეძრწუნებული ხმით უთხრა:

— რას ნიშნავს ეს, ყავ? ბავშვი გველუბება!

მაგრამ მამას პირქუშ სახეზე აღებეჭდა ღიმილი განწირული ადამიანისა. რომელმაც ხსნის გზა იპოვა.

ბუმ-ბუმი! მას გაახსენდა ადვოკატის კვირის ორშაბათი, როდესაც ცირკში წაიყვანა ფრანსუა. თითქოს ახლაც ესმოდა მისი მხიარული წამოძახილი, მისი ბედნიერი ბავშვური სიცილი, როდესაც ოქროს კილიტებიანი შავად გამოწყობილი ჯამბაზი, ზურგზე ჭრელი, ათასფრად მოლივლივ პეპლით ცირკის სარბიელზე ხან ხტოდა, ხან პანდურს ჰკრავდა მეჭინბეს, ხან ნახერხზე გაუძნირებლად ყირაზე დგებოდა, ხან ზემოთ, ჰაღისაკენ ისროდა თავის რბილ ქუდს და მერე მარჯვნივ იჭერდა თავით; ზოგჯერ კი პირამიდის აკეთებდა სხვებთან ერთად. ყოველ ამგვარ ოცნს მოსდევდა ღიმილი მის განიერ, სასაცილო სახეზე

და ერთი და იმავე სიტყვის წამოძახილი, რასაც ხანდახან ორკესტრიც
რებოდა: ბუმ-ბუმ!

ბუმ-ბუმ! და ყოველ მის წამოძახილზე ცირკი ივსებოდა ვაშის ძაბილით
და პატარა ბიჭიც გულიანად იცინოდა.

ბუმ-ბუმში! აი ეს ბუმ-ბუმი იყო ცირკის ჯამბაზი, მთელი ქალაქის გამაძ-
ხიარულბელი, რომელიც უნდოდა ენახა, უნდოდა ჰქონოდა პატარა ფრანსუ-
ას და რომელსაც ის ვერ ნახავდა, რადგან უღონოდ იწვა თავის თეთრ ლო-
გინში!

საღამოს ჟაკ ლეგრანდმა ბავშვს სათამაშო მოუტანა — მშვენიერი ჯამბა-
ზი, სულ კილოტებით მოქარგული. იგი მან მეტისმეტად ძვირად იყიდა ერთ
პასაჟში. მექანიკოს მუშას ოთხი დღის ხელფასი დაეხარჯა ჯამბაზის საყიდლად.
იგი სიამოვნებით ოცი, ოცდაათი დღის, მთელი წლის ხელფასს გაიღებდა: ოდ-
ნოდ ღირსილი გამოეწვია ავადმყოფის ფერმკრთალ ტუჩებზე.

ბავშვმა შეხედა სათამაშოს, რომელიც მის თეთრ ზეწარზე ანათებდა და
სევდიანად თქვა:

— ეს არაა ბუმ-ბუმი!.. მე მინდა ბუმ-ბუმი ვნახო!

ოჰ, ნეტა ჟაკს შეეძლოს შეახვიოს იგი საბანში, წაიყვანოს ცირკში, აჩვე-
ნოს მოცეკვავე ჯამბაზი განათებული ჭალის ქვეშ და უთხრას: — აი უყურე!

ჟაკმა უფრო მეტიც გააკეთა. იგი წავიდა ცირკში, იკითხა ჯამბაზის მისა-
მართი და დარცხვენილი, აღელვებისაგან ფეხებმოკვეთილი მსახიობთან მივი-
და მონმარტის უბანში. ძალიან დიდი გამბედაობა იყო ჟაკის საქციელი. მაგ-
რამ მსახიობები ხომ მღერიან, ხომ ამბობენ მონოლოგებს დიდკაცების სალო-
ნებში! შეიძლება ჯამბაზი დიდი გასამრჯელოს მიღების იმედით მოვიდეს ფრ-
ანსუასთან! სულერთი იყო როგორ მიიღებდნენ ჟაკ ლეგრანდს ბუმ-ბუმისას.

მაგრამ ეს აღარ იყო ბუმ-ბუმი! ეს იყო ბატონი მორენი, რომელიც დიდი
გემოვნებით მოწყობილ ბინაში ცხოვრობდა; წიგნები, სურათები, ხელოვნების
ნაწარმოებები საუცხოო დეკორაციას ჰქმნიდნენ მომხიბლავი მამაკაცის გარ-
შემო. მორენმა ჟაკი მიიღო თავის ოთახში; ეს ოთახი ექიმის კაბინეტს ჰგავდა.

ჟაკი უყურებდა, მაგრამ ვერ ცნობდა ჯამბაზს და ხელში მოუსვენრად
ატრიალებდა თავის რბილ ქედს. უცნობი მასპინძელი ელოდებოდა. მამის მუ-
შამ ბოდიში მოიხადა. გასაკვირი იყო, რასაც ის თხოულობდა, ეს შეუძლებე-
ლი რამ იყო. ბოდიში... მამატიემ! მაგრამ ეს საქმე პატარას ეხება, მშვენიერ
ბავშვს, ბატონო ჩემო. ის ძალიან გონიერია, პირველია თანაკლასელთა შორის.
არითმეტიკის გამოკლებით, რომელიც მას არ ესმის, მეოცნებეა ვესმით, მე-
ოცნებე! გსურთ დაგიმტკიცოთ?

ჟაკი ვერ ბედავდა თქმას, რაღაცას ბუტბუტებდა, მაგრამ ბოლოს მოიკრი-
ბა გამბედაობა და უეცრად წამოიძახა:

— განა სანიმუშოდ არ კმარა, რომ თქვენი ნახვა სურს, სულ თქვენზე
ფიქრობს, სულ მის თვალწინ ჩანსართ, როგორც ვარსკვლავი, რომლის ცქე-
რითაც ვერ ძღება.

როდესაც ლაპარაკს მორჩა, იგრძნო, რომ ფერმკრთალ შუბლზე ოფლის
წვეთები დასხა. მას ვერ გაეებდნა შეეხედა ჯამბაზისათვის, რომელიც გამტე-
რებით უყურებდა მუშას.

- რას იტყოდა ბუმ-ბუმი? შეიძლება გარეთ გაეგდო, როგორც გიყი!
- სად ცხოვრობთ? — ჰკითხა ბუმ-ბუმმა.
- ოჰ, სულ ახლოს. დეზაბეს ქუჩაზე.

— წავიდეთ! — უთხრა ჯამბაზმა. — თქვენს ბავშვს უნდა ბუმ-ბუმის რა-
ხვა. ის ნახავს ბუმ-ბუმს.

როგორც კი ჯამბაზი ოთახში შევიდა, უკვე ლეგრანდმა მხიარულად მიამა-
ხა თავის ვაჟს:

— ფრანსუა, ჩემო ბიჭუნა! შეხედე, აგერ ბუმ-ბუმი!

ბავშვს სახეზე სიხარულმა გადაურბინა, ის წამოიწია, ხელებზე დაეყარდ-
ნო დედას, დააკვირდა მამის გვერდით მდგომ სერთუკიან უცნობ მამაკაცს,
რომელიც მას უღიმოდა, და როდესაც განუშეორეს, ეს ბუმ-ბუმიანო იგი ნე-
ლა, სევდიანად დაეშვა ბალიშზე და დარჩა თვალეგამტერებული. მისი დიდი
ლურჯი თვალები თითქოს საღდაც შორს, ამ ოთახის გარეთ იყურებოდნენ და
ეძებდნენ ოქროს კილიტებიან ან პეპლიან ბუმ-ბუმს, როგორც მეოცნებე შე-
ყვარებული...

— არა, — თქვა ბავშვმა ნაკლებ მკვეთრი, მაგრამ სასოწარკვეთილი
ხმით: — არა, ეს არ არის ბუმ-ბუმი.

ლოგინის წინ მდგომი ჯამბაზი სერიოზულად, ღრმად და უსახლგრო სინა-
ზით დააკვირდა პატარას. შემდეგ თავი ასწია, შეხედა შეშინებულ მამას, გა-
ფითრებულ დედას და ღიმილით წარმოთქვა: „ის მართალია, მე არ ვარ ბუმ-
ბუმი!“ და წავიდა.

არ გასულა ნახევარი საათი მისი წასვლის შემდეგ, რომ უეცრად კარი
ხელ-ახლა გაიღო. შემოვიდა ბუმ-ბუმი, ცირკის ბუმ-ბუმი, ხალხური უბნების
ბუმ-ბუმი. მას კილიტებიანი შავი სამოსი ეცვა, თავზე ყვეთელი ჩაჩი ესურა,
მკერდზე და ზურგზე ოქროს პეპლები ეკრა, პირი ფართოდ გაეღო და იცი-
ნოდა. პირ-სახე ფქვილით შეეთეთრებინა.

პატარა თეთრ ლოგინზე მწოლარე ბავშვს თვალები სიცოცხლის სიხარულ-
ლით აენთო, მან სცილ-ტირილი დაიწყო. იგი ბედნიერი იყო, გადარჩენი-
ლი. მან ტაში შემოკრა თავისი პატარა გამხდარი ხელებით და ვაშა შესძახა.
მასში უსახლგრო სიხარულმა იფეთქა:

— აი ეს არის ბუმ-ბუმი! ახლა ნამდვილი ბუმ-ბუმი! გაუმარჯოს ბუმ-
ბუმს, სალაში ბუმ-ბუმს.

როდესაც ეჭიმი მოვიდა, მას ჯამბაზი დაუხვდა პატარა ფრანსუას სას-
თუმალთან; იგი ბავშვს აცინებდა და შაქრის ნაჭრებს აგდებდა წამლის კიქაში.

— იცი, ჩემო პატარა ფრანსუა, თუ ეს არ დალიე, ბუმ-ბუმი აღარ მოვა
მეორეჯერ.

და ბავშვი სვამდა.

— ხომ ტკბილია?

— ძალიან... გმადლობთ, ბუმ-ბუმი!

— ექიმო! — უთხრა ჯამბაზმა ეჭიმს. — ნუ ეკვიანობთ. როგორც ეტყობა,
ჩემი გრიმასები მას ისევე რგებს, როგორც თქვენი დარიგებანი.

ღედა და მამა სიხარულისაგან ტირილდნენ.

და სანამ ფრანსუა წამოდგებოდა, ყოველდღე ეტლი ჩერდებოდა მუქის სახლის წინ დეზაბეს ქუჩაზე: იქიდან ჩამოდიოდა პალტოიანი, საყელოანი ლი მამაკაცი, რომელიც პალტოს ქვეშ ისე იყო გამოწყობილი, თითქოს ტყეში მიდიოდა. მას მხიარული, პურის ფქვილით შეთეთრებული სახე ჰქონდა.

— რამდენს ინებებთ? — ჰკითხა ჟაკ ლეგრანდმა ჯამბაზს, როდესაც ბავშვი უკვე ფეხზე წამოდგა. — ბოლოს და ბოლოს ხომ გერგებათ გასამრჯელო!

ჯამბაზმა დედ-მამას თავისი დევგმირული ფართო ხელები გაუწოდა.

— ხელის ჩამორთმევა! — უბასუხა მან...

მერე ორჯერ გადაკოცნა ბავშვის უკვე გავარდისფრებული სახე და სიცილით თქვა:

— ნება დამრთეთ ჩემს პირად ბარათზე დავწერო:

„ბუმ-ბუმი, დოქტორი ჯამბაზი, პატარა ფრანსუას პირადი ექიმი.“

ფრანგულიდან თარგმნა კლემოპატრა ჯაშმა.





ზაბილო პათილაყვა

საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმართვედი ძალა კომუნისტური მშენებლობაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა, რომელიც მიმდინარე წელს გაიმართა მოსკოვში, მოასწავებს ჩვენი ქვეყნის შესვლას თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

პარტიის XX და XXI ყრილობებს შორის განვლილი პერიოდი საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შემოქმედებითი აქტიურობის ისეთი ზრდის პერიოდი იყო, რომელიც უმაგალითოა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამის მეოხებით შესაძლებელი გახდა პარტიის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელება, რაც დიდი კმაყოფილებით აღნიშნა პარტიის XXI ყრილობამ.

როგორც ცნობილია, ყრილობამ განიხილა ერთი, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის საკითხი — 1959-1965 წლების სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრები. ასევე ცნობილია, რომ ყრილობის მიერ საკონტროლო ციფრების განიხილვას წინ უძღოდა ამ ციფრების საყოველთაო-სახალხო განხილვა, რაც გადაიქცა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტიურობის, თავისი ნაცადი ბელადის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო მისი დარაზმულობის მძლავრ დემონსტრაციად. ყრილობის წინაპერიოდში გამართულ კრებებზე ნათელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულყოფნად მოიწონა სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრები და შედიწლიანი გეგმა. მიიღო, როგორც საკუთარი მშობლიური საქმე და მორიგი საბრძოლო პროგრამა, ამიტომაც ვხედავთ

თავის მოხსენებაში პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალიზმიდან კომუნისტურ მშენებლობაში გადასვლასთან, და ღრმა თეორიული და სკვენები გააკეთა თეორიისა და პრაქტიკის ისეთ საკითხებზე, როგორცაა: კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზისა და სოციალიზმიდან კომუნისტურ მშენებლობაში გადასვლის კანონზომიერებათა შესახებ, სოციალისტური საკუთრების საკომლექსური და საერთო-სახალხო ფორმების განვითარების და დაახლოების გზების შესახებ, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის, სახელმწიფოებრივი წყობილებისა და მართვის შესახებ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების შესახებ და ინტერსისტემური თეორიის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ი. ნ. მუხომბე

და ახ ახლა, როცა უკვე დასაბუთდა კომუნისტური მშენებლობის გაშლილი პერიოდის დასრულების განხორციელების გზებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, პარტიის და ხალხის კავშირის შემდგომ განმტკიცებას ამასების აქტიურობის მიზნით შეგუბულობის შეუწყვეტელ ზრდას, ამასთანავე კომუნისტური მშენებლობის წინაპერიოდში მართვის მნიშვნელოვან როლს, როგორც საკუთარი მშობლიური საქმე და მორიგი საბრძოლო პროგრამა, ამიტომაც ვხედავთ

დასაწყვეტად“. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მუდამ მიუთითებდნენ, რომ მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა, პარტიისა და ხალხის ერთიანობა, პარტიის განუყრელი კავშირი მასებთან კომუნისტური პარტიის ძალისა და ძლიერების წყაროა. ახალ-ახალ გამარჯვებათა საწინდარი და საიმედო გარანტიაა. „მხოლოდ ის ვაიმარჯვებს და შეინარჩუნებს ხელისუფლებას, — გვასწავლებს ვ. ი. ლენინი, — ვისაც რწმენა აქვს ხალხისა. ვინც ჩაეშვება ხალხის ცოცხალი შემოქმედების წყაროში“ (თხზ., ტ. 26, გვ. 338).

რევოლუციური მოძრაობის, სოციალიზმისა და კომუნისტიკის მშენებლობის ყოველ ეტაპზე ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია მუდამ სწორედ ამით უგდებდა ყურს მასების ხმას და ვფორმად ასახავდა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს. სწორედ ამით მოიხვეჭა კომუნისტურმა პარტიამ ხალხის უსაზღვრო ნდობა და სიყვარული.

კომუნისტური პარტია ახალი ტიპის მარქსისტული პარტიაა. იგი არის საბჭოთა ხალხის შთამავრებული, წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალა, მისი ნაცადი ბელადი. ჩვენი პარტია პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, რომელიც ორგანიზებული მუშათა კლასის ადამიანებისაგან, მშრომელი გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციისაგან შედგება, რაც ყველაზე უკეთ შეესაბამება საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის შინაარსს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოცდილება გვასწავლის, რომ თუ არა ერთიანი და მონოლითური პარტია, თუ არა საზოგადოებრივი კანონების ცოდნით შეიარაღებული პარტია, მუშათა და მშრომელი გლეხობა ვერ მოიპოვებდნენ გადამწყვეტ გამარჯვებას და ვერ გაანადგურებდნენ თავიანთ კლასობრივ მტრებს.

პარტიამ რომ წარმატებით შეასრულოს პროლეტარიატისა და ყველა მშრომელი მასების ორგანიზატორისა და ბელადის როლი, აუცილებელია განუხრებლად დაიცავდეს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, თავისი რიგების ერთიანობა და რკინისებური დისციპლინა. პარტიის X ყრილობაზე დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა განსაკუთრებული ძალით ცხადყო, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის რიგების ერთიანობას, რკინისებურ დისციპლინას, და მკაცრად გაილაშქრა ფრაქციონერთა წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ მკაცრი დისციპლინის აუცილებლობას პარტიის შიგნით და ცდილობდნენ დაენერგათ ფრაქციულობა და ჯგუფობრობა. რა თქმა უნდა, როგორც არაერთხელ მივივითობდა ვ. ი. ლენინი, ფრაქციულობის აკრძალვა სრულიადაც არ გამოირჩევა აზრთა სხვადასხვაობას საკითხის განხილვისას, ოღონდ მას შემდეგ, რაც საკითხი ყოველმხრივ განიხილება და მიღებულ იქ-

ნება ვარკვეული გადაწყვეტილება, იგი განხორციელდება. მთელი მონდომებით უნდა შეასრულდეს პარტიის ყველა წვერმა. კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენ ისე გვესაჭიროება, როგორც პაერი, როგორც წყალი. მაგრამ იგი უნდა იყოს აშკარა, პირდაპირი, ცხელი და ნათელი. უადრესად საქმიანი და არა შარი, არა ქირღვა. საზგასმით აღნიშნავდა რა, რომ „დავისა და ბრძოლის ორი ხერხია“, ვ. ი. ლენინი წერდა: ეცადეთ კამათით, საუბრებით, დისკუსიებით სავსებით ვაარკვეით საკითხები, მაგრამ თვალყური ადევნეთ იმას, რომ აქ დაგა არ გადაგვარდეს ერთმანეთის ლანძღვად. ჭორიკანობად, ცილისწამებად, თავიდან მოიშორეთ ისინი, ვინც კამათს ლანძღვით სცვლის. ავითარებდა რა ამ დებულებას, ბოლოს ვ. ი. ლენინი დაასკვნია: „თუ არ წარმოებს კამათი, დავა და აზრთა ჭიდილი — რაიმე მოძრაობა, მათ შორის მუშათა მოძრაობაც, შეუძლებელია. თუ უღმობლად არ შეგებრძოლეთ დავის გადაგვარებას ლანძღვად და კინკლაობად, არ ავითარი ორგანიზაცია არ მოხერხდება“ (თხზ., ტ. 19, გვ. 588-589).

განვითარების ყველა ეტაპზე კომუნისტური პარტია მუდამ მტკიცედ ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ამ გენიალური ლენინური დებულებით, დაუცხრომლად ზრუნავდა და ზრუნავს თავისი რიგების ერთიანობისათვის, ხალხთან კავშირის შეუნელებელი განმტკიცებისათვის. იგი ყურს უგდებს მასების ხმას, სწავლობს და ითვისებს წინასწარ განმარტვებებს, სურვილებს და მოთხოვნებს. განუმარტავს თავის გადაწყვეტილებებს და რაზმავს მათი წარმატებით განხორციელებისათვის. ჯერ საკითხების განხილვაში, ხოლო შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის განაღებულ ბრძოლაში მშრომელთა უადრესად აქტიური მონაწილეობით განახორციელა პარტიამ უკანასკნელ წლებში ისეთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, როგორცა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების წესის შეცვლა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ერთიანი ფასების დაწესება, საკვებ-მო ორგანიზების გარდაქმნა-განმტკიცება, პროფკავშირების უფლებათა გაფართოება და მათი მუშაობის გარდაქმნა. რამაც უზრუნველყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი მეცეთრი აღმავლობა. პარტია ხალხს მოეთათობრა ავრეთვე, როცა იმუშავებდა ღონისძიებებს ცხოვრებასთან სკოლის განმტკიცებისათვის, როცა ამუშავებდა სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ გეგმას და ა. შ.

მართალია, ჩვენი პარტია თავისი გენერალური ხაზის შემუშავება-განხორციელებაში წააწყდა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინის



სა და შეიღოვის ანტიპარტიული გეგუფის წინა-აღმდეგობას. მაგრამ საბჭოთა ხალხის მხარდაჭერითა და დახმარებით ზოლომდე ამბილა ამ ანტი-პარტიული გეგუფის ფრაქციული მპეჩიანობა, გაანადგურა იგი და კიდევ უფრო მკვიდროდ დარაშმა მასები პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ამოი გამოვლა თანამედროვე რევიზიონისტების ცდაც დაემცირებინათ პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს როლი კომუნიზმის მშენებლობაში. როგორც ცნობილია, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა გაასაღეს ბრძოლა პიროვნების კულტთან დაკავშირებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოსაფხვრელად. იუგოსლავიელი რევიზიონისტები პიროვნების კულტის წარმოშობის მიზეზს შეენს საზოგადოებრივ სისტემაში ექებდნენ, რათა შეეზოყათ საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი და განსუთქილება შეეტანათ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში.

რევიზიონისტები ცდილობენ შეასუსტონ სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობა და გადაჭრით ილაშქრებენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინური პრინციპების წინააღმდეგ. იუგოსლავიელი რევიზიონისტები უარყოფენ აგრეთვე კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის საერთო კანონზომიერებებს და აღიარებენ იუგოსლავიის რაღაც თავისებულ გზას. ისინი ცდილობენ ცალკეული ქვეყნის ხალხთა ეროვნული, სპეციფიკური პირობები დაუპირისპირონ მშრომელთა საერთო ინტერნაციონალურ ინტერესებს. მაგრამ მრავალი ცდის მიუხედავად, რევიზიონისტებმა მარქსისტულ-ლენინური გზიდან ვერ გადააცილნენ ვერც ერთი მუშათა და კომუნისტური პარტია.

პარტიის XXI ყრილობამ ახალი ძალით ცხადყო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მძლავრი დარაშმულობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, კომუნისტური და მუშათა პარტიების უსაზღვრო ერთგულება მუშათა კლასის საქმისადმი მშვიდობისა, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

შვიდწლიანი გეგმის ძველამოსილად შესრულება, აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების სახალხო-სამეურნეო გეგმების განხორციელება შექმნის საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების უფრო ხელსაყრელ პირობებს. ჩვენი პარტია და მთავრობა კვლავც განახორციელებენ ლენინურ მშვიდობისპოვნარულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება და განმტკიცება სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანარსებობის პრინციპის საფუძველზე, განახორციელებენ «ცივი ომის» შეწყვეტისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების კურსს, ყველა ღონისძი-

ებით განამტკიცებენ მსოფლიო სოციალისტურ სისტემას.

საბჭოთა ხალხის დაუშრეტელი შემომქმედებითი შრომით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შვიდწლიანი გეგმის წარმატება გადაწყდება უშუალოდ საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში. აი სად ხორციელდება კაციობრიობის ყველაზე გამედული ოცნებანი!

კომუნისტური საზოგადოების აშენება ახლა პარტიისა და ჩვენი ხალხის უშუალო პრაქტიკული ამოცანა გახდა. ამას მოწოდებს პარტია: XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, სახალხო მეურნეობის 1959-1965 წლების შვიდწლიანი გეგმა. მისი ძირითადი ამოცანაა მიძიმ ინდუსტრიის უზირატეტი განვითარების ბაზაზე შემდგომ გაძლიერდეს სსრ კავშირის ეკონომიური პოტენციალი, გადაწყვეტი ნაბიჯი გადაიდგას კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ჩვენი ქვეყნის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულებაში, მიღწეულ იქნას ხალხის ცხოვრების დონის განსუწყვეტელი ამაღლება.

თუ როგორ სწრაფად განვითარდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა მიმდინარე შვიდწლიდში, ამას მკაფიოდ მოწოდებს ის ფაქტი, რომ 1965 წელს სოციალიზმის ქვეყნები გამოუშვებენ მთელი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტს. შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად სსრ კავშირის დასტინდება კიდევ სული ხუთი წელიწადი, რათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ დაეწიოს და გაუსწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს. «მასხასადამე, ამ დროისათვის, ან იქნებ უფრო ადრე, — ამბობდა ამხ.

ნ. ს. ხრუშჩოვი პარტიის XXI ყრილობაზე. — საბჭოთა კავშირი გამოვა პირველ ადგილზე მსოფლიოში როგორც წარმოების აბსოლუტური მოცულობის მხრივ, ისე ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ეს იქნება სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მშვიდობიან შეჯიბრებაში კაპიტალიზთან საერთაშორისო ასპარეზზე». ამრიგად, შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლა მოასწავებს ახალ, გადაწყვეტ ეტაპს კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან შეჯიბრებაში.

მთელი სახალხო მეურნეობის შეუწელებელი აღმავლობა უზრუნველყოფს ხალხის საარსებო დონის ახალ მკვეთრ ამაღლებას. საქმარისია ითქვას, რომ სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1965 წელს 1958 წელთან შედარებით გაეზრდება 62-65 პროცენტით, ე. ი. ოთქქმის ექვსჯერ გადააქარბებს ოამდელ 1940 წლის დონეს. 60-63 პროცენტით გაეზრდება სახალხო მოხმარების საცნების წარმოება, ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდება ახსუთმეტეტი მილიონი ბინა, ხოლო სოფელ ადგილებში — დაახლოებით შვიდი მილიონი ად-

სოფრეხელი სახლი, მცირეხელფასიან მუშათა და მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასი ვაიზრდება ხუთას-ექვსას მანეთამდე თვეში, ხოლო მთლიანად მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი ვაიზრდება ორმოც-ორმოცი პროცენტით. უმნიშვნელოვანესი სოციალური ღონისძიებებია აგრეთვე სამუშაო დღისა და სამუშაო კვირის შემცირება. 1960 წელს დამთავრდება მუშა-მოსამსახურეების გადაყვანა შეიდი საათის სამუშაო დღეზე, ხოლო ქვეანახშირისა და სამთამდნო მრეწველობაში წამყვანი პროცესების, მიწისქვეშა სამუშაოებში დასაქმებული მუშებისა — ექვსი საათის სამუშაო დღეზე. 1964 წლიდან შეეუდგებით 35-30 საათის სამუშაო კვირაზე გადასვლას კვირაში ორი დასასვენებელი დღის შემოღებით. ამის შედეგად ჩვენს ქვეყანაში იქნება ყველაზე მოკლე სამუშაო დღე და ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა.

მაგრამ კომუნისტური პარტია სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად ხელმძღვანელობს და წარმართავს არა მარტო სამეურნეო მშენებლობას და უზრუნველყოფს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას; არამედ ამავე დროს დაუცხრომლად ზრუნავს საზოგადოების ყველა წევრის შეგნების ამაღლებისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია საბჭოთა ადამიანების შეგნების დონე, მით უფრო წარმატებითაა კომუნისტური მშენებლობა ჩვენში. ამიტომ მშრომელთა, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობის კომუნისტური შეგნებულობის ამაღლება, ადამიანთა შეგნებაში ბურჟუაზიული გადმონათობის დაძლევა, გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და ყველა სხვა ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ხელმძღვანელობს და წარმართავს რა საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების მთელ განვითარებას, კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენი საზოგადოების თვითეული წევრის კულტურული ღონის ამაღლებისათვის, მათში ახალი ადამიანის საუკეთესო მორალური თვისებების აღზრდისათვის. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მთელი იდეოლოგიური მუშაობა, — თქვა ანხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXI ყრილობაზე. — მოწოდებულია განუვითაროს საბჭოთა ადამიანებს ახალი თვისებანი, აღზარდოს ისინი კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სო-

ციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პარტიოტივიზმის, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით. კომუნიზმს, ყველაზე სამართლიან და სრულყოფილ საზოგადოებას რომ მივადწიოთ, როცა მთლიანად გამოიწმინდება თავისუფალი ადამიანის ყველა საუკეთესო წინაპირობები თვისება, საჭიროა უკვე ახლა აღვზარდოთ მომავლის ადამიანი“.

ამ საქმეში, მომავლის ადამიანთა აღზრდაში, იდეოლოგიური მუშაობის სხვა ფორმებთან ერთად, განსაკუთრებით დიდია ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელობა. იგი მოწოდებულია შექმნას ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანთა შეგნებაში შემორჩენილი ბურჟუაზიული გადმონათობების სრულ ლიკვიდაციას და მათ აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით. ამ დიდ და უაღრესად საპატიო ამოცანას ჩვენი მწერლები და ხელოვნების მუშაკები მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაწყვეტენ წარმატებით, როცა განუხრელად დაიცვენ ლიტერატურის პარტიულობის ლენინურ პრინციპს, შემდგომ განამტკიცებენ კავშირს ხალხთან, მის ცხოვრებასთან.

განუხრელად მიდის რა წინ დიდი ღვინის მიერ ნაჩვენები გზით, კომუნისტური პარტია მტკიცედ მიუძღვის კომუნიზმისაკენ მთელ საბჭოთა ხალხს. იგი მუდამ იმარჯვება და იმარჯვებს მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულებით, ხალხთან თავისი ურდვევი კავშირით. კომუნიზმისათვის ბრძოლის იდეას პარტია ხალხს აცნობს საცხებით ვარკვეული ამოცანების სახით, ხელმძღვანელობს და წარმართავს მშრომელთა ღონისძიებებს მათი წარმატებით გადაჭრისათვის. და საცხებით კანონზომიერია, რომ საბჭოთა ხალხს მშობლიური კომუნისტური პარტია მიანიჩა ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად, ნაცად ბელადად და მასწავლებლად. ყველა პარტიისანი მშრომელი, მთელი საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ენდობა ლენინურ კომუნისტური პარტიას, რადგანაც კარგად იცის, რომ ჩვენი პარტია, როგორც ხალხის მოწინავე რაში, მისი ავანგარდი, ბელადი და მასწავლებელი, განუხრელად ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძღვე მოძღვრებით. მასების მზარდაქვითა და აქტიურობით წარმატებით გადაწყვეტს მის წინაშე მდგომ გრანდიოზულ ამოცანას — ჩვენს ქვეყანას მიიყვანს კომუნიზმის ძლევამოსილ გამარჯვებამდე.



შოთა შუკიძე

მხატვრული ოსტატობის ზოგიერთი საკითხი

უპირალო კემშარიტეზაა — ყოფელი მოთბრო-
ზა, ისევე როგორც ყველა სხვა ქანრის ნაწარმო-
ები, აუცილებლად მხატვრული უნდა იყოს. უამ-
პრობოდ იგი, ცხადია, არ შეიძლება მიეკუთვნე-
ნოთ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, რავინდ კე-
თილშობილურ იდეასაც არ უნდა შეიცავდეს. სა-
სიხარულოა, რომ ახლა ბეკრი აღარ არიან ლი-
ტერატორები, რომლებიც საწინააღმდეგო აზრს
იცავდნენ და ამტკიცებდნენ, თათქოს ნაწარმოე-
ბის ფორმა, მისი მხატვრულობა არც ისე მნიშე-
ნელოვანი რამ არისო. ახლა ყველა აღიარებს,
რომ რაც უფრო მაღალია ნაწარმოების მხატვრუ-
ლი დონე, მით უფრო დიდი და თვალსაჩინოა მია-
სი შემოქმედების, ე. ი. აღმზრდელობითი ძალა.
აი რით აისწნება, რომ ამ ბოლო დროს განსა-
კუთრებული ყურადღება ეთმობა მხატვრული
ოსტატობის საკითხებს.

მაგრამ თვითონ ცნების — მხატვრულობის გავე-
ზაში, როგორც უკანასკნელი წლების ლიტერატუ-
რული პრობლემა ცხადყოფს, ასეთი ერთსულოვ-
ნება როდღ შეინიშნება.

ზოგიერთი, მაგალითად, კვლავ ფიქრობს, თი-
ლქოს მხატვრულობა უპირველეს ყოვლისა თავს
იჩენს ასახახავი მოვლენის დიაღობაში, ანუ,
სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ის, რასაც მწერა-
ლი ასახავს, უადრესად მნიშვნელოვანია, ნაწარ-
მოებიც მხატვრულია, თუ არა, ყოველგვარ მხატ-
ერულობაზე ლაპარაკიც შედმეტია. ძნელი არ
არის, ასეთ მტკიცებაში შეენიშნოთ ფორმის,
მხატვრულობის უგულვებელყოფა, ხოლო მხატვ-
რულობის უგულვებელყოფას ყოველთვის მიეყე-
ვართ სქემატიზმისაკენ, გაუბრალოებისაკენ, რო-
ცა მწერალს უნარი არ შესწევს დახატოს ცოც-
ხალი ადამიანები. მხატვრულად განასხებულის

ნაწარმოების იდეა, ამიტომ, ჩვენი აზრით, ხავ-
სებით მართალი იყო აკაკი წერეთელი, როცა ამ-
ზომდა: „ნიჭი და ხელოვნება საგნის დიაღობაში
კი არ არის, არამედ მათ გამოხატვაში და ვათვა-
ლისწინებაში“.¹

მართებულად არ შეიძლება მივიჩნიოთ არც
მტკიცება, თითქოს მხატვრულობა სხვა არაფე-
რია, თუ არა ნაწარმოების შემკობა ათასნაირი
სამკაულით, ამ შეხედულების მომხრენი ფიქრო-
ბენ, რომ რაც უფრო მეტია სამკაული, მით უფ-
რო ნიჭიერია მწერალი და მით უფრო მაღლ-
მხატვრულია ნაწარმოები. აქედან ბუნებრივად
მომდინარეობს გონგორიზმი, მიდრეკილება ყალ-
ბი ნოვატორობისა და ბრტყვილია „მხატვრულო-
ბისაკენ“. რა თქმა უნდა, მხატვრულობის ასე-
თი გაგება ძირშივე მცდარი და მიუღებელია. იგი
ხომ გარდუვალად გულისხმობს შინაარსისა და
ფორმის მექანიკურ გათიშვას, ფორმის უპირატე-
სობის აღიარებას, ნაწარმოების ფორმით ვადა-
ჭარბებული გატაცება კი ყოველთვის მიზნად
ისახავს დაფაროს შინაარსის სიღატაკე.

სამწუხაროდ, მხატვრულობის ასეთი გაგება
უკანასკნელ წლებში შედარებით ფართოდ გავრ-
ცელდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა პროზაი-
კოსთა შორის, და ეს შემოხვევითი როდია, იგი
წარმოიშვა მაღალი მხატვრული ოსტატობისათ-
ვის ბრძოლაში, როგორც რეაქცია იმ სქემატიზ-
მისა და გაუბრალოების ტენდენციებისა, რომლე-
ზიც საკმაოდ ფეხმოვადგმული იყო ჩვენს პროზაში.
მაგრამ მოქნეული ყოველთვის მოზომილი რო-
დია და ზოგიერთმა ლიტერატორმა ნაბან წყალს
ბავშვიც გადააყოლა — ფორმის სრულყოფით
გატაცებულმა დაივიწყა შინაარსი, დაივიწყა, რომ

¹ განხილვის წესით.

1 აკაკი წერეთელი, თბზ., ტ. VI, 1957 წ., გვ. 151.



ნაწარმოები მხატვრული მსოფლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როცა მასში ერთმანეთს ბედნიერად ერწყმის შინაარსი (იდეა) და ფორმა. მწერალს უნდა აინტერესებდეს არა მარტო როგორ თქვას, არამედ უპირველეს ყოვლისა რა და ვისთვის თქვას, რადგან სწორედ სათქმელი განსაზღვრავს თქმის ფორმას, მის თავისებურებებს.

ამ ერთი შეხედვით სრულიად უბრალო ჭეშმარიტების დაფიქრებას შედეგად მოჰყვება ფორმალისტური მისწრაფებათა გაღვივება, ცალკეული მხატვრული ხერხების გაფიქრება და ბრმა მიზნაძველობა. ძველი რომ უკუაგდო, თავისთავად ცხადია, საჭიროა ახალი შექმნა, მაგრამ ახლის შექმნა არც ისე იოლია. და აი ახალგაზრდა პროზაიკოსთა ერთმა ნაწილმა გამოსავალი იმაში პოვა, რომ მიმართა უცხოურ ლიტერატურას და ცდილობს ქართულ სივრცეზე ვადმიწეროს ზოგჯერ თანამედროვე სასაზღვარეო მწერლის, უპირველეს ყოვლისა კი გამოჩენილი ამერიკელი ბელეტრისტის ერნსტ ჰემინგუეის შემოქმედებითი გამოცდილება.

რა თქმა უნდა, მწერლის სრული უფლება აქვს გამოიყენოს სხვათა გამოცდილება, მაგრამ მსოფლოდ იმ პირობით, თუ მას თავისებურად გადაამუშავებს, გარდაქმნის, „გაითავისებს“ და შეუგუბებს ეროვნულ ტრადიციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უბრალო ემიგრანტს ვერ გავლებს და ვერც რაიმე მნიშვნელოვან შექმნას მსოფლიურ ლიტერატურას. ჩვენი ცალკეული ახალგაზრდა პროზაიკოსები კი ამას რატომღაც არ ითვისებენ და მექანიკურად გადმოაქვთ სხვათა მხატვრული ხერხები, რითაც ხელს უწყობენ ემიგრანტული სულისკეთების გავრცელებას და კარგავენ შემოქმედებით ინდივიდუალობას, ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანის ამ უძვირფასეს თვისებას.

თუ რა სამწუხარო შედეგი შეიძლება მოჰყვება სხვა მწერლის მხატვრული ხერხის მექანიკურ გადმოღებას, ამას ცხადყოფს ახალგაზრდა პროზაიკოსის თამაზ ბიბილურის პატარა მოთხრობა „ჩემი და“.

როგორც ცნობილია, ამ ბოლო დროს ქართულ პროზაში ფართოდ გავრცელდა ერთი, არცთუ ახალი, მხატვრული ხერხი — როგორღაც ისე ხდება, რომ მოთხრობების დიდ ნაწილს ახალგაზრდა პროზაიკოსები პირველი პირით წერენ. ისე გამოდის, თითქოს მოთხრობა აუცილებლად პირველი პირით უნდა დაიწეროს და მწერალი და გმირი სავსებით გაითქვიფოს ერთმანეთში, მთლიანად დაემთხვენენ ერთმანეთს. მაგრამ ამგვარ დამთხვევას გამართლება მარტო მაშინ აქვს, როცა ნაწარმოების გმირი უშუალოდ გადმოსცემს მწერლის მსოფლმხედველობას, მის იდეას და მათ კლდის სხვაობა ამ მხრივ არ შეინიშნება. სერგო კორდიანელის, მაგალითად, აქვს ძლიერი პატარა მოთხრობა „სოფლის ვაზზე საქართველოში“. ავ-

ტორის მიზნად დაუსახავს ექვემდებარება ქართული სტუმართმოყვარეობა, პატოსანი ქართველთა უცხოების მქედრო სულიერი კავშირი მთავრობის ხელის თან და თხრობას პირველ პირში წარმართავს ისე, რომ გმირს სახელიც კი არა აქვს. თემის ასეთი გადაწყვეტა ამ შემთხვევაში სწორია და გამართლებული, რამდენადაც მოთხრობის გმირის ფიქრები და განცდები, მისი იდეა საეუსებით შესაბამება მწერლისა და, მაშინადაც, თვითუფლები ჩვენგანის ფიქრებსა და გრძობებს.

სულ სხვა შედეგს ვეძიებენ ასეთივე მხატვრული ხერხი თამაზ ბიბილურის მოთხრობაში „ჩემი და“. ამ ნაწარმოების გმირსაც არა აქვს სახელი და ისიც გეუყვება ამავეს, რომელიც მოთხრობას ქმნის. მაგრამ საქმე ის არის, რომ სერგო კლდიაშვილის მოთხრობის გმირი თანამედროვე ქართველი კაცია და მის აზრებს, მის იდეებს, როგორც ეთქვით, არ შეიძლება არ დაეთანხმოს საბჭოთა მკითხველი, თავისად არ მიიჩნოს მისი განცდები. თამაზ ბიბილურის მოთხრობის პერსონაჟი კი ჩამორჩენილი ადამიანია და გაუგებარია, რატომ უნდა მწერალს გამოიწვიოს მკითხველის თანაგრძობა მისდამი, ან რატომ თვითონ თანაუგრძობს მას.

ამგვარა, ახალგაზრდა მწერალმა მექანიკურად გადმოიღო მხატვრული ხერხი, არ გაითვალისწინა, რომ მისი გმირი დრონიჭმული და მანვე ტრადიციების ტყვეობაშია, რომ იგი ჩამორჩენილი ადამიანია და არ შეიძლება საბჭოთა მწერალი იდუარად დაემთხვეს მას. ახალგაზრდა ავტორს რომ ანგარიში გაეწია სერგო კლდიაშვილისა და ქართული მოთხრობის სხვა ოსტატების გამოცდილებისათვის, ერთმანეთისაგან არ მოეწყობა შინაარსი და ფორმა, მაშინ, ცხადია, ასეთი მარცხი არ მოუვლიდა და შექმნიდა ისეთ ნაწარმოებს, რომელიც სწორად ასახავს ჩვენს სინამდვილეს. ჩვენს ადამიანებს და დავესმართოვინა მკითხველს ცხოვრების ღრმად და მართლად შეცნობაში.

ამავე მიზეზით, ე. ი. ამა თუ იმ მხატვრული ხერხის მექანიკური გადმოღების გამო, მსგავსი შეცდომები მოსდით სხვა ახალგაზრდა ავტორებსაც. განსაკუთრებით პერსონაჟის ხასიათის ჩვენების ე. წ. „სტატიკურ“ მკვლამრეობაში. ასეთ მხატვრულ ხერხთან საქმე მაშინ გვაქვს, როცა მწერალი არ ცდილობს ესა თუ ის ხასიათი გვიჩვენოს ცვალებადობაში, განვითარებაში, როცა მწერალს აინტერესებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა განცდების „კასკადი“, არამედ ერთი რომელიმე „საუბერი“ ამ „კასკადიდან“. ასეთია, მაგალითად, ილია რურუას „ჩემი და“, „დიმილი“, ლ. გოგიშვილის „წითელი ვარდი“, გ. ჩრეულიშვილის „თვინთვლა“ და ბევრი სხვა. მათი ავტორები კმაყოფილდებიან მხოლოდ ერთი ეპიზოდით, ერთი შემთხვევით პერსონაჟთა

განცდების მთელი „კასკადიან“ და შედარებით ვრცლად გადმოგვეცემენ მას. ამის გამო ხასიათი არ იცვლება, არ ვითარდება, „სტატკურ“ მდგომარეობაშია.

რასაკვირველია, ამ მხატვრულ ხერხსაც დღეს რაიმე სიახლედ ვერ მივიჩნევთ. თავის დროზე მას ქართულ პროზაში დიდი წარმატებით იყენებდა ნიკო ლორთქიფანიძე, დღეს კი ოსტატურად იყენებს სერგო კლდიაშვილი. განსაკუთრებული ძალით იზინა მან თავი ისეთ მოთხრობებში, როგორცაა ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმირით“ და სერგო კლდიაშვილის „შემოდგომის წვიმა“. „სიახლედ“ უნდა მივიჩნიოთ მისი გაფუტყვება. რატომაც ფიქრობენ, რომ კარგი მოთხრობა შეიძლება დაიწეროს მხოლოდ მაშინ, თუ მოქმედი პირის ხასიათს გადმოსცემენ არა მოძრაობა და ცვალებადობაში, არამედ „სტატკურ“ მდგომარეობაში. ასეთი დაპირისპირება ორი მხატვრული ხერხისა უთუოდ უაზრო და გაუმართლებელია. როგორც ერთს, ისე მეორეს აქვს თავისი ღირსება. საქმე მხოლოდ ხელოვანის ოსტატობაშია, მის მიზანდასახულობაში. თუ მივახსენებ, რომ განცდების „კასკადის“ ჩვენებით უკეთ გადმოსცემ იღვას, გამოიყენე იგი, თუ არა, მაშართე სხვა ხერხს, რომლითაც უკეთ იტყვი სათქმელს. თუ გადაწყვიტე ხასიათი აჩვენო „სტატკურ“ მდგომარეობაში, მაშინ აუცილებელია კარგად, ყოველმხრივ აწონ-დაწონ „კასკადის“ თეატრული „საფუტყი“, რათა მათგან შეარჩიო ნამდვილად დამახასიათებელი, სადაც შედეგებული სახით წარმოგვიდგება მოქმედი პირის ხასიათი, მოვლენის არსი. აქ სიძნელეს ის ექმნის, რომ საუკრობა მოვლენათა, განცდათა ვაჟ-რიმან შეარჩიო სწორედ ის მთავარი რგოლი, რომლის შემწეობითაც ამოზიდავ მთელ ვაჟებს.

უთუოდ ცდება ის, ვინც ფიქრობს, თითქმის ნიკო ლორთქიფანიძეს, როცა თავის მოთხრობას „ტრაგედია უგმირით“ წერდა, სხვა არაფერი აინტერესებდა, თუ არა ექვევებინა, რა სახედის-წერო შედეგი შეიძლება მოჰყვეს მშობლის მალაღობი მოვლით დაეწყება. არა, მას იმდენად შედეგი კი არ აინტერესებდა, რამდენადაც მიზეზი: რატომ მოხდა, რომ მამამ დაივიწყა თავისი უწყმიდესი მოვალეობა, როგორც მშობელმა? სრულიად უფუტყელია, რომ საკუთრების შემთხვევაში იგი უყოყმანოდ მიუშვერდა მკერდს ტყვიას, რათა შეიღებო დაფურთხა, მაგრამ უკიდურესი შამშიდის გრძობამ წაით მასში ყოველგვარი სხვა გრძობა მოსპო და, როგორც კი გამოერკვა, მიხვდა, თუ რა საშინელი დანაშაული ჩადინა და საკუთარი საცქივლით შეძრწუნებულმა თავი დამოიხრჩო. მაგრამ ვინ არის დამნაშავე ამ უბედურებაში? მართალია, მწერალი პირდაპირ არააფრებს ამზობს ამაზე, პირდაპირ არ ასახელებს დამნაშავეს. მაგრამ მკითხველს არ გაუჭირდება

მიანოს სწორ პასუხს — კაპიტალისტური წყობილება, სადაც მშრომელ ადამიანს ლანდფუტელთან დასდევს შიმშილით სიცივლის სპეციალური

აი როგორ შეარჩია ნიკო ლორთქიფანიძემ ეპიზოდი, როგორ მიაგნო იმ რგოლს, რომლის შემწეობითაც ამოზიდა მთელი ვაჟები, რა ვასაოცარი ძალით გაუსვა ხაზი სოციალურს, რა დამაჯერებლად, რა მკაფიოდ გვიჩვენა ვლენკაცის ბედი ექსპლოატატორულ საზოგადოებაში. მართალია, ჩვენ არ ვიცით მოთხრობის გმირის თავგადასავალი, მისი ხასიათი გადაწყვეტ მომენტამდე, ვიდრე იგი იძულებული არ გახდა მოშლის მოვალეობა დაევიწყებინა და თავი ჩამოეხრჩო, მაგრამ ეს არც არის აუცილებელი, იგი ხელს არ გვიშლის ნათლად წარმოვიდგინოთ უბრალო ადამიანის სამინელი ხვედრი კაპიტალისტური წყობილების დროს და პერსონაჟის ხასიათის ძირითადი ნიშნები.

ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი კი გვერდს უვლის ქართული მოთხრობის ამ გამოცდილებას, თვლი უცხოელი მწერლებისავე უჭირავს და ვერ შორდება კამერულობის ჩარჩოებს. ისინი ივიწყებენ, რომ „სტატკური“ ხასიათის გადმოცემა უთუოდ მხატვრულ ტალანტთან ერთად მოითხოვს ცხოვრების ღრმა, ყოველმხრივ ცოდნას, ფართო სოციალური განზოგადების უნარს. მხატვარს ძალად უნდა შესწევდეს არა მარტო ლამაზად აღწეროს ესა თუ ის შემთხვევა, ესა თუ ის ეპიზოდი, არამედ ამავე დროს ნათელი წარმოადგინა მოცუვის ხასიათზე, არ მოეწყვედეს კამერულობის ჩარჩოებში და შექმნას ღრმად სოციალური ნაწარმოები, რომელიც ხაზს გაუსვამს არსებული საზოგადოებრივი წყობილების არსებით ნიშნებს. ამისათვის აუცილებელია გულდასმით შევარჩიოთ „კასკადის“ ასასხავი „საფუტყი“.

მივანათ ყველაზე დამახასიათებელ, ყველაზე მეტყველ ეპიზოდს. არ ჩავეკილოთ პირველსავე ხელში მოხვედრილ „საფუტყსა“ თუ რგოლს. ამ მხრივ საკულისხმთა ახალგაზრდა პროზაიკოსის გ. რჩეულიშვილის მოთხრობა „სათავური“. მასში ავტორს უცდია გადმოეცა საბჭოთა ადამიანის ოჯახური იდილია და მიუმარჯუებია ხასიათის „სტატკური“ მდგომარეობაში ჩვენების მხატვრული ხერხი, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდა მწერალს არ ეყო ცხოვრების ცოდნა, არ ეყო გამოცდილება, თემის გადაწყვეტას შეეცადა წმინდა ტექნიკური თელსაზრისით და ამიტომ, ბუნებრივია, ვერ მიადგინა დასახულ მიზანს. მოთხრობა გამოვიდა ტექნიკურად გამართული, მაგრამ მეტისმეტად კამერული, რომელშიც არ ჩანს ფართო სოციალური განზოგადება, არ იგრძნობა ეპოქისა და, მაშასადამე, არც ოჯახისა და ადამიანების თავისებურებანი. და ეს ამიტომ, რომ თვითონ ეპიზოდი, რომელიც საფუტყლად უდევს მოთხრობას, ძლიერ უმნიშვნე-

ლოა, მეტისმეტად წვრილმანია. სამსახურიდან დაბრუნებულ ლევანს ცოლი საყვედურით ხედება — ხომ იცი, ვირთავგამ შემაწუხა, სათაგური რად არ მოიტანო. ლევანი ამშვიდებს მეუღლეს და პირდება: ამაღამ სასწრაფო სამუშაო მაქვს, გვიან დავიბრუნებ და ვირთავგას მოვკლავო. მეორე დღით კმაყოფილმა ცოლმა მოკლული ვირთავაგა სიამაყით უჩვენა მეზობელს და დიდი სიამოვნებით მიისმინა ქმრის ქება: „შენ რომ ქმარი გავს, ტყუილია, ჩემს ვანოს კი არა ჰგავს“. ეს არის და ეს. აშკარაა, გ. რჩეულითაღმოსაყობი აღმოსაზრდა სათქმელი იყო არა, თუმცა ხასიათი ასახა „სტატიკურ“ მდგომარეობაში.

უფლოდ ხანტერებს და საჯულისხმობა: რატომ მისდა ასე?

იმიტომ, რომ ნიკო ლორთქიფანიძე მსატერულ ხერხს განიხილავდა როგორც საიქმელის გადმოცემას, ცხოვრებას ასახვის საშუალებას და არა როგორც თვითმხიანას. მას არავისი გაოცება არ სურდა არც „ღამაზი“ მეტყველებით და არც „უკბი“ ან „იშვიათი“ მხატვრული ხერხით. მან მშვენიერად იცოდა, რომ კარგი მოთხრობისათვის როდესაც კმარა ისეთი მხატვრული ხერხი მართო, რომელსაც შედარებით იშვიათად ხმარობენ, არანაღ სწორედ იმ, და არა სხვა, ხერხს, რომლითაც უკეთ იტყვი სათქმელს. მართალია, გ. რჩეულითაღმოსაყობი არჩეული მხატვრული ხერხით შექმლო დაქვია თემა, მაგრამ მან დაიფიქრა მეორე მოთხრობა — გულდასმით არ შეარჩია ეპიზოდი, ასახავი „საფეხური“, ჩაეჭიდა პირველსავე ხელში მოხვედრილ რკოლს. რითაც ნებით თუ უნებლიედ შინაარსი მიოწყებდა ფორმას და, ცხადია, ვერ მიაღწია მიზანს, ვერ შექმნა ფართო შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება ნაწარმოებში.

ამ საკითხს ბუნებრივად უკავშირდება სიუჟეტის პრობლემა.

ახლა არცთუ იშვიათად გაიგონებთ მტკიცებას, რომ სიუჟეტი მოკვდა, მან უკვე ამოსწურა თავისი თავი და ღროა იგი უკუვადლოთ, როგორც ლიტერატურის განვითარების შემაფერხებელი. ასეთ შეხედულებას საფუძვლად უდევს ყალბი მოსაზრება, თათქოს კლასიკოსები სიუჟეტს ღიად როლს აკისრებდნენ იმიტომ, რომ სხვა არაფერი ჰქონდათ თავიანთ არსენალში, რითაც შექმლით მკითხველის დაინტერესება. რა თქმა უნდა, ეს სწორი არ არის. კლასიკოსების შემოქმედება მართო სიუჟეტი კი არ იზიდავდა მკითხველებს, არამედ უპირველეს ყოვლისა პროზაული, მოწინავე იდეებით, ცხოვრების ასახვის გასაოცარი უნარით, პერსონაჟთა ღრმა ფსიქოლოგიური და სოციალური დახასიათებით. სიუჟეტი მწერალს ესაჭიროებოდა სათქმელის მისატანად მკითხველამდე. ამასთან გადაწყვეტი მიწინეულობა ჰქონდა არა თვითონ სიუჟეტის დამაინტერესებლობას, არამედ ხელოვანის უნარს — შეერჩია ისეთი სიტუაციები, სადაც ნაწარმოების გმირები შეიძლება სრულად გამოავლენდნენ მხატვრული ძირითად თვისებებს, მწერლის დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, ასახული მოვლენებისა და ადამიანებისადმი. განა ილია ჭავჭავაძის მოთხრობების „ოთარანთ ქერივისა“ თუ „სარჩობელაზე“ პოპულარობა მართო საინტერესო სიუჟეტი უნდა ვეძიოთ? განა ეგნატე ნინოვილის „ქრისტინე“ თავბრუდამხვევი ამბებით, „ეფექტური“ სიუჟეტი გვზიდავს? მაშასადამე, მკითხველებს კლასიკოსები იზიდავდნენ და იზიდავენ არა იმდენად საინტერესო სიუჟეტით, რამდენადაც ცხოვრების მართალი და ყოველმხრივი ასახვით, ხასიათების გამოკვეთის დიდი უნარით.

სამუთა ლიტერატურის გენიალური ფუძემდებელი მაქსიმ გორკი სიუჟეტს უწოდებდა გმირის ხასიათის ორგანიზაციის ისტორიას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწერალმა უნდა შეარჩიოს ისეთი სიტუაციები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მას ვახსნას გმირის ხასიათი. ვიკინგოს მისი სულიერი სამყარო, მისი დამოკიდებულება ცხოვრებისა და ადამიანებისადმი. უდავოა, რომ ყოველ პერსონაჟს შეუძლია ხასიათი გამოამჟღავნოს სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, რაც მწერლისაგან მოთხოვს შეუქმნას მას სათანადო სიტუაციები, სათანადო გარემო.

მართალია, ერნსტ ჰემინგუის ბრწყინვალე მოთხრობის „მოხუცი და ზღვა“ ზეგავლენით ამ ბოლო დროს მომზადდა მოთხრობები, რომლებშიც ადამიანი მართლმართა და მინც ამჟღავნებს ხასიათს, მაგრამ ეს გამოხატვისათვის საერთო წესიდან, ამასთან, რაც მთავარია, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ შემთხვევაშიც ადამიანი ავლინებს ხასიათს იმ ნიშან-თვისებებს, რომლებიც მანამდე, აღწერილ ეპიზოდამდე შეუძენია საზოგადოებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. განა ცხოვრებამ არ გამოიწვევა მოხუც მეთევზეში ის გაუტყებელი ნებისყოფა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სპორტული ჟინი, რაც ასე გვზიდავს ჰემინგუის მოთხრობაში? განა ასევე არ არის დანიელ დეფოს „როზინზონ კრუზოში“?

სხვათაშორის, არის ცდები ქართულ მოთხრობაშიც გადმონერგონ „ერთგმირიანი“ სიუჟეტი. კერძოდ, ასეთ ცდად უნდა მივიჩნიოთ ედიშერ ყიფიანის „მსჯავრი მთებისა“, მიხელო გორგილაძის „უცნობი ქალიშვილი“ და სხვ. როგორც ჰემინგუის მოთხრობაში მოხუც მეთევზე მართლმართო ებრძვის სიმწიფეებს გამოვლენაში, ისე ახალგაზრდა სწავლული ასლანიც მართლმართო ებრძვის სიმწიფეებს მყინვარწყერის ყინულებში. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჰემინგუეში თავის გმირს შეუქმნა საკუთარი ბუნებრივი სიტუაცია — მიხუცი მეთევზე მართო ვადის ზღვაში, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, კანონზო-



მიერია. სამაგიეროდ ნაკლებ დამაჯერებელია, როცა ასლანი მარტო აღმოჩნდება ყინულზეში. ამ უხერხულობას ავტორიც გრძობს და ცდილობს როგორმე გაამართლოს იგი: „პირველ წესს. — გადმოგვცემს მწერალი. — მქტორ-სადღურის თანამშრომლები დაწყებოდნენ ფეხდაფეხ. ასლანი არ იცნობდა მთას, არ იცოდა გზები. უშირდა სიარულიც და სუნთქვაც; დღეს კი გაჯიუტდა. მიყოფა კუდში დევნათ. ცივ უარზე იდგა საღურისს უფროსი, მაგრამ მერე ანგარიში გაუწია ახალგაზრდა კაცის თაემოყვარებას. და ასლანი წამოვიდა მარტო, სულ მარტო“. თავისთავად ეს მოტივი დამაჯერებელია, მაგრამ თუ ასეა, თუ იგი ერთ წელიწადს დადიოდა მთაზე, იცოდა გზებიც, გაიქნო მთა და საბედისწერო დღესაც უშეცდომოდ მიაგნო ხელსაწყის. მაშინ როგორღა. მიხდა, რომ უკან დაბრუნება ვეღარ მოახერხებ... გზის უცოდნარობის გამო? აშკარაა, არც ახალგაზრდა მწერალმა ვერ გამოიხატა შესაფერისი სიტუაცია, ვერ გამოიხატა, რადგან ჩვენს ქვეყანაში ადამიანი შემთხვევით თუ აღმოჩნდება მარტოდმარტო სიძველეთა წინაშე — იგი გამოიხატის და არა ჩვეულებრივი, არა ტიპობრივი მოვლენა.

ესეც რომ არ იყოს, რატომ ცდილობს ახალგაზრდა პროზაიკოსი გამოიწვიოს თანაგრძობის ასლანისადმი? თუ მკითხველი თანაუგრძობის მოხუც მეთევზეს, ეს სავესებით კანონზომიერია და გასაკვირი — იგი ხომ ნებისყოფის საოცარ სიმტკიცეს იჩენს და ვეჯაცურად ემბრების სიძველეებს. ასლანი კი? იგი ლაჩარია, სიმშარა და პატრიმთყოფი, მას აფრთხობს სიძველეები და ამის გამო იღუპება კიდევაც. აშკარაა, ასლანის საქციელი არ შეიძლება მივიჩნიოთ საბჭოთა ადამიანის საქციელად. გავისხენოთ, როგორ იზრდოდა სიცოცხლისათვის, გამარჯვებისათვის მსგავს სიტუაციაში ალექსეი მერესევი ბოროს პოლევოის მოთხრობაში „ამხვეთ ნამდვილი ადამიანისა“. განა მან მარტოდმარტო მყოფმა, ამასთან დაპირილმა, ნაკლები ნებისყოფა გამოიჩინა, ვიდრე, ვთქვათ, მოხუცმა მეთევზემ ან ჯექ ლონდონის მოთხრობის „სიცოცხლის ტრფობა“ გვიჩვენა? რა თქმა უნდა, გამორჩეული არ არის, რომელიმე საბჭოთა მოქალაქე ისე მოიქცეს, როგორც ასლანი, მაგრამ ეს ხომ არ იქნება საბჭოთა ადამიანის საქციელი?!

ნიშნავს თუ არა ეს, თითქოს „ერთგმირიანი“ სიუჟეტით არ შეიძლება გამოვხატოთ საბჭოთა ადამიანის ხასიათი? რა თქმა უნდა, არა. ედიშერ ყიფიანმა შეცდომა მაშინ კი არ ჩაიდინა, როცა „ერთგმირიანი“ სიუჟეტს მიმართა, არამედ მაშინ, როცა მოთხრობის პერსონაჟს ვერ მოუხატა შესაფერისი, ე. ი. ბუნებრივი და ძალდაუტანებელი სიტუაცია. მეორე მხრივ, იგი თითქოს შეეცადა წყევალა პეინიგულის გავლენის კვალი და ამისათვის, წინააღმდეგ ცხოვრებისეული სინარდისა,

„გამოცვალა“ პერსონაჟის ხასიათი: თუ მოხუცი მეთევზე იმარჯვებს სიძველეთან ბრძოლაში, ეს დანი მარცხდება. ამით ახალგაზრდა პროზაიკოსმა ჩაიდინა ახალი, კიდევ უფრო სერიოზული შეცდომა. აი რატომ გამოვიდა ედიშერ ყიფიანის ცდა წარუმატებელი.

აქვე უნდა ითქვას, რომ საერთოდ ერთგმირიანი მოთხრობა თავისი ბუნებით იკვირა, როგორც მოთხრობა, რომელშიც პერსონაჟი ასახულია „სტატკიურ“ მდგომარეობაში. ასეთი მოთხრობები კი, როგორც წესი, არ მოითხოვს სიტუაციითა სიმრავლეს, რამდენადაც აშუქებს ადამიანის ცხოვრების მხოლოდ ერთ ეპიზოდს, მხოლოდ ერთ შემთხვევას, რომელიც ერთ ცხოვრებისეულ მოვლენას. ამ შეზღუდვაში, ცხადია, სიუჟეტს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. იგი კარგავს დომინანტურ როლს — მწერალს აღარ აინტერესებს გზები, რომლებსაც ფინალისაკენ მიყვებართ, არამედ თვით ფინალი, სადაც უნდა გამოვლინდეს პერსონაჟის ხასიათი, მოვლენის არსი.

მაშასადამე, დღევანდელი დავაც სიუჟეტის როლის შესახებ ერთ-ერთი მხატვრული ხერხის, კერძოდ, პერსონაჟის ხასიათის „სტატკიურ“ მდგომარეობაში ასახვის გაფუტრების შედეგია, და რამდენადაც ეს გაფუტრება უსაფუძვლო და უნიადგაოა, ასევე უსაფუძვლო და უნიადგაოა „სიუჟეტის კვდომის თეორიაც“.

„ტრამედციული“ სიუჟეტი აუცილებელია ყოველთვის, როცა სურთ მოთხრობის პერსონაჟის ხასიათი გვიჩვენონ ცვალებადობასა და განვითარებაში, როცა ასახვენ ადამიანის განცდათა მთელ „კასკადს“ და არა მის ერთ რომელიმე „საფეხურს“. გიორგი ნატროშვილი, მაგალითად, მოთხრობაში „ზაქროს ბიჭი“ გვიჩვენებს კვირგუნეებს, როგორც ერთ-ერთ მოწინავე კოლმურებს, რომელიც მთელ სოფელს უყვარს. შემდეგ დაწინაურებულს პარტიის რაიკომის აპარატში, სადაც პირველად გაუღიძა „დიდაკობის“ მანია, დაშორდა ხალხს და ხალხმაც იწყო მისგან ზურგის შექცევა. ბოლოს, ზაქროს ბიჭს ვხვდეთ „შეყვარებულის როლში“, როცა შეიგუნეს თავის შეცდომას და ისეთვე უბრალო და საყვარელი ადამიანი ხდება, როგორც დაწინაურებამდე იყო. ამრიგად, მწერალმა შექმნა რამდენიმე სიტუაცია, რადგან სხვათადაც არ შეეძლო ეჩვენებინა მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, ადამიანებისადმი. მართლაც, თუ ზაქროს ბიჭი კოლმურენდ დარჩებოდა, ე. ი. სიტუაცია არ შეიცვლებოდა, იგი ვერ გამოამჟღავნებდა ხასიათის ახალ თვისებას, თუ სიტუაციები ისეც არ შეიცვლებოდა, იგი ვერ დაუბრუნდებოდა თავის თავს. რა თქმა უნდა, მწერალს შეეძლო აეღო ერთი რომელიმე სიტუაცია, ერთი რომელიმე ეპიზოდი და მის საფუძველზე დაეწერა მოთხრობა, მაგრამ

მამინ ვერ გვიჩვენებდა გმირის ხასიათის ცვლას, განვითარებას. აი რით აიხსნება, რომ ვიორგი ნატროშვილმა მიმართა „ტრადიციულ“ სიუჟეტს და დააკისრა მას ღომინანტური როლი.

საკულისხმოა, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი ცდილობს ერთსა და იმავე მოთხრობაში გამოიყენოს ორივე სახის სიუჟეტი — „ახალიც“ და „ტრადიციულიც“. კერძოდ, ასეთ ცდად უნდა მივიჩნიოთ მერაბ ელიოზიშვილის „უკანასკნელი კონწილა“. ავტორი თბრობას იწყებს ფინალით, მაგრამ რამდენადაც ნაწარმოებზე მთავარი პერსონაჟის — გაბროს საქციელი გაუგებარი იქნებოდა, თუ არ გაგვეცნობდა მის აღრინდელ ცხოვრებას, იგი ასეთ მხატვრულ ხერხს მიმართავს — გაბრო ვზადაგვა იხსენებს წარსულის ცალკეულ ეპიზოდებს და, ამრიგად, მოხსრობაში შემოიღობს სხვა პერსონაჟები. ეს პერსონაჟები არ მონაწილეობენ თვით ფინალში, მაგრამ გვიჩვენებენ გრძელ, რომლებსაც ფინალისაკენ მივყუცართ. ასე „ვააერთიანა“ ახალგაზრდა პროზაიკოსმა სიუჟეტის ორი სახე, თუმცა მთლიანად ნაწარმოებში ძირითადად მაინც ერთგმირიანი მოთხრობაა — იგი მიხნად ისახავს გავაცნოს გაბროს განცდები მისი ცხოვრების საიდუმლოს მოულოდნელი ამოცნობის შემდეგ. სამწუხაროდ, მ. ელიოზიშვილი ძლიერ გაიტაცა მხატვრული ხერხების ძიებამ, წერის ტექნიკამ და ჩაიღწია იგივე შეცდომა, რასაც მისი ზოგიერთი ახალგაზრდა კოლეგა უშვებს: შექმნა მეტისმეტად ყალბი, ხელოვნური სიტუაციები, რითაც მოთხრობას დაუკარგა დამაუკრებლობა და ცხოვრებისეული სიმართლე. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი — გაბრო თითქოს თანამედროვე ადამიანია, პატოსანი და გამრჯე. მას უპირისპირდება სარიცლანია ილა, რომლისთანა „თაღლით გუბებს მთელ კოლმეურნობაში კი არა, მთელ სამშობაშიც არ იცნობდა გაბრიელი“. გაბროს უყვარდა თეო, მაგრამ სატრფოს მამა დათა წინაღულდა მათ ქორწინებას... იმ მოტივით, რომ „კონწილანთ ველს როგორ მივცემ, ეგლა მაკლია, ჩემ დედას სერთა თეოს მაგათსაგით ჩლახვი და თათობენს გრული შელი ეყოლოსო“. ვთქვათ, დათა ჩამორჩენილი პიროვნებაა, გვარს არჩევს და არა ადამიანს, მაგრამ განა გაბრო სწორად მოიქცა, როცა მიხსუც „დათას სახალხოდ უყვარა, რომ თეოს პირველი შეილი კონწილანთ გაბროსი იქნებოდა და არა სარიცლანია ილასი?...“ განა შეიძლება მკითხველმა დაიკუროს, რომ მიუხედავად ამისა ილამ მაინც შეირთო თეო და მას შემდეგაც ცხოვრობდა მასთან, რაც თეოს გაბროსთგალებიანი ვაჟი ეყოლა? ასევე დაუჯერებელია ის სიხარული, რასაც გაბრო განიცდის, როცა გაიგებს კონწილანთ გვარისა არ ყოფილა და, მამასადავით, სრული „უფლებმა“ ჰქონდა შეერთო უკვე ქვრივი თეო. არა, ეს არ შეუჯრის გაბროს, არ შეუ-

რის მას არც უკანასკნელი საქციელი — იგი უნდა რონოდ მიატოვებს მიცალაბულს, ეტყობა, რომ დაიღუპა და ისწორის გაბროს და ზაგირსე ჩამოკლებულს ამხსნეკვს ომამიანი შესახლით: „გახვალ, გაბრიელი!“

ახალგაზრდა პროზაიკოსთა ასეთი შეცდომების წყარო, როგორც დავინახეთ, ერთია — ისინი ზაპავენ დასავლეთის მწერლებს, იმის ნაცვლად, რომ შექმნან საკუთარი. მათ ჯერ კიდევ არ ყოფნით უნარი შემოქმედებითად აითვისონ სხვათა გამოცდილება, შეუჯგონ იგი თავიანთ ინდივიდუალობას და „ვაითავისონ“. ამიტომ ახსნევიამოს მოთხრობებს ეპიგონობის, მიმბაძველობის დალი.

განსაკუთრებით მიუტევებელია, როცა ერთი შემოქმედი მეორეს ზაძავს თხრობაში, იმეორებს სხვის სტილს, რადგან, როგორც ცნობილია, სტილი თვითონ ადამიანია, და სწორედ იგი აძლევს მწერალს უპირველეს ყოვლისა მკვეთრად განთხატულ ინდივიდუალობას. ვინც კონსტანტინე გამსახურდიას ნაწერებს იცნობს, ბელეტრისტიკულა და ლიტერატურულ-კრიტიკულს, საკმარისია მოისმინოს ერთი პატარა აზნაციე კი მისი თუნდაც უცნობი ნაწარმოებიდან, რომ შეუმცდარად თქვას — ვის ეკუთვნის იგი. არა მგონია, გამსახურდია რითიმე ჩამორჩებოდეს ჰემინგუეის, როგორც მხატვარი, როგორც სიტყვის ოსტატი, მაგრამ არ იქნებოდა, ყველას რომ ისე ეწერა, ყველას რომ ისე აეგო ღრზა ან წარმართა თხრობა, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას ჩვენია? მამინ არც ერთ მთავანს არ ექნებოდა საკუთარი სახე. შემოქმედებითი ინდივიდუალობა, ყველანი იქნებოდნენ ეპიგონები, ხოლო ეპიგონს არასოდეს არ შეუქმნია რაიმე ღირსშესანიშნავი. ყოველი ლიტერატურის ღირსებაა სტავდეს რაც შეიძლება მეტი განსხვავებული ჰყავდეს, განსხვავებული მანერის მწერალი, რადგან თავმოსაწონებელია მრავალფეროვნება და არა ერთგვარობა. ჩვენ კანონიერად ვამაულობთ, რომ მიმდინარე საუკუნეში გვეყავს ისეთი სულ სხვადასხვა სტილის პროზაიკოსები, როგორც შოი არაგვისპირელი დანიკო ლორთქიფანიძე, ჭოლა ლომთათიძე და შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე, დემნა შენგელია და სერგო კლდიაშვილი. ამიტომ თვითეული ახალგაზრდა მწერალი უნდა ცდილობდეს ბრმად კი არ მიზამოს სხვას, არამედ შეიმუშაოს თქმის, თხრობის საკუთარი მანერა, საკუთარი ინდივიდუალური სტილი.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა მწერალთა ერთი ნაწილი ანგარიშს არ უწევს ამ გარემოებას და დასავლეთის მწერალთა შემოქმედებიდან ვაღმარაგებს არა მარტო თემები და სერთონ ინტონაცია, არამედ თქმის, სტილის თავისებურებანიც

კო, რაც მათ უკარგავს შემოქმედებით ინდივიდუალობას.

ცნობილია. მაგალითად, რომ ჰემინგუეის ძლიერ უყვარს ერთი და იგივე სიტყვების, ხოლო ზოგჯერ მთელი ფრაზის გამეორებაც მათი აქცენტირების მიზნით („მატარებელში ძლიერ ცხელოდა. და ძლიერ ცხელოდა საძინებელ ვაგონში“), ორი ისეთი წინადადების შეერთება, რომელთა შორის პირდაპირი კავშირი არა ჩანს („მას აკვლავ რამდენიმე წინა კბილი და აღსაყვ იყო ნატრიოტული გრძნობებით“) და ა. შ. ამერიკელი მწერლის თხრობის ამ თავისებურებებს საკმაოდ უზიარებელი იყენებს ახალგაზრდა პროზაიკოსი სოსო კორინთელი („შავი კაბა უხდებოდა ძალიან და იგი არის ლამაზი, ძალიან ლამაზი.“ „მას ეჭირა ნაჯახი და ეცემა შავი კაბა.“ „ნინოს ცეცვა მხოლოდ კაბა. კაბა იყო შავი“ და სხვ.).

ჰემინგუეის ზამახს სოსო კორინთელი დიალოგის აგებაშიც, მოთხრობაში „ფანჯარიდან ფანჯარაში“ იგი წერს:

„...თქვენ არაჩვეულებრივი ბიჭები ხართ...
— დამთვრალა, — თქვა ვაჟამ.
— არა, მე არ ვარ, მთვრალი. თქვენნი ჭირიმე, ბიჭები, თქვენ არაჩვეულებრივი ბიჭები ხართ“.
ასევე წარმართავს დიალოგს ჰემინგუეი მოთხრობაში „ალპური იდილია“:

„... არასოდეს არაფერი არ უნდა აკეთო ძლიერ დიდხანს.

— არ უნდა აკეთო. ჩვენ იქ დავრჩით ძლიერ დიდხანს.

— ძლიერ დიდხანს. — თქვა ჯონმა. — არ ვარ-გა რაიმეს აკეთებდე ძლიერ დიდხანს“.

როგორც ვედავით, სოსო კორინთელს პირდაპირ გადმოაქვს ჰემინგუეის თხრობის, თქმის, სტილის თავისებურებანი, და არა მარტო მას. მსვავლის ხელოვნური ტავტოლოგია რაღაც მოდალ იქცა, მოთხრობიდან მოთხრობაში გადადის და მომზაბერებელი გახდა. აი, მაგალითად, როგორ წარმოვიდგება ეს მხატვრული ხერხი ახალგაზრდა პროზაიკოსის თამაზ ნატრიოტული მოთხრობაში „სვალ დოლი იქნება სეონაში“:

„მოსუცი ტკივილს ელოდებოდა. ის ცოცხალი იყო და აუღელვებლად ელოდებოდა ტკივილს თვალმდებარე უსული... ხელუბნი მიცვალებულთაგან მქონდა დაწყობილი მკერდზე და ტკივილს ელოდებოდა. ტკივილი რამდენიმე წუთით გაუშინარდა, თითქოს სულის მოსამთქმელად წაიღო და დიდხანს და მოსუცხაც აჩუქა დასვენება. მაგრამ მოსუცი მოუთმენლად ელოდებოდა ტკივილს. ტკივილი უკეთესი იყო. ტკივილი ფიქრის ნებას არ აძლევდა, ხან თავიდან ფეხებამდე დაუვლიდა, ხან დაწყლულვებულ მარცხენა ფეხს გაუზურდევდა და ტუჩებს აკენტივებდა. ემარცხიდა და არ ასვენებდა. ახლა კი ტკივილმაც სული მოითავა. წაქცეულ მოქმედებასთან ჩაიბნია ხელი და მოეშვა“.

მომდევნო აბზაცებში „ტკივილისა“ და სხვათა მაგიერ უკვე „ქისტი“ მეორდება დაუსრულებელი ლაღ. შემდეგ ევლავ „ტკივილი“. ამზობნი მხატვრობა თხრობის ტავტოლოგია მწერალს ესაქიროება თხრობის შესაბერებლად და შესაბამისი ვანწყობილების შესაქმნელად. მაგრამ თამაზ ნატრიოტულის მოთხრობაში, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა ახალგაზრდა პროზაიკოსის მოთხრობებში, ამ მხატვრულ ხერხს არაერთი აუცილებელი ფუნქცია არა აქვს, იგი თვითმზანი, „სიხალეა“.

ყურადღებს იქცევს კიდევ ერთი „ახალი“ მხატვრული ხერხი — ცდილობენ არ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ასახული მოვლენებისა თუ აღმანიებისადმი, ან ძლიერ გულგრილად გვიყვებიან შემზარავ ამბავს. როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ მწერალი მსახული არ არის და არც უნდა იყოს, რომ ტენდენციურობა მაგნე რამ არის, რომელიც სპობს ლიტერატურას. არა, ასეთი შეხედულება სწორი არ არის. ლიტერატურა ხალხს, მის საქიროებას უნდა ემსახურებოდეს და, მაშასადამე, არ შეიძლება უტენდენციო იყოს. ჯერ კიდევ ვაჭა-უშავილა ამის თაობაზე ხანგასამო წერდა: „ტუილად ვინმე იტყვის იმას, რომ ევ ტენდენციური პოეზიის საქმეა და არა ნამდვილი პოეზიისაო, ეს უსაფუძლო თქმა იქნება, რადგანაც ყველა პოეტური ნაწარმოები, ასე თუ ისე ტენდენციურია, მხოლოდ თვით ტენდენცია სხვალსხვა ჯურისაა და ამიტომ ადვილად ერთი ენგენება გამოუცვლელ მითხველს ტენდენციად და მეორე კი არა...“

სავსებით სწორია, უტენდენციობის მოთხოვნა არსებითად ბურჟუაზიული „ობიექტივიზმის“ აღიარება, ხოლო ბურჟუაზიული „ობიექტივიზმი“ სხვა არა არის რა, თუ არა იგივე ტენდენციურობა, ოღონდ გულწონავივე შენიღბული. ერთი შეხედვით, თითქოს ტენდენციის ნატამალი არ არის საკმაოდ ცნობილი ინვლისკელი მწერლის მოემის მოთხრობაში „ნაიარევი“, რომელიც ამის წინათ გამოქვეყნდა ქართულ ენაზე, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. მისი მთავარი პერსონაჟი — მემამოხეთა ყოფილი გენერალი, რომელიც უნდა ვიფიქროთ, პიროვნების თავისუფლების სახელით იბრძოდა, სინამდვილეში უკიდურესი ეგოისტია, რომელიც ცოლს ჰკლავს მხოლოდ იმიტომ, რომ თავისთვის ან სხვისთვის არ ეცდებოდა. და ის საშინელი ნაიარევიც, რაც სახეზე აღმებქვოდა, მისი მამაცობის კვალი კი არ ყოფილა, არამედ გამსყარარი ლუღის ბოთლისა. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

მაშასადამე, მხატვრული ნაწარმოები ტენდენციურია მაშინაც კი, როცა ავტორი ცდილობს ამოეგაროს „ობიექტურ“ სახურველს, თავი აარიდოს მსახულობას, ის გასაცოცარი ელვარილობა

1 ვაჭა-უშავილა, თხზ., ტ. VII, 1956 წ., გვ. 331.

კი, რასაც სომერსეტ მოემი იჩენს, როცა მოგვითხრობს შემზარავ ამბავს, ჩვეულებრივი ნაცადი ნიღაბია, რათა დაფაროს თავისი მიკერძოება. მართალია, აქ არის ინგლისური „გულციგობის“ კვალიც. ალ. ყაზბეგის „მოძღვარში“ ონისეც სომეხკვლავს მაცუვლას, იმიტომ რომ უყვარდა. მაგრამ აბა შეადარეთ ეს ორი მოთხრობა ერთმანეთს! რამდენად განიცდის ქართველი მწერალი თავისი გმირის საქციელს, რა ტრაგიკულია იგი! სრულიად უტყვევლია, ამაში დამნაშავეა ქართული ტემპერამენტიც, მაგრამ ძირითადი და განსაზღვრელი მაინც სოციალური მომენტია და არა ეროვნული.

ამდენად, ცდებიან ის ახალგაზრდა პროზაიკოსები, რომლებიც გულცივად გვიყვებიან შემზარავ ამბავს, ან კიდევ ხაზგასმით ცდილობენ თავი აარილონ მსახურობას, რათა მკითხველმა ვერ გაიგოს — თანაუგრძობის ავტორი თავის პერსონაჟს თუ არა. საკვირველი გულცივობით გვაცნობს ადამიანის ტრაგიკულ დაღუპვას, მაგალითად, გ. რჩეულიშვილი მოთხრობაში „ნელი ტანგო“, თუმცა ნებით თუ უნებლიეთ მაინც ვამტკივამს თავის დამოკიდებულებას მომხდარი ამბისა და ნაწარმოების მთავარი გმირისადმი. ეს დამოკიდებულება მყდუნდება, კერძოდ, ქალ-ვაჟის საუბარში, რითაც მოთხრობა მთავრდება:

„ბიჭი: იყავით დღეს საცურაოზე?“

გოგო: რა თქმა უნდა, დღეს საუცხოოდ გავსვდი.

ბიჭი: მართლაც კარგად ხართ ვამაყებულნი? ჰო, დაეწარით იმ ამბავს?

გოგო: ჰო, ჰო, იშვიათი შემთხვევაა, დედაშვილს აუარებელი წყალი უცლაპაით, მაგრამ გადარჩნენ.

ბიჭი: აბა, საწყალი მამა, იმან გამოათრია, ნეტა იმასაც წყალი ეცლაპა.

გოგო: მაშინ ისიც გადარჩებოდა. ექიმმა თქვა, ზედ ნაპირთან აქესო გული გახეთქილი უბედურს...“

ასეთია შთაბეჭდილება, რომელიც მწერლის სიტყვით, ახალგაზრდობაზე მოახდინა ივანეს მამაცურმა თავდადება — არც აღფრთოვანება, არც მიზაძვის მხურვალე სურვილი. „საწყალი“, „უბედური“ — ამგვარი ეპითეტებით შეამკეს დაღუპული ვაჟკაცი, რომელიც ღირსი იყო ეწოდებინათ გმირი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწერალმა ვერ გადმოგვცა საბჭოთა ახალგაზრდობის ნამდვილი სულიანკვეთება, მისი თქმრები და

ზრახვები და ამის მიზეზი კვლავ მხატვრული ხერხის მექანიკური გადმოღებაა.

ჩვეულებრივ, ამ გაგებით ამბობენ, რომ მასთან ერთად ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალს ოან გადმოაქვს შინაარსით, ანუ რაც იცივება, მექანიკურად, ნაწარმოების იდეის გაუთვალისწინებლად იყენებენ სხვადასხვა მხატვრულ ხერხს. ასეთი გზა, როგორც დაინახეთ, სწორი არ არის. ნოვატორობის საფუძველი არასოდეს არ ყოფილა მიზაძვა, ეპიკონობა და არც არასოდეს იგი არ დაწყებულა ახალი ფორმის ძიებით. ყველა უდიდესი ნოვატორობა უპირველეს ყოვლისა უკავშირდება შინაარსს. თუ დავით გურამიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, გალაკტიონ ტაბიძეს და სხვებს ქართული ლექსის ნოვატორებად თვლიან, ეს იმიტომ, რომ მათ მოიტანეს ახალი იდეები. ახალი იდეებმა კი მოითხოვეს შესაბამისი ფორმა და შინაარსის შეცვლის გამო შეცვალეს ფორმაც. ე. ი. დაიწყეს შინაარსით და არა ფორმით. ასევეა პროზაშიც. დრამატურგიაშიც. ხელოვნების ყველა დარგში.

და ეს საეგზობო კანონზომიერია, რადგან შინაარსი განსაზღვრავს ფორმას. რა თქმა უნდა, ფორმაც გავლენას ახდენს შინაარსზე: არაშესაბამისი ფორმა ნაწარმოებს დაუკარგავს ცხოვრებისეულ სიძარბოვებს, დამაჯერებლობას, შავსუტებს მისი ზემოქმედების ძალას. მაგრამ წამყვანი, ძირითადი მაინც შინაარსია. ფორმა მიუხედავად მწერალს შეუქმნას ცხოვრების ასახვის ფართო შესაძლებლობა, უნდა იყოს უბრალე, ადვილად მისაწვდომი, ამასთან მშვენიერი და ჰქონდეს იდეური შინაარსი. ერთი სიტყვით, ნაწარმოები მხატვრულია მხოლოდ მაშინ, როცა ავტორი სრულყოფილად გადმოგვცემს იდეას, რომლის გადმოცემაც სურდა.

ჩვენი ლიტერატურის მთავარი გმირი უნდა იყოს თანამედროვე საბჭოთა ადამიანი, კომუნისმის მშენებელი, რომელიც თავისი სულიერი სამყაროს სიმდიდრითა და სილამაზით ყველა სხვა ადამიანისაგან გამოირჩევა და მწერალს საშუალებას აძლევს სრულყოფილად გამოამჟღავნოს თავისი ნიჭი, როგორც მხატვარმა. ახალ ფორმასაც ლიტერატურაში მხოლოდ ის დამკვიდრებს, ვინც ასახავს საბჭოთა ადამიანის ფიქრებსა და გრძობებს, მის მისწრაფებებს, რადგან ნოვატორობა, როგორც აღვნიშნეთ, ყოველთვის სათქმელს მოაქვს.



ღეიღა ღოროთიფანიძე

რუსი რევოლუციონერი დემოკრატები საბავშვო ლიტერატურის შესახებ

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთავარი საკითხი, რომელიც რუსეთის საზოგადოებრიობას აღელვებდა გასული საუკუნის ორმოციან-სამოციან წლებში, იყო ბატონყმობა. არა სხვა რამ, არამედ სწორედ ბატონყმობა და მისი დამცველი თვითმპყრობელობა წარმოადგენდა მთელი რუსი ხალხის ყველა უბედურების ძირითად წყაროს. ამით აიხსნება, რომ ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და სხვა რუსი რევოლუციონერი დემოკრატები ენერგიულად ილაშქრებდნენ ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ლიტერატურის უმთავრეს ამოცანად მიაჩნდათ შეურიგებელი ბრძოლა ხალხის ბედნიერებისათვის, მისი განთავისუფლებისათვის ბატონყმურ-ცარისტული უღლისაგან. ამავე ასპექტში განიხილავდნენ ისინი საბავშვო ლიტერატურასაც. რომელსაც უნდა აღეზარდა მომავლის მოქალაქე, ე. ი. ხალხის სოციალური განთავისუფლებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული მებრძოლი. ეს იყო მათი ძირითადი მოთხოვნა, ძირითადი ამოცანა, რასაც ახალ, რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულ საბავშვო ლიტერატურას უსახავდნენ.

გენიალური რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი პირდაპირ წერდა, რომ საბავშვო წიგნი აღზრდისათვის იწერება, აღზრდა კი უდიდესი რამ არის — იგი წყვეტს ადამიანის ბედსო და საბავშვო ლიტერატურის მთავარ ამოცანად მიაჩნდა ხალხის ნამდვილი ცხოვრების სიმართლითა და სრულყოფილად ასახვა. იგი მკაცრად აკრიტიკებდა რეაქციულ საბავშვო ლიტერატურას, რომელიც დამახინჯებულად ასახავდა მამინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ბელინსკი არა-

ერთხელ მიუთითებდა, რომ ბავშვები, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაეცნონ რუსი ხალხის ცხოვრებას, ისტორიას, გეოგრაფიას და ლიტერატურას. გენიალური კრიტიკოსი საბავშვო მწერლებისაგან მოითხოვდა ბავშვებისათვის ეამზნათ ხალხის ნამდვილ ცხოვრებაზე, რომ ყოველი ნაწარმოები დაეწერათ მსუბუქი, თავისუფალი, უბრალო და მარტივი ენით.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკას ბელინსკი ძირითადად ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებით განსაზღვრავდა — „ბავშვებისათვის საგნები იგივეა, რაც მოზრდილებისათვის, მხოლოდ გადმოცემა, თბრობა უნდა იყოს მათი გავების შესაფერისი“.

ბელინსკის ამ შეხედულებებმა შემდგომი განვითარება პოვა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების შემოქმედებაში. ისინი ენერგიულად იბრძოდნენ საბავშვო ლიტერატურის მაღალი იდეურობისათვის, მოითხოვდნენ ცხოველმყოფელ რეალიზმს და საბავშვო ლიტერატურის მჭიდრო კავშირს მოწინავე პედაგოგიკასთან.

ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემა და მასთან დაკავშირებული საბავშვო ლიტერატურის საკითხები განსაკუთრებით აინტერესებდა ნ. გ. ჩერნიშევსკის და, როგორც რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატების მეთაურმა, უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე რუს ადამიანებზე, მათ შორის საბავშვო მწერლებზეც.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში (1849 წ.) ჩერნიშევსკიმ დაწერა შესანიშნავი სტატია იმის შესახებ, თუ „როგორი წიგნები უნდა მიეცეთ



ბავშვებს საკითხავად". ამ სტატიაში იგი მკაცრად აკრიტიკებდა იმით, ვინც ცდილობდა სინამდვილისაგან გაიშორებინა საბავშვო ლიტერატურა. რეცენზიაში აკრიტიკელი მწერლის ნ. გოტორის წიგნზე „სახალალო კრებული“ ჩერნიშევსკიმ ბოლომდე ამხილა რეაქციონერი მორალისტები და მკაცრად გაილაშქრა ცხოვრებისა და სინამდვილისაგან საბავშვო ლიტერატურის ჩამოცილების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ. იგი მითითებდა, რომ ბავშვებისათვის საკითხავად მიეცათ გოგოლისა და ლიკენის თხზულებათა მსგავსი წიგნები, ე. ი. ისეთი წიგნები, რომლებიც სწორად ასახავენ ცხოვრებას. ვარდა მხატვრული ლიტერატურისა, მისი აზრით, ბავშვებს უნდა გავაცნოთ გეოგრაფიულ-საბუნებისმეტყველო თხზულებანიც. აკრიტიკებდა რა ყველა იმით, ვინც ბავშვს უშალოვდა სინამდვილეს და შთაგონებდა ცრულწმენებს, ჩერნიშევსკი მითითებდა, რომ საბავშვო წიგნების სიყაბუბე შეუმჩნეველი არ ღარჩებათ ბავშვებს, რომლებსაც სძულთ სიცრუე და ცარიელისტყვაობა, მაგრამ მხურვალებდ უყვართ სიმართლე.

ისევე როგორც ზელინსკის, ჩერნიშევსკისაც მიაჩნდა, რომ საბავშვო ლიტერატურა მოწოდებულია დაეხმაროს „ახალი ადამიანის“ აღზრდას, რომლის მთავარი მიზანია ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლა. მას დაუშვებლად მიაჩნდა ისეთი აღზრდა, რომელიც ბავშვს გადაეცემა „მოზრდილი ადამიანის მინიატურულ კარიკატურად“. ამავე დროს ჩერნიშევსკი მზავსებით მითითებდა, რომ ბავშვის გონება ვერ ეტყუება გაქონაურებულ მსჯელობასა და მშრალ დიდებულებას. ამიტომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საბავშვო წიგნის მხატვრულობას და საბავშვო მწერლის დიდ ღირსებად თვლიდა მდიდარ ფანტაზიას და აზრის უბრალოდ, სადალ და ვსაბეზად გაღმარებას.

ჩერნიშევსკის შეხედულებებს საბავშვო ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულებისა და მიზნავალი თაობის აღზრდის საქმეში მისი უდიდესი როლის შესახებ დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

ნ. ჩერნიშევსკის კვალობაზე მისი ერთ-ერთი უნიკიტრესი თანამებრძოლი ნ. ა. დობროლიუბოვი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ახალი თაობის აღზრდას თვითმყრობელობისა და ბატონყმობის სიმძლველის სულისკვეთებით, მათთან შესურეგებული ბრძოლის სულისკვეთებით. აი რატომ იყო, რომ ლიტერატურას იგი თვლიდა ყზღაირეს იარაღად და მწერლებისაგან მოითხოვდა სინამდვილის მართლად, მხატვრულ ხაზებსა და ფერებსა ასახვას. ზეგირე მწერალი კი სინამდვილეს ამხანაჯებდა, სულ უფრო ზღუდავდა და ავიწროებდა იმ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ვითომ საინტერესო არ იყო ბავშვებისათვის. იგი

მოითხოვდა, რომ საბავშვო მწერლებს ეწყოათ ისეთი წიგნები, რომლებიც ბავშვებს გრძელნი სინამდვილისადმი კრიტიკული მიდგომის უნარს და აღუძრავდნენ რეალისტურ აქტიურობას.

კრიტიკულ სტატიაში „საბავშვო ჟურნალების მომოსილება“, დობროლიუბოვი ხაზვასმით აღნიშნავდა, რომ საბავშვო ლიტერატურამ ბავშვებს უნდა აღზარდოს მტიკიე ნებისყოფა, სიმართლის რწმენა და ყოველგვარი უსამართლო თავდასხმისაგან თავისი დამოუკიდებლობის დაცვის უნარი. საბავშვო ლიტერატურამ ისეთი მებრძოლი მოქალაქე უნდა აღზარდოს, რომელსაც შეეძლება დანიცვას საზოგადოებრივი სიმართლე სიცრუისა და ქალმომბრეობისაგან.

რეცენზიაში „ბედნიერება შორს როდია“ დიდი რუსი კრიტიკოსი იმ აზრს იცავდა, რომ ბავშვს კი არ უნდა დამუშალოთ ცხოვრების ბნელი მსარეები, არამედ განუშვარტოთ, რომ ისინი არიან ბატონყმური ურთიერთობის პირდაპირი შედეგი. ამავე დროს მას აუცილებლად მიაჩნდა ცხოვრების უარყოფითი მხარეების ჩვენებასთან ერთად საბავშვო წიგნები მკითხველებს აცნობდეს ცხოვრების ნათელ მხარეებსაც, მოუთხრობდეს იმაც, თუ რა შესანიშნავი ადამიანება ხალხში, რამდენი ღომონოსივები, კულიბისები, კოლცოვები და მისთანანი იზადენიან ხალხში და მოღვაწეობენ ხალხისათვის.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დობროლიუბოვი ბავშვის აღზრდას პატრიოტული სულისკვეთებით, პატრიოტიზმი კი მას ესმოდა არა მარტო როგორც სამშობლოს და ხალხის სიყვარული, არამედ როგორც ზიზლიც ყველაფერი იმისადმი, რაც მეფის რუსეთში მასების ჩაგვრას ემსახურებოდა, უწინარეს ყოვლისა კი ზიზლი ბატონყმობისა და თვითმყრობელობისადმი.

დობროლიუბოვს კარგად ესმოდა, რომ ბატონყმობა და ცარიზმი ხალხს ართმევდა ბუნებრივი ნიჭისა და უნარის განვითარების ელემენტარულ შესაძლებლობას, მაგრამ ამავე დროს იგი სასტიკად აკრიტიკებდა იმითაც, ვინც ამტიკებდა ამ მდგომარეობის „ბუნებრიობას“, აკრიტიკებდა მეფის კანონებსა და რელიგიას, რომელიც კანონზონიერად თვლიდა მასების გაუნათლებლობასა და სიბნელებს.

ამიტომ საბავშვო ისტორიულ წიგნებს რომ აღვსენდა, დობროლიუბოვა წინა პლანზე წამოსწია ხალხთა მასების როლი ისტორიაში, და მოითხოვა, რომ ისეთი წიგნების ავტორებს ისტორიული საკითხები გაუმქმებინათ მასების წამყვანი როლის ჩვენებით.

მითითებდა რა ახალგაზრდა მკითხველის აღქმის კონკრეტულობაზე, დობროლიუბოვი აღნიშნავდა, რომ ვარემომცველი ცხოვრებისადმი ბავშვის დიდი ინტერესი შეიძლება დააკმაყოფი-



ლოს ისეთმა წიგნმა, რომელშიც თხრობა ბუნებრივი და ცხოველების რეალისტური შინაარსი ვითარდება ცოცხალ ფერებში. ასეთ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან ერთად მას აუცილებლად მიაჩნდა ბავშვებისათვის მიეწოდებინათ როგორც მეცნიერულ-პოპულარული წიგნები, ისე რუსული ხალხური ზღაპრებიც. ამავე დროს იგი არ იეწყებდა იმასაც, რომ მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ წიგნებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა ილუსტრაციებსა და თვალსაჩინოებას.

აღზრდისა და საბავშვო ლიტერატურის საკითხებს თავის დროზე აქტიურად გამოეხმაურა აგრეთვე ალექსანდრე ივანეს-ძე გერცენი, რომელმაც თავის მემუარებში, წერილებსა და ნარკვევებში ნათლად ჩამოაყალიბა რევილუციურ-დემოკრატიული შეხედულებანი საბავშვო ლიტერატურაზე.

ცნობილია, რომ მეუღლის ვარდაცვალების შემდეგ გერცენმა შეილების აღზრდა დროებით მ. კ. რიხელს მიანდო, რომელსაც წერდა: „იზრუნეთ, რომ ბავშვები რუსებად აღიზარდონ, ვიანდებოდნენ ზანუფიითარით მათ რუსეთის ძლიერი სიყვარული“.

ჭორჯ სანდის ნაწარმოების „გრიზულის თავგადასავალი“ რუსული თარგმანის წინასიტყვი-ბაში გერცენი წერდა, რომ ამ შესანიშნავ ზღაპარს ბავშვები ერთი წაკითხვის შემდეგ კიდევ და კიდევ უზარუნდებიან, რამდენიმეჯერ კითხულობენ და მათ პირდაპირ გასცივთეს ერთხული ამდენი კითხვითო. სწორედ ეს მიაჩნდა გერცენს საბავშვო წიგნის უდიდეს ღირსებად.

ახალგაზრდობის აღზრდაში გერცენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნის საბუნებისმეტყველო მეცნიერების პრობლემადას. ნარკვევში „ახალგაზრდებთან საუბრების გამოცდილება“ გერცენმა ბუნების მოვლენების რიტორიკულ-თეოლოგიურ და რელიგიურ-იდეალისტურ განმარტებებს დაუპირისპირა თავისი მატერიალისტური შეხედულებანი, ხოლო მეორე ნარკვევში „საუბარი ბავშვებთან“ მან კიდევ უფრო გააღრმავა ეს შეხედულებანი და გადაჭრით განაცხადა, რომ ადამიანის გონებას შეუძლია შეიცნოს ბუნება, სამყარო და კიდევაც მართოს იგი. ამიტომ გერცენი ახალგაზრდებს მოუწოდებდა უშუალოდ დაკვირვებოდნენ ბუნებას, დამოუკიდებლად გაეზარებინათ სამყარო და არ მიზნობოდნენ იმათ, ვინც ყალბად, იდეალისტურად ხსნიდა მას. აქ მთელი ძალით გამოჩნდა გერცენის მისწრაფება ნორში თაობა გაეთავისუფლებინა რელიგიურ ცრურწმენათა ტყვეობისაგან და მიეცა მისთვის

ნამდვილი მეცნიერული, მატერიალისტური ტრადიციონალიზმი. ამავე დროს, უდიდესი როლი შეეძლო შეესრულებინა საბავშვო ლიტერატურას. გერცენს მტკიცედ სწამდა, რომ რთული და ძნელად გასაგები ბუნებისა თუ ცხოველების მოვლენები ბავშვებისათვის შეიძლება გასაგები გაეხადათ ნათელი ლოგიკური დასკვნებით, ახსნა-განმარტებებით, თვალსაჩინოებით და აზრის ხატოვანი გამოთქმით.

საბავშვო ლიტერატურის საკითხები დიდად აინტერესებდა აგრეთვე საღვთისმეტყველო-მისი შეხედულებანი ამ საკითხებზე ძირითადად ისეთივეა, როგორც დანარჩენი რევოლუციონერი დემოკრატებისა, ოღონდ მან ხაზი გაუსვა რევოლუციური სატირის საჭიროებას და მის უდიდეს აღმზრდელით მნიშვნელობას საბავშვო ლიტერატურაში.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას საღვთისმეტყველო-მისი რეცენზიებსა და სტატიებში მოხდენილად დასცივდა და ამათრახებდა ბავშვთა აღზრდის ბატონყმურ სისტემას და ჩვეული სარკაზმით ახასიათებდა მას, როგორც ახალგაზრდობის „თანდათანობითი გაზრდებისა“ და „მორალური გამოთავებების“ სისტემას. ის გმობდა სქოლასტიკურ სწავლა-განათლებლას და ლიტერატურას. თუ მწერალი ცხოვრებას რეალისტურად ასახავს, ამბობდა შჩეჰერინი, მაშინ შორეული წარსულის მოვლენებიც ანალოგიური და გასაგები ხდება ბავშვებისათვის, ისინი აღიქმება, როგორც ცოცხალი სინამდვილე პოეტური სიტყვის სასწაულებრივი ძალის მეშვეობით.

საბავშვო ლიტერატურამ მიიპყრო აგრეთვე ნიკოლოზ ვასილის-ძე შელგუნოვის ყურადღება. წერილებში „აღზრდის შესახებ“, რომელიც 1878 წელს გამოაქვეყნა, იგი ნშობლებს ურჩევდა შეილები აღეზარდათ უწინარეს ყოვლისა, როგორც საზოგადოების აქტიური წევრები, ქვეყნის მოქალაქეები, დიდი პუბლიცისტი. ბავშვებს უნდა შთავაგონოთ, ამბობდა შელგუნოვი, რომ ადამიანი არ უნდა იყოს ადამიანის მტერი, რომ ერთი ადამიანისათვის მეორე არ უნდა იყოს ექსპლოატაციის სავანი, რომ ადამიანები თანასწორუფლებიანები უნდა იყვნენ.

შელგუნოვს განზრახული ჰქონდა დაემუშავებინა და გამოეშვა „საბავშვო ენციკლოპედია“. სამისო გეგმა მან ჯერ კიდევ 1884 წელს პეტრე-პავლეს ციხეში შეიმუშავა. იგი თვლიდა, რომ ასეთი ენციკლოპედია უნდა ყოფილიყო ცხოვრების ცოდნის ენციკლოპედია. მცირეწლოვანი ბავ-

შეებისათვის ეი, ვისაც წერა-კითხვა ჯერ კიდევ არ უსწავლია, ასეთი ენციკლოპედიის როლი, მისი აზრით, უნდა შეესრულებინა საბავშვო ნახატებს, სურათებს, ილუსტრაციებს, რაც თვალსაჩინოდ ამგებდა მათ გარემომცველ ბუნებასა და ცხოვრებას.

შეგუწონეს კარგად ესმოდა, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ რუსეთში სწრაფად შევიდრდებოდა კაპიტალიზმი და ამიტომ საბავშვო ენციკლოპედიაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ტექნიკისა და ტექნოლოგიის საკითხებს. მართალია, მან ვერ შეძლო გამოეშვა ენციკლოპედია (იმ დროს ეს განუხორციელებელი ოცნება

იყო), მაგრამ ასეთ ცდასაც დიდი მსოფსწევლობა პქონდა და მკაფიოდ მოწმობდა, თუ რეკონსტრუქციულობდნენ შეგუწონი და მისი თანამშრომლებმა საბავშვო ლიტერატურა ჩაეყენებინათ მებრძოლი მოქალაქის აღზრდის სამსახურში.

ამრიგად, თანმიმდევრული და შეუწლებელი ბრძოლით დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა სავსებით სწორი, პროგრესული მიმართულება მისცეს რევოლუციურ საბავშვო ლიტერატურას, რომელიც მთავარ ამოცანად რეალური ცხოვრების ასახვა-გადმოცემასა და ნორში თაობის რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდას ისახავდა.



პაღიჩინე ზორბიღაძე

ვაჭრობა თურქეთისღროინდელ აჭარაში

თურქეთა ურდოების შემოსევამდე აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ეკონომიურად დაწინაურებულ კუთხე იყო თავისი მდიდარი ბუნებით, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობით, განვითარებული ხელოსნობითა და ვაჭრობით.

... არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მისაველიანი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოვლითა მარცვლითა, არს ტყიანი... კაცნი ხელოვანი ხის მუშაკობითა... არს მცირე ქალაქის მგზავსი დაბა, ქედა. მოსახლენი არიან ვაჭარნი“ (ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 134, 194 წ.).

სახელოვანი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ვახუშტი ბატონიშვილის ეს ცნობა ეხება XVIII საუკუნის ორმოციანი წლების აჭარას. როგორც ჩანს, თურქეთი მძიმე უღელში მგმინავ კუთხეს ერთხანს კიდევ შეუნარჩუნებია წინანდელი ეკონომიური ძალა.

ოსმალების ბატონობის შემდგომ პერიოდში მკვეთრად გაუარესდა ქვეყნის ეკონომიკა, დაეცა სოფლის მეურნეობა, განაანგადა მისი ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორცაა მევენახეობა, მეზღვეობა, მეაბრეშუბეობა; დაკნინდა ხელოსნობა და ვაჭრობა.

ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ თურქეთს არც შეეძლო სხვა გზით წარემართა დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიური ცხოვრება, რადგან ოტომანთა იმპერიის ყველა ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიება მოსახლეობის მხოლოდ დახარკვას ემსახურებოდა, სხვა ინტერესი მას არ ამოქმედებდა.

გ. ყაზბეგი, რომელმაც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში შემოიარა აჭარა, ასეთ ცნობას გვაწვდის: „ოსმალების საქართველოს კონსტანტინეპოლის მთავრობა უყურებს მხოლოდ რო-

გორც შემოსავლის წყაროს და აქაური აღმინისტრაციული პერსონლის შემადგენლობა უმთავრესადა, შეიძლება ითქვას, ერთადერთ თავის მოვალეობად სთვლის გადასახადების ბეჯითად შეკრებას“ (გ. ყაზბეგი, „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, გვ. 34-35, 1876 წ.). ამიტომ თურქეთის მთავრობას ხარკ-გადასახადების ამკრეფთა უმარავი რაზმი ჰყავდა. სწორედ ამაში ჰპოვა გამოხატულება დაპყრობის თურქულმა წესმა.

როგორც ცნობილია, აჭარის მიტაცების შემდეგ თურქმა დამპყრობლებმა აქ უცვლელად დატოვეს არსებული წარმოების წესი. ისინი მხოლოდ მოსახლეობის დახარკვითა და გადასახადების აკრეფით დაკმაყოფილდნენ. სამაგიეროდ, მათ ფართოდ გაუღეს კარები უცხოეთის კაპიტალს, რითაც ძირი გამოუთხარეს საკუთარ წარმოებას. ოსმალები ძირითადად კმაყოფილდებოდნენ იმპორტული საქონლით. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მოხმარება დიდად შეევიწროვდა. მოსახლეობის შემოსავალი გადასახადებს ძლივს აუდიოდა.

მწარმოებლური ძალების დაქვეითების გამო აჭარა, ისევე როგორც თურქეთი, ვერ გაცდა ნატურალურ მეურნეობას, უმნიშვნელო იყო მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ყოველივე ამას ერთვოდა დეგრადაციის გზაზე დამდგარი თურქეთის საეპრო მონოპოლია.

ხულოს, კერძოდ, სოფელ ღორჯომის აღწერისას გ. ყაზბეგმა მიუთითა, რომ აქ გლეხები ხორბალს აწარმოებენ, მაგრამ პურს არ ყიდნიან. რაც შეეხება მრეწველურ საქმიანობას, იგი ძირითადად დამყარებული იყო ხელოსნობასა და შინასარეწებზე, ეს უკანასკნელი კი შეადგენდა ნატურალური მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას.

აქაური ხელოსნები, გარდა საომარი იარაღებისა, ამზადდნენ კერამიკულ და ხის ჭურჭელს,

ალიონისებობა ხელოსნური შრომის გარეგნობა. მაგრამ ვერ კიდევ არ ჩანდა განვითარებული სასაქონლო წარმოება. შინამრეწველობა და ხელოსნობა უმოკლესად ადგილობრივ საქმირობათა დამყარებას ემსახურებოდა და ნაკლებ როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებაში. ნატურალური მეურნეობა ბორცვად სასაქონლო წარმოების განვითარებას, რაც კაპიტალიზმის წარმოშობის ამოსავალი პუნქტი და მისი საერთო დამახასიათებელი ნიშანია. ამის გამო, ცხადია, ვაჭართა ფენაც არ არსებობდა, მაგრამ ეს როდი გამოირჩევა საერთოდ ვაჭრობის ცალკეულ აქტებს.

ე. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ „ისე, როგორც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ განვითარებული კაპიტალიზმი, თუ არ არის მსხვილი სასაქონლო-საეჭვრო და ფულად-საეჭვრო კაპიტალი, სწორედ ასევე წარმოუდგენელია წინაკაპიტალისტური სოფელიც. თუ იქ არ არიან წვერილი ვაჭრები და შემყიდველები, რომელნიც წვერილი ადგილობრივი ბაზების „ბატონ-პატრონებს“ წარმოადგენენ. კაპიტალიზმი თავს უყრის ყველა ამ ბაზარს, აერთებს მათ დიდ ნაციონალურ და შემდეგ მსოფლიო ბაზრად, არღვევს კაპალისა და პირადი დამოკიდებულების პირველყოფილ ფორმებს, ღრმად და ფართოდ ავითარებს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ჩანასახი ფორმით უკვე არსებობენ მეოქმურ გლეხობაშიც. — და ამნაირად ამზადებს ამ წინააღმდეგობათა გადაჭრას“.¹

თურქეთისდროინდელმა აჭარამ არ იცოდა ვაჭართა თავისუფალი ფენა. თავისუფალი ვაჭარი მაშინ იშვიათი გამოჩენილი იყო. შედარებით მრავლად იყვნენ ყმა-ვაჭრები, მაგრამ ისინი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში უშინშენილო როლს ასრულებდნენ. ამ დროს საეჭვრო კაპიტალი ძირითადად იფარგლებოდა საწყისი ფორმით — ყიდვა-აყიდვისათვის მოგებით, იმპორტული საქონლის რეალიზაციით და ადგილზე დამზადებული საგნების მიმოქცევაში ჩართვით. საკმარისია ითქვას, რომ თურქეთის ბატონობის დროს აჭარაში არც ერთი სახელმწიფო დუქანი არ ყოფილა. ვაჭრობას ეწეოდნენ წვერილი კერძო მფლობელები. მაშინ სულ აჭარაში 1.163 წვერილი დუქანი და 53 საყავი იყო. მათი დიდი უმრავლესობა ბათუმზე მოდიოდა. აქ, უმეტესად ნავსადგურის ახლო-მახლო, 875 დუქანსა და 26 საყავეს ითვლიდნენ. ამ ქსელის დიდი ნაწილი მთლიანად დაცარიელებული იყო. მის საქმიანობას გამოცოცხლება დაეცყო მხოლოდ 1858 წელს რუსეთის იმერ დაარსებული სანაოსნო-საეჭვრო საზოგადოების შეგავლენით. აღსანიშნავია ისიც, რომ ძირითადად ვაჭრები იყვნენ არა აჭარის მკვიდრნი ან თურქები, არამედ სომხები, ბერძენები, სლავები, ფრანგები და სხვები.

კოლონიური ვაჭრობა, რასაკვირველია, აჭარაში და ადგილობრივი წარმოებისა და ბაზრის განვითარებას. მართლაც, რა როლის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა ეკონომიურ ცხოვრებაში ისეთ ვაჭრობას, რომელიც ემყარებოდა სატრანსპორტ საქონელს!

ფეოდალური მეურნეობის დაქვეითება, წარმოების დაბალი დონე და ვაჭრობის განუვითარებლობა აფერხებდა საქალაქო ცხოვრებას. ამიტომ ბათუმი ამ დროს სოფელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. აქ მდებარე ასიოდე სახლი და ქოხი, აქედანაა ზოგი მთავანი დაწინილი და შეტყეილი ფაცხა ყოფილა. ხოლო ზოგი — ფიცრული. ქვიტკირისა მხოლოდ ორიოდე შენობა იყო. ამის თაობაზე ერთ-ერთი მემკვიდრე წერდა: პირველი შეხედვით ბათუმმა მომადგინა საეჭვრო სოფელი დაბალი, დაქანებული და ჭუჭყყანი ნაპირით, ნახევრად დამპალი ხის ნაგმისადგომით, მაღაზიებითა და დუქნებით, სადაც შეიძლება ერთად ნახოთ ჩაი და ქონის სანთელი, მანუფაქტურული საქონელი და დამარილებული თევზი, ნავთი და გალანტრია!² გაცილებით უფრო საცოდავად გამოიყურებოდა საეჭვრო ქსელი ქედასა, ხულოსა და აჭარის სხვა სოფელ-ადგილებში.

ამრიგად, თურქეთისდროინდელ აჭარაში არ იყო ნორმალური ვაჭრობის არსებობა-განვითარების არც ერთი პირობა: სასაქონლო პროდუქცია, გადამადლუნარიანი მოთხოვნილება, საეჭვრო ქსელი და ა. შ. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ამას ერთვოდა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვაჭრების საკუთრებისა და პიროვნების ფარცელობა. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ დარსნი მოგზაური შარდენი, რომელიც აჭარაში ჩამოვიდა 1672 წელს სამეგრელოდან.

„... შუადღის უკან, — წერს შარდენი, — მივედი გონიოში... მიადგა თუ არა ჩვენი ფილუვა ნაპირას... მუბაქე და ლეიტენანტი მოვიდნენ ფილუგიდან გადმოწყობილი საქონლის სანახავად და ბაყის ასაღებად... დავარივე (მსახური — ვ. გ.) ეთქვა ოსმალებსათვის, რომ მე ვაჭარი ვარ. სამეგრელოში იმიტომ ვიყავი, რომ მტაცებელი ფრინველები მეყიდნა ევროპაში წასაყვანად. იქაურებმა მთლად გამძარცვეს და მივდივარ ახალციხის ფაშასთან საჩივრულად... უბრძანა გაესინჯათ ჩემი ბარგი. ვერაფერი ვერ იპოვეს მასში აკრძალული. ბარგში სხვათაშორის უნაგირი იყო. უნაგირს ფულურო ჰქონდა ძვირფასი ნივთების დასამალავად. უნაგირი სავსე და ძალიან მძიმე იყო. მისმა სიმძიმემ ეჭვი ააღებინა, მით უფრო, რომ ოსმალური უნაგირები ძალიან მსუბუქებია. ყარაუ-

2 „ბათუმი და მისი მიდამოები“, გვ. 225-226, რუს. გამოც. 1906 წ.

1 ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 448, 1955 წ.

ლებმა აიღეს, გასინჯეს ყოველმხრივ, მაგრამ რადგან ზელში ყველგან მხოლოდ ტუა და ზალანი მოხვდათ, დანებებს თავი.

ნახევარი იმ რვაასი პისტოლისა, რომელიც მიმქონდა, აქვე მქონდა, ნახევარი კი კლიტით დაქტილ ჩანთაში იდგა, იქვე იყო ზოგიერთი უბრალო ნივთებიც, რომელნიც თუმცა ძლიერ ძვირფასნი არ იყვნენ, მაგრამ ძალიან კარგად ვიცოდი, მაინც წააღებდნენ ოსმალები... წაიღეს ჩემგან ოც და ორი პისტოლი, ოქრო და ყველაფერი, რაც კი მოეწონათ იმ ნივთებიდან, რომელიც ჩანთაში მქონდა... უსამართლოდ წაპართვეს ბაი... ახლა მთელმა გონიომ გაიგო, რომ ერთი პარკი ოქრო მიმოვეს და ემიშობ, დანარჩენ ოქროს წართმევის დროს არ მომკლან კიდეც... გულში მსურდა გავცლოდი გონიოს...¹

შარდენის ეს ცნობა იმას მოწმობს, რომ თურქეთში ვაჭრობას განვითარება არ ეწერა. ხელი-სუფლება არ იცავდა ვაჭრის საკუთრებასა და უფლებას, არც მის სიცოცხლეს. ვაჭრებიც, განსაკუთრებით უცხოელებიც, ძარცვაში ხშირად მონაწილეობდნენ თვით მოაჯრობის მოხელეები.

თურქეთის კანონებით, უცხოელი ვაჭრის თურქეთში გარდაცვალებისას მის მემკვიდრეს ქონების მიღების უფლება ერთმოღა და გარდაცვლილის ქონება სახელმწიფო საკუთრებად ცხადდებოდა. ამიტომ თურქი მოხელეები ყოველთვის იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე მოესწრაფათ სიცოცხლე უცხოელი ვაჭრისათვის, რათა მისი ქონების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევის პროცესში ნადავლის ნაწილი მათაც რგებოდათ.

ვაჭრობის განვითარებას აფერხებდა არა მარტო თურქეთის ეკონომიური ჩამორჩენილობა, არამედ ისლამიც, რომელიც ვაჭრობას აღიარებდა დამამცირებელ და სათაკილო ხელობად, მაგრამ თუ საქონლის ვაჭრობას თურქები სათაკილო და დამამცირებელ საქმედ მიიჩნევდნენ, სამაგიეროდ ადამიანების მოტაცებასა და ყიდვა-გაყიდვას სამარცხინოდ რად თვლიდნენ.

ამით აიხსნება, რომ ადამიანების ანუ ე. წ. „ცოცხალი საქონლის“ ვაჭრობა თურქეთისდროინდელ აჭარაში მეურნეობრივი საქმიანობის ყველაზე ხელსაყრელი, სარფიანი დარგი გახდა. ეკონომიურ საქმიანობაზე დაფუძნებული საქონლური წარმოებისა და სავაჭრო ფულადი ურთიერთობის ნაცვლად თურქების მიერ ადამიანებით ვაჭრობაზე დამყარებული ურთიერთობის დამკვიდრება გამოხატავდა აჭარის ეკონომიური ცხოვრების დაცემას. ასეთი ვაჭრობა, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობდა ქვეყნის წინსვლას. იგი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ვაჭრობაზე წინანდელთან შედარებით დევრადაცა განიცადა.

ადამიანებით სპეკულაციაში, — წერდა იტალიელი მისიონერი ა. ლამბერტი, — თურქები ისეთ ერთგულებას იჩენენ, რომ არ ზოგავენ არც ვაფასა და არც ფულს, ოღონდ კი ტყვეები შეიძინონ.

ალბ-მიცემობაში ყველაზე მეტი მოგება თურქებმა ქართველების ყიდვა-გაყიდვით მიიღეს. ქართველ ტყვეებს ყიდდნენ სტამბოლის, ქაიროს, ბაღდადის ზაზრებზე. მათი ფასი, სხვა საქონლის ფასის მსგავსად, დამოკიდებული იყო ტყვეთა რაოდენობაზე, სქესზე, ასაკსა და შრომისუნარიანობაზე. ზარის კანონების მიხედვით, ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ტყვეთა მიჭარბების გამო კაცს ერთ ქულზე სცვლიდნენ. 1805 წელს სტამბოლში რუსეთის ელჩს იტალინსკის წერილობით აცნობეს: დღე ისე არ გაუა, არ იყოს გემი ანაბიდან, ფოთიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან; ამასთან ამ ადგილებიდან გასაყიდად მოჰყავთ ტყვე რუსები და ქართველები.

სხვა საქონელთან შედარებით ადამიანებით ვაჭრობა თურქებისათვის იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ ადამიანი წონით შედარებით მსუბუქია, მცირე ადგილს იკავებს და გემებით ბევრის გადაყვანა შეიძლებოდა.

თურქეთისდროინდელ აჭარაში ადამიანებით ვაჭრობაზე უცხოელებს ვაჭრობას მოწმობს იოვანე ნებიერიძის მოგონებანი. იგი თვითონ მოხვდა ტყვეობაში, საიდანაც დიდის ეაი-ვაგლახით დაუსხნია მამას. გამოსასყიდი ფასის დადგენის შესახებ იგი წერს: „... მეიმი ალა ითხოვდა ფასსა ნამეტარსა, და არა სჯერდებოდა უწინდელზე... გადასწყვიტეს ოც თუმანზედ, გარდა წინათ მიღებული ბესა საწინდარისა“ (ი. ს. ნებიერიძის მოგონებანი თურქების მიერ სამხრეთ საქართველოში გოგო-ბიჭების მოტაცების და ტყვეებით ვაჭრობის შესახებ ხ. ანგელდინის კომენტარებით, გვ. 30, 1948 წ.).

1902 წელს გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულია ცნობა სამხედრო ექიმის, ვინმე ისმაილ-ჯემალ ბეის მოხსენების გამო. ისმაილ-ჯემალ ბეი წარგზავნილი ყოფილა პარიზში ქალებით ვაჭრობის მოსაპობის კონგრესზე.

ამ მოხსენებაში დაწვრილებით აღწერილია, თუ როგორ ვაჭრობდნენ ადამიანებით სულთნის აგენტები და ცალკეული ვილაეთის ფაშები, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოდან და ყაზარლო-ჩერქეზეთიდან. ფაშებსა და გუბერნატორებსაც კი დაგალებული ჰქონდათ ტყვე ქალებით სულთნისა და ვეზირების ჰარამზანების შეესება. ამის შესახებ 1902 წელს გაზეთი „კვალში“ (№ 36) წერდა: „ქალებით ვაჭრობა და პარამსანაში გაგზავნა დაგალებული აქეთ აგრეთვე გუ-

¹ შარდენი, „მოგზაურობა საქართველოში“, გვ. 42-49, 1935 წ.

ბერნატორებსაც. ეს მოვალეობა მათ სამსახურს შეადგენს, ასე რომ თუ რომელიმე მათგანი პირიანად არ შეასრულებს ამ ბრძანებას, ითხოვენ სამსახურიდან და სჯიან კიდევ, როგორც მაგალითად დასაჯეს სადიც-ფაში, რომელიც ოცდაორი წელიწადი გაგზავნილია ოსმალეთის არქიპელაგის ერთ კუნძულზე“.

აჭარაში ბლომად იყვნენ არა მარტო ტყვეთა სექულაციის დახელოვებული პირები, არამედ ადამიანთა მოტაცებაში გაწეული ყაზაღებიც. ზ. ჭიჭინაძეს თავის წიგნში „ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში“ მოჰყავს ასეთი პირების შემდეგი განცხადება: ვიდრე რუსნი ახალციხეს აიღებდნენ, მანამდის ჩვენ იქ მივდიოდით და ვყიდულობდით თქვენებურ ქალ-ვაჭებს. ახალციხის დაჭერის შემდეგ ჩვენ იქით აღარ მივდიოდით. მის მერე სავაჭრო ბინად ბათუმი და ქობულეთი დაიღვა (ზახი ჩემია — გ. ვ.). აქ მოყვანდათ თქვენებური... და აქ ჰყიდნენ იგინი, ყველა მათ ჩვენ ვყიდულობდით, მერე ოსმალეთში მივყვანდა და იქ ვყიდდით კაი ფასად... ოსმალეთში ძველთაგანვე იყიდებოდნენ, ხშირად კაი ფასად თვით ქობულეთელ-აჭარელთა და სხვათა შვილებიც.

ამრიგად, მეცხრამეტე საუკუნეში თურქებმა ბათუმი და ქობულეთი ტყვეებით ვაჭრობის ბირჟად გადააქციეს. აქ მოწყობილი ჰქონდათ ტყვეთა შესაფასებელ-გასაყიდი სპეციალური შენობები. ამასთან, ქობულეთსა და ბათუმში იყო ტყვეებით სავაჭრო სპეციალური მოედნები. ადამიანების ყიდვა-გაყიდვას აწყობდნენ როგორც ფარულად, ისე საჯაროდ — მოედნებზე, სადაც თავს იყრიდნენ ადამიანებით მოვაჭრენი სხვადასხვა ქვეყნიდან.

როგორც ვხედავთ, ოსმალეთის წარმოებით ურთიერთობანი ემყარებოდა არა მარტო წარმოების საშუალებათა ფეოდალურ საკუთრებას, არამედ ტყვეებზე ფეოდალთა საკუთრებასაც. ნაყოფ ადამიანებს იყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულებით: ქალებს უფრო ხშირად პარამანებში, მამაკაცებს — ლაშქარში, ან მოსამსახურეებად გემზე, შინამოსამსახურეებად და ა. შ. მებატრონის სურვილისა და საჭიროებისამებრ ზოგჯერ გადაყიდვდნენ ან დააგირავებდნენ კიდევაც. თუ პატრიარქალური მონობის დროს მონა ოჯახის წევრად მაინც იყო მიჩნეული, აჭარაში თურქებმა ადამიანს მთლიანად წაართვეს ყოველგვარი ღირსება და ამას განამტკიცებდნენ სახელმწიფო კანონმდებლობით.

აი რას ვკითხულობთ გურჯისტანის ვილაეთის დიდი დაეთრის მე-12 მუსულში:

„თუ ვინმე ზემოსხეცულ ვილაეთში დაიჭერს გაქცეულ მონას ან მხევალს და ან საქონელს

(დაიჭერს), მან უნდა წაიყვანოს (იგი) და გადასცეს: სულტნის სახასოზე მიწერილი, ^{სულტნი} ტნის სახასოების ემინებს, ხოლო ^{სანჯაყ-ბეგზე} მიწერილი — სანჯაყის სამხედრო მეთაურებს.

(ამისათვის მან) უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული სამახარობლო ჯილდო. კანონიერი ვადის გასვლის შემდეგ ისინი ჰყიდიან (მათ) საჯარო ვაჭრობით ვილაეთის ყადის მეშვეობით და მათ ღირებულებას თავისთვის იტოვებენ. ხოლო კანონიერ ვადად როგორც მონის, ისე მხველის შენახვისათვის (ითვლება) 3 თვე, საქონლისათვის კი — ერთი თვე...“¹

თურქეთის ბაზრებს საქონელ-ადამიანებით ძირითადად უზრუნველყოფდა ომები და მოსახლეობაზე ალაბეგების მუსხანათური თავდასხმები. კ. მარქსი წერდა: „თვით მონების ბაზარი მუდამ დღებულობს თავისი საქონლის — სამუშაო ძალის — შევსებას ომის, მეკობრეობის და სხვ. საშუალებით, და ეს მეკობრეობა, თავის მხრივ, არ საჭიროებს მიმოქცევის პროცესის მოსაშუალებობას, არამედ სხვისი სამუშაო ძალის ნატურალურ მითვისებას, პირდაპირი ფიზიკური იძულების გზით.“²

ყველა მონათმფლობელის მსგავსად სულთნებიც ტყვე-მონების შრომის თითქმის მთელ პროდუქტს ითვისებდნენ და ტყვეებს მხოლოდ იმდენს აძლევდნენ, რომ შიმშილით არ დაზოცილიყვნენ და მუშაობა შეძლებოდათ. ნაყიდი ადამიანების ასეთი ბარბაროსული ექსპლოატაცია იწვევდა ტყვის სწრაფ ფიზიკურ „გავცეკვას“. ამიტომ საჭირო ხდებოდა საქონელ-სამუშაო ძალის დრო-დადრო შევსება.

მონა-ტყვეები თურქეთში მიედინებოდნენ არა მარტო მიტაცებით ან შესყიდვით, არამედ დამორჩილებული ქვეყნების დახარკვის გზითაც. ოსმალები დაპყრობილი ქვეყნებიდან მატერიალური დოვლათის ნაცვლად ადამიანებს ითხოვდნენ. 1765 წლის 16 თებერვალს საქართველოს საზღვარზე მყოფმა ფაშებმა სულთნისაგან მიიღეს ბრძანება — შესეოდნენ საქართველოს პროვინციებს მთელი ჯარით, რადგან ის პროვინციები არ იხდიდნენ ტყვეების სახით შეწერილ გადასახადს, რომელიც დააკისრა მათ მისმა უდიდებულესობამო.

ამრიგად, თურქეთში ტყვეებით ვაჭრობის მიზეზები, ერთი მხრივ, უნდა ვეძიოთ დამორჩილებული ქვეყნების თურქეთთან პოლიტიკურ და

1 გურჯისტანის ვილაეთის დიდი დაეთარი, წიგნი მეორე, გვ. 3-4, 1941 წ.

2 კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. 2, გვ. 601, 1957 წ.

ეკონომიურ დამოკიდებულებაში, ამასთან, უნდა გავეთვალისწინოთ თურქეთის მეურნეობის ნატურალური ხასიათი, რასაც შეესაბამებოდა ტყვეებით ვაჭრობა, რადგან საკუთარ წარმოებას მოკლებული ოსმალეთი ფართოდ იყენებდა მონურ შრომას.

როგორც დავინახეთ, თურქეთის სამასწლიანმა ბატონობამ ბევრად მოშალა და დაქვეითა აჭარის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება, ხოლო მოსახლეობას ფიზიკური გადაშენების საფრთხე შეუქმნა. მაგრამ აჭარის მშრომელები არასოდეს არ შერიგებიან უცხოელთა ბატონობას. ისინი მედგრად იბრძოდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ესწრაფოდნენ დე-

და-სამშობლოსთან — საქართველოსთან თებას.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ასრულდა აჭარის მშრომელთა დიდი ხნის ნატვრა და მისწრაფება — დაბრუნებოდნენ დედა-სამშობლოს.

თავისი მმართველობის დამკვიდრებისთანავე რუსეთმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ადამიანებით ვაჭრობას აჭარაში და საქონლური წარმოების განვითარებისა და საქონლის ვაჭრობის ყველა აუცილებელი პირობა შექმნა. ეს იყო მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსეთის პროგრესული როლის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელი.



დუჩინოხან სინთაქა შოთა ხანთაქა

მუსაესტატეზე არსებული ხალხური გადმოცემის შესახებ

აქარის ერთ-ერთი სოფლის — მუსაესტატეს სახელწოდების წარმოშობის შესახებ ხალხში გავრცელებულია მეტად საინტერესო გადმოცემა, რომელიც იმ ეპოქის ამბებს მოგვითხრობს, როცა დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო ფეხმოკიდებული ადამიანებით ვაჭრობა, ე. წ. „ტყვის ყიდვა“. ასეთ ტყვეებზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება თურქეთში იყო.

მუსაესტატეს შესახებ არსებული გადმოცემის ფართოდ გავრცელებული ვარიანტი შემდეგია: ქანიეთელი გლეხი, სახელად ესტატე, ბავშვებს იტაცებდა და თურქეთში ჰყიდდა. ერთხელ მას მოუტაცნია ბავშვი და ტყეში იმ ადგილას მიუყვანია, სადაც ამჟამად სოფელი მუსაესტატე მდებარეობს. აქ მას უნდა დახვედროდა თურქი მყიდველი, მაგრამ ეს უკანასკნელი ადგილზე არ აღმოჩნდა. ესტატეს ბავშვი მუსაზე მიუყარავს და თურქს დალოდება. შემდეგ მას ხეზე თავისი სახელი ამოჰჭრია, რათა მყიდველს გაეგო, ვინ მიაყვანა ბავშვი და ფული დაეტოვებინა ხის ფულდურში.

ბავშვის დაკარგვის ამბავი მთელ სოფელს გაუგია. გლეხებს ესტატე შენიშნული ჰყავდათ ასეთ საქმეში და ამიტომ მოსთხოვეს ბავშვის დაბრუნება. ესტატეს ბავშვის მოტაცებაზე სასტიკი უარი განუცხადებია. გლეხები ხუთი დღის განმავლობაში ადევნებდნენ თვალს ესტატეს. ეს უკანასკნელი ფრთხილობდა და სოფლიდან არ გადიოდა. მეექვსე დღეს მან მოახერხა გაპარვოდა გლეხებს და მივიდა მუსხასთან. თურქი არ მისულიყო. უსმელ-უქ-

მელი ბავშვი სულს დაფაგდა. ესტატეს მიუტოვებია იგი და უკან დაბრუნებულია.

გავიდა წლები. სიკვდილის წინ ესტატე მღვდელს აღსარებაში გამოუტყდა და მოუთხრო ბავშვის მოტაცების ამბავი, დაუსახელა ის ადგილიც, სადაც იგი მუსაზე მიაკრა. ხალხში ეს ამბავი გავრცელდა და ამ ადგილს „მუსაესტატე“ შეერქვა.

ხალხური გადმოცემის ეს ვარიანტი ჩაწერილი, დამუშავებული და გამოქვეყნებული აქვს მწერალ ნინო ნაკაშიძეს (იხ. მისი „მოწადის დღიური“, 1954 წ., გვ. 115-123). ეს თქმულება მას მოუთხრო ქალაქ მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა მაკარი თავდუმაძემ. ამავ თქმულებას მოკლე გადმოცემებს დოქს. კობიძე თავის წერილში „გურიის ყმა გლეხების მდგომარეობა და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის“ (იხ. გაზ. „ლენინის დროში“, 1958 წ., № 57).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიულმა ექსპედიციამ გურია-აჭარაში მუშაობის დროს ჩაიწერა ამ თქმულების ოდნავ განსხვავებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ესტატე ერქვა არა ბავშვის მომტაცებელ გლეხს, არამედ თვითონ მოტაცებულ ბავშვს. ასე, მაგალითად, სოფელ მუსაესტატეს მცხოვრებმა 97 წლის ქესკინ ალის-ძე ნიქარაძემ ჩავაწერინა შემდეგი: „იმ უბედურობის ხანაში ერთ აზრავს ბავშვი მოუტაცია, ტყეში მუსაზე მიუყარავს და თითონ მყიდველი თურქის მოსაძებნად წასულა, ვერ უპოვია და გაბრაზებულს

ბავშვი დანით მოუკლავს. რამდენიმე დღის შემდეგ გლეხებს ბავშვის გვამი უნახავთ, თავიანთი სოფ-
ლელი გლეხის ბიჭი — ესტატე უცვნიათ. ამის გა-
მო იმ ადგილისათვის მუხაესტატე შეურქმევიათ,
ე. ი. ესტატეს მუხაო“.

ასეთივე შინაარსის გადმოცემა ჩაგვაწვრინა
სოფ. სამების მცხოვრებმა 78 წლის მემედ ხუსეი-
ნის-ძე ბლადაძემ.

ჩვენი აზრით, უფრო სწორი უნდა იყოს თქმუ-
ლების ეს ახალი ვარიანტი. ძნელი წარმოსადგენია,
რომ სოფლისათვის ხალხს შეერქმია ადამიანებით
მოვაჭრე, აბრაგი გლეხის სახელი. ასეთი პირების
სახელს ხალხი წყველა-კრულეითა და ზიზღით
იხსენიებს.

თქმულების პირველ ვარიანტში ექვს იწვევს ის
ადგილიც, სადაც ნათქვამია, რომ ბავშვის შემოქმედ-
ებელმა თავისი სახელი ამოჭრა მუხაზრეო ვერ-
ერთი, არაა მოსალოდნელი, რომ აბრაგს ასეთი
გაუფრთხილებლობა გამოეჩინა, ხოლო, მეორე
მხრივ, დაუჯერებელია, რომ ტყვის მყიდველ
თურქს შემღებოდა ქართულად ამოჭრილი წარწე-
რის წაკითხვა.

ცხადია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს თქმულე-
ბის ახალ ვარიანტს. უფრო მისაღებია ის აზრი,
რომ ხალხმა ადგილსა და სოფელს იმ უკულმართი
დროის ერთ-ერთი მსხვერპლის გლეხი ბიჭის —
ესტატეს სახელი შეარქვა.



ლექსები სამოგბლოზე, სიძვარულზე, სიცოცხლეზე

ვინ არ მოხიბლულა აჭარის პეიზაჟით, ვის არ უმღერია მისთვის! აჭარის ზღვისფერ ცასა და მარადმწვანე ველ-მინდორს არა ერთი შორეული თუ ახლობელი სტუმრის გული აუტგერებია, დაფარული გრძნობა გაუღვიძებია და ქება-დიდება ლექსად ან ხატოვნად უთქვამს.

მაგრამ ეს მხარე ყოველთვის როდი იყო ასე ლალი და თავისუფალი. სამი საუკუნის განმავლობაში თურქი ასიმილატორები ბატონობდნენ აქ... ჟამთა სიივე წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ ტანჯვასა და უბედურებას, რომელიც მას მიაყენეს უცხოელმა დამპყრობლებმა. „აჭარა ადრე მოსტაცეს დედას, ღრუბლის ჩადრები დახურეს ოდებს“, — ამბობს პოეტი ფრ. ხალვაში ლექსების ახალ კრებულში „მუხა და ქარი“ და იქვე სიამაყით დასძენს:

ქართული მაინც არ დაგვიობლდა,
თუმცა დაგვიწვეს ქართული წიგნი...
აჭარას მკერდზე ჭირილობა ჰქონდა,
მთელ საქართველოს სტკიოდა იგი.
იგი ჭირილობა გტკიოდა შენაც,
გეხვია ჩემი წინაპრის დარდი,
შენი ნაღველი და გულის ტკენა
იცოდა მან და მიტომ უყვარდი.

ამ სიტყვებით მიმართავს პოეტი ილია ჭავჭავაძეს. ეს ლექსი ერთ-ერთი საუკეთესოა თავისი პოეტური გააზრებით.

საინტერესოა აგრეთვე ლექსი „სიცოცხლის დღენი“. პოეტი აქაც ორიგინალურად აშუქებს საკითხს. დღეები მიდიან, წლები გვემატება, მაგრამ უკეთესი ხვალის მოლოდინში მაინც გვიხარია ჟამთასვლა. ამიტომ ამბობს პოეტი „მინდა მოვასწრო საქმე იმდენი და ყველა მთაში დავლიო წყარო... წუთიერ ბესიმიზმს გვიფანტავს ლექსის ფინალი „დღეები კი არ მიდიან ჩვენგან, არამედ ჩვენთან მოდიან დღენი“. ამ ლექსში ევ-

რთწოდებული პოლიტიკურ-საგაზეთო საკითხი ისე ლამაზად და მიმზიდველად არის ნათქვამი, რომ ლექსი ინარჩუნებს ლირიკისათვის საჭირო ყველა სამკაულს.

ასევე გაბედული თქმებით ხასიათდება ლექსები „მტრედის სიკვდილი“, „დილა“, „გლეხის ზეიმი“. ეს უკანასკნელი აღსანიშნავია თემის ორიგინალური გაშუქებითა და ღრმა შინაარსით, უბრალოებითა და ხალხურობით. ლაპარაკია ოქტომბრის რევოლუციაზე, თუმცა ამ სიტყვას ლექსში მკითხველი ვერ შეხვდება. ოქტომბერი მსუყე თევა. ჭირნახულით სავსეა გლეხის კარმიდამო. „და ვეკითხები მამას ვინ არის-მეთქი ეს ოქტომბერი?“ — ამბობს პოეტი. მამამ ანახა ლენინის სურათი. ყმაწვილობის ეს განცდა და მოგონება უდევს საფუძვლად ამ ლექსს:

მას შემდეგ მტკვარში ჩაიარა რამდენმა
წყალმა,
რამდენჯერ ბაღმა იცვალა ფერი,
მე კი, ვით მამას,
მკერა ერთი სიცოცხლე არი
თვითონ ლენინი და ოქტომბერი.

პოეტის ამღერების მთავარი საგანია სამშობლო თავისი დღევანდლობითა და ნათელი მომავლით. ამ მხრივ მაღალი პატრიოტული გრძნობითა გამსჭვალული ლექსი „საქართველო“, რომელშიც პირველი სტრიქონიდანვე იგრძნობა მებრძოლი ლირიზმი და ღრმა პატრიოტული გააზრება. „მე შენი მკვიდრი ერთი ქართველი, თუ წავალ სხვაგან, ვარ საქართველო... მე ერთ პეშვ შენსა წყალსა ანკარას ოკეანეშიც კი არ გავცვლიდი“, — ამბობს პოეტი. ლექსი ვიწრო ეროვნულ ჩარჩოში როდი თავსდება. პოეტის სურვილია გათენდეს იქაც, სადაც ჯერ კიდევ უკუნი მეფობს.

ასეთივე აზრია გატარებული ლექსში „სამხრეთის დამე“. პოეტის სურვილია, „რომ უბედურთა დამე დაიწვას და აყვავილდეს ყველგან მთა-ველი, რომ ყველასათვის ეს დედამიწა იყოს ლამაზი და



საყვარელი". ამვე თემაზე აგებული ლექსები „ძველი ფანდური“ და „ამ ქვეყანაზე“. ეს უკანასკნელი თავისი ფინალით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, რამდენადაც ალალი გულითაა ნათქვამი და ახლობელია ყველასათვის.

მშობლიური კუთხის წარმტაცობა პოეტის შთაგონების ერთ-ერთი წყაროა. „ჩემი საქები ყველა ერთია... ქართული ზეცა ჩემი ჭერია, ამიტომ ვამბობ: ჩემი კერია — ჩემი აჭარა იყოს დღევანდელი“. ასე მოკლე და გასაგებად გამოხატა პოეტმა თავისი განუზომელი ტრაგიკალი მამაპაპური კერიისადმი — აჭარისადმი.

პატრიოტული და აქტუალური თემების გვერდით პოეტი მკითხველს თავაზობს პირად-ინტიმური გრძნობებით აღსავსე ლექსებსაც. სიყვარულის თემა ფრ. ხალვაშის პოეზიაში ისე უმწიკვლო და სულიერ აღმფარვანია ჩამოყალიბებული, რომ ძალაუნებურად ენდობი პოეტს. კარგად ჭელის უსათაურო ლექსების მთელი ციკლი: „გზვდებოდი ჩითვისკაპანას...“, „შენ გაანათე მატარებელი“... „ტყეში იები გოგონამ შეკონა“... და სხვ.

მსოფლიოს ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის საკითხს ეხება ლექსები „იაპონელი მეთევზე“, „ომი იქნება?“, „იგი იცოცხლებს“. ამ უკანასკნელს მიმზიდველი სიუჟეტი გააჩნია და კარგად იკითხება.

საინტერესოა აგრეთვე „სიბერის სედა“, „შენ, სიყმაწვილე“, „ღამის დარაჯი“ და სხვ.

განახლებული და აღორძინებული სოფლის სურათებს გვიხატავს პოეტი ლექსების ციკლში „მერისული დღიურები“. თავად პოეტი ქედის რაიონიდანაა და იგი სიყვარულით გამოხარს სტრიქონებს უძღვნის მშობლიურ ადგილებს: „შენ ბებერი ხარ, როგორც დანდალო და ახალგაზრდა, როგორც აწუპის“. სტრიქონთა ეს მელოდია თითქოს ნაცნობია და ერთხელ გაგონილი, მაგრამ კარგი მიზაზე ყოველთვის როდია ცოვდა.

ბუნების დაცვის სადღეისო საკითხებს ეხება ლექსი „მუხა და ქარი“.

განყოფილებაში „პოემები“ წარმოდგენილია სამი ნაწარმოები, მაგრამ არა გვევლინა ისინი ამ ჟანრისათვის საჭირო ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ. ეს არ ითქმის მხოლოდ პოემაზე „ვარსკვლავის ნატეხი“, რომელიც მთელ წიგნში გამოირჩევა პოეტური სინატიფითა და მოკლე, მაგრამ მძაფრი სიუჟეტით. მკითხველი რწმუნდება, რომ პოეტს ამ პოემაზე ბევრი უმუშავნია, მაგრამ სასურველი იყო მეტი ეფექტა პოემის ფინალზე, რათა იგი გაეხადა ნაწარმოების მძაფრი და საინტერესო სიუჟეტის ლოგიკურ დასასრულად.

პოემები „მამა“ და „ვაზის ტირილი“ ვერაა სრულყოფილი როგორც პოეტური დამლევს, ისე სიუჟეტის გაშლის თვალსაზრისით.

სარეცენზიო წიგნში გვხვდება აგრეთვე ევრო-წოდებული პროზაული თქმები, როგორცაა: „შემერგოს შენი ჰავე ჯანმრთელი“, „კარს გამიღებდა კლდე უღიმილო“, „ჩვენ ყვევილები ვართ სიმღერები, ბეპელას ფრთებში არეულები“. მიუხედავად თემატიკის აქტუალობისა, ციკლში „მერისული დღიურები“ წარმოდგენილი ზოგიერთი ლექსი ფერმკრთალი და სუსტია. აბა რა არის ამაში პოეტური?

მოდი, იხილე ეზო, ყანა, ტყე სასურველი,

ზეც მაღალი და ჰაერში თავლის სურნელი,

საჭიროა პოეტმა ყველა ლექსზე ერთნაირი მონდობით იმუშაოს. ამასთან, უპირველეს ყოვლისა, უნდა იზრუნოს თავისი ორიგინალური ხმის შემდგომი დახვეწისათვის.

როგორც ამ წიგნის ანალიზმა გვიჩვენა, ფრ. ხალვაში ზრდისა და პოეტური დეკადაცების სტადიაში იმყოფება და გვეუბრა, რომ მომავალში იგი კიდევ უფრო უკეთეს ლექსებს მიაწვდის მკითხველს.

აღ. კოკაბია.

ქურნალისტის საინტერესო ჩანაწერები

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე წიგნად გამოსცა ქურნალისტ ვლადიმერ მარღანიძის ნარკვევი „მოგზაურობა ექვს ქვეყანაში“.

„ჯობს ერთხელ ნახვა, ვიდრე ასჯერ ნაამბობის მოსმენაო“, მოხდენილად იმორწმუნს ავტორი ჩინურ ანდაზს წიგნის დასაწყისში, მაგრამ მკითხველი მაინც სიამოვნებით კითხულობს ქურნალისტი ტურისტის საინტერესო ნაამბობს ექვს ქვეყანაში მოგზაურობის შესახებ.

ავტორი მიზნად არ ისახავს პოლიტიკურ-ეკონომიურად მიმოიხილოს უცხო ქვეყნები, ნარკვევები უფრო უშუალოდ დანახულს გადმოგვცემს, მაგრამ

ქურნალისტის მახვილი თვალი მაინც გარკვევით შენიშნავს ხოლმე განსხვავებას ხალხის გულითაობასა და კაპიტალის ქვეყნების მესვეურთა „სტუმართმოყვარეობას“ შორის.

პირველი ასეთი პოლიტიკური „სტუმართმოყვარეობის“ „გულუხვობა“ ტურისტებმა ჯერ კიდევ ოდესაში, გემზე ასვლამდე იცემეს, როცა შეიტყვეს — იტალიის ხელისუფალი საპარლამენტო არჩევნების გამო ვიზებს არ იძლევიანო. არ ესიამოვნათ, მაგრამ შემდეგ, უკვე ჩრდილოეთ ზღვაში მიღებულია ცნობა საპარლამენტო არჩევნებში იტალიის კომუნისტური პარტიის მნიშვნელოვანი გამარჯ-

ევანის შესახებ, საგრძნობლად გაანელა წყენა და განამტკიცა რწმენა, რომ იტალიას შეიძლება ეწვიო დღეს თუ არა სვალ და უფრო უკეთეს პირობებში, როგორც სამართლიანად დასკვნის ავტორი.

პირველი უცხო სახელმწიფო, რომელიც ტურისტებმა იხილეს, თურქეთი იყო, ქვეყნის ორი ნაწილის ორი სანაპირო ერთად: მარცხნივ აზია, მარჯვნივ — ევროპა, ულამაზესი ბოსფორის სრუტე და ზოლოს ორი მატერიაზე გამწვანებული ერთადერთი ქალაქი მსოფლიოში — სტამბოლი თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

ავტორი საინტერესოდ, ცოცხლად ყველა სტამბოლის — ძველი ბიზანტიონის ციტადელის — კონსტანტინეპოლის დაარსებისა და მისი შემდგომი ისტორიის ბედუკუდმართობის ამბავს, აკვირდება სტამბოლის ქუჩებს და სწორად შენიშნავს, რომ სრულიად უბრალო ფაქტებს პოლიტიკური განზოგადების სიღრმე და წონა ენიჭებაო. და მართლაც, საგაზეთო ცნობას, საგარეო ვალის გადახდას თურქეთი მხოლოდ 2002 წელს შეძლებსო, თვალნათლივ ამტკიცებს ამ უძველესი ქალაქის ქუჩებში გამოფენილი უამრავი ბეჩაკი.

კიდევ ორი ზღვა განვლეს ტურისტებმა და ანტიკური ელადის კურთხეულ მიწას — საბერძნეთს მიადგნენ. მიყვებით ავტორს პირეა-ათენის ავტოსტრადით და თითქოს თქვენს თვალწინ ცოცხლდებიან „ილიადას“ ეპოქა და ახალი საბერძნეთი — მართლის გლეხობის სამშობლო. საბერძნეთში ტურისტებს დაუხვდათ აკროპოლისი — საკაცობრიო ხელოვნების განუმეორებელი კლასიკური ძეგლი და თავისუფლებისმოყვარე ბერძენი ხალხი ლოზუნგებით: „ძირს ატომური ბაზუბი!“

მესამე ქვეყნის — ეგვიპტის ნაპირთან „გრუზიას“ განთიადმა მოუსწრო. „მოგზაურობის დროს ბევრი რამ ვნახეთ. მაგრამ მშვენიერი ალექსანდრია ჩვენს ხსოვნაში დარჩა, როგორც ბუნებისა და არქიტექტურის შესანიშნავი შეხამების ნიმუში“, — წერს ვ. მარდანიძე. ასეთი შთაბეჭდილების დასადასტურებლად ავტორი ხატოვანად გვიამობს ალექსანდრიის ღირსშესანიშნაობებზე და ამასთან

დასძენს, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი რჩება როდია ეგვიპტეში, ხალხს ჯერ კიდევ არ დაეწივნია „ცრემლის ქოთანს“. ამ შთაბეჭდილებებს უკავშირდება ტურისტებს ეგვიპტიდან გამოჰყავს „ათასგობითი ღამის“ ქალაქის ქაიროს, პირამიდებისა და არაბი ხალხის სტუმართმოყვარეობის წარუშლელი მოგონება.

სიძველის ბრძნული სიღაღითა და ახალგაზრდული ლაღი ღიმილით დაუხვდათ პარიზი საბჭოთა ტურისტებს. გუნებას მხოლოდ იმ დღეებში ალჟირის მომხდარი ამბები აფუჭებდა. „როცა პარიზში მიღებული შთაბეჭდილებანი შევაჯამეთ, — წერს ვ. მარდანიძე, — ყველანი სამწუხარო დასკვნამდე მივიდით: ამ ზერელე შთაბეჭდილებებით შეუძლებელია მსჯელობა ნამდვილ პარიზზე, იმ პარიზზე, რომელიც შრომობს და იბრძვის“. მართლაც, ოთხი დღე, ალბათ, ოთხი წამი არც კია პარიზის — განსაკუთრებული ორიათასწლოვანი ქალაქის გასაცნობად.

ისევ ზღვა და მოგზაური ჟურნალისტი გვატყობს ბელგიის კონტრასტებს, გვიზიარებს ბრიუსელის გამოფენაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს.

„პაასიკე-ეკონენის ხაზი“ და არა „მანერპაი-მის ხაზი“ — ასე დაუსათაურებია ვ. მარდანიძეს პირველი ნარკვევი მოგზაურობის მარშრუტით გათვალისწინებულ მეექვსე ქვეყანაზე — ფინეთზე. მეგობრული პელსინკის ქუჩებში უბრალო გავლაც კი ადასტურებს ამ სათაურის სიმბოლურობას — საბჭოთა და ფინელ ხალხებს შორის მეგობრობის დამკვიდრებას აწ და სამარადისოდ.

— გაშარჯობა, სამშობლო! უმშვენიერესო მიწა! — ასე შთაგრძობა ნარკვევი და გვეჯერა ავტორის სიტყვებისა — „არა! ერთი თვის წინათ, როცა შორეულ მოგზაურობას ვიწყებდით, ისეთი მღელვარება არ განგვიცვია, როგორსაც განვიცდით ახლა, როცა გულში გვივლის იმაზე ფიქრი, რომ ხელ მშობლიურ მიწაზე დავდგამთ ფეხს.“

ნარკვევები უხვად არის დასურათებული, რაც კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებებს.

მ. ზინიძეა.

მომოგზარაფია ბათუმის ისტორიაზე

ვ. სიქინავას ნაშრომი „ბათუმის ისტორიიდან (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება 1877-1907 წ. წ.)“ მიქმდნა ქალაქ ბათუმის ისტორიის შესწავლას. წიგნს დართული აქვს დოკუმენტები და ილუსტრაციები. ნაშრომი დაწერილია საარქივო მასალებისა და პირველი წყაროების საფუძველზე.

წიგნის პირველ თავში განხილულია რუსეთ-თურქეთის ომები XIX საუკუნეში და ბრძოლა ბათუმის განთავისუფლებისათვის, ავტორი განი-

ხილავს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას აღმოსავლეთის საკითხთან დაკავშირებით. იგი აწვდის დასავლეთის სახელმწიფოების აგრესიულ ზრახვებს კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ.

წიგნში ნაჩვენებია, რომ თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოს მიწა-წყლის და, კერძოდ, ბათუმის განთავისუფლება საქართველოს საკუთარი ძალებით არ შეეძლო და ეს ამოცანა დიდი რუსი ხალხის დახმარებით გადაიჭრა, ბა-

თუმცის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიწვია ქართველი დარუსი ხალხების ისტორიული მეგობრობა. აქვე აღწერილია, თუ რა აღფრთოვანებით შეხვდა ქართველი ხალხი ბათუმისა და აჭარის განთავისუფლებას თურქთა ბატონობისაგან.

ნაშრომის მეორე თავი ეხება ბათუმის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას რუსეთთან შეერთების შემდეგ. ბათუმის ტერიტორიისა და მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის აღწერის შემდეგ ავტორი გვიჩვენებს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას ბათუმში. კარგად არის გაშუქებული ბათუმის როლი ბაქოს ნავთის გადამამუშავებისა და საზღვარგარეთ ვაჭრების საქმეში, განსაკუთრებით მუშათა კლასის უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა.

სარეცენზიო წიგნის მესამე თავში ავტორს გაშუქებული აქვს ბათუმის მშრომელების ბრძოლა თვითმკაცრობის წინააღმდეგ. ეძლევა ბათუმში რევოლუციური მოძრაობის ისტორია წარმოდგენილია საქართველოსა და რუსეთში რევოლუციურ მოძრაობასთან განუყოფელ კავშირში.

საარქივო მასალის შესწავლის შედეგად ავტორს დაუდგენია, რომ ბათუმში ჯერ კიდევ თურქთა ბატონობის პერიოდში არსებულ რევოლუციური ორგანიზაცია, რომლის შემქმნელები ცნობილი ქართველი ნაროდნიკი რევოლუციონერები იყვნენ. მათ მიმოწერისათვის საიდუმლო ანბანი შეუქმნიათ. ეს ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ იყო ცნობილი და მისი დღის სინათლეზე გამოტანა ავტორის დამსახურებად ჩათვლება. შემდეგ ნაჩვენებია ბათუმის პირველი მარქსისტული წრის შექმნა და მისი საქმიანობა, ი. ბ. სტალინის მიერ რსდმპ ბათუმის კომიტეტის დაარსება და მისი რევოლუციური მოღვაწეობა.

ავტორი საარქივო მასალებით აშუქებს რევოლუციური მოძრაობის ისტორიას ბათუმში. აღნიშნულია, რომ 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციის ტალღა ელვის სისწრაფით მოედო ამიერკავკასიას. ბათუმის პროლეტარიატი ამ ერთიანი ბრძოლის აქტიური მონაწილე გახდა.

მთელ რიგ ღირსებებთან ერთად სარეცენზიო ნაშრომს გააჩნია ნაკლიც.

მე-14 გვერდზე ავტორი აღნიშნავს, რომ ბათუმში, ქობულეთი და ციხისძირი უკვე XVIII საუკუნის დასაწყისში იყო თურქების ხელში, მაგრამ საესეპით საწინააღმდეგო მტკიცებას ვხვდებით მე-15 გვერდზე, სადაც აღნიშნულია, რომ 1654 წელს თურქებმა გონია დაიპყრეს, ხოლო

ბათუმი ამ დროს თურქებს უკვე ასი წლიან დაპყრობილი ჰქონდათ. გამოდის, რომ თურქებმა წლიდან ბატონობდნენ ბათუმში. ეს მცდარია.

ავტორის ზოგიერთი ისტორიული მოვლენა სწორად არა აქვს გაშუქებული. ასე, მაგალითად, იგი წერს, თითქმის რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში ბათუმის საკითხი რუსეთის სარდლობის სტრატეგიული გეგმის ცენტრში იდგა (გვ. 263). ავტორის ეს მოსაზრება არ არის მართებული. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მთავარი სტრატეგიული საკითხი იყო კონსტანტინეპოლისა და შავი ზღვის სრუტეების დაპყრობა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-თურქეთის ომების გამოწვევი მიზეზები ცალმხრივად არის განხილული.

ბათუმის მოსახლეობისა და სოციალური შემადგენლობის ამსახველი ცნობები ავტორის შეუსწავლელად და დაუსუსტებლად მოუტანია (გვ. 111, 112).

ავტორი გადაჭარბებულად წარმოგვიდგენს ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებას თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების პირველ დღეებში (გვ. 118).

რევოლუციური მოძრაობის გაშუქებისას ყოველთვის დაცული არ არის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ზოგიერთი რევოლუციური მოვლენა სრულიად არ არის ფიქსირებული, რაც, ალბათ, უმთავრესად იმით უნდა აიხსნას, რომ რევოლუციური მოძრაობა ავტორის სპეციალური კვლევის საგანს არ წარმოადგენდა.

ნაშრომში ზოგჯერ ეხვდებით არაზუსტ გამოთქმებს, რაც ხშირად აზრის დამახინჯებას იწვევს (გვ. 118, 265, 266).

წიგნი ვადატვირთულია სტატისტიკური ცხრილებითა და სქემებით.

სასურველი იყო ავტორს განეხილა ქ. ბათუმის ეტიმოლოგიის საკითხი და ამასთანავე დაეხასიათებინა ქალაქის კულტურული სახე.

საერთოდ, წიგნი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი უთუოდ სერიოზული მეცნიერული ნარკვევა და ერთ-ერთი საუკეთესო საქართველოს ქალაქების ისტორიაზე დღემდე გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის.

მ. სვანიძე,
ქ. ლილუაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები.



გრიგოლ ჩხაიძე

ელპიტეს დაკრძალვა

სოფელი უეცარმა კვიცილმა შეძრა.

— ელპიტე მომკვდარა, ელპიტე, —
გადასძახეს მეზობლებმა ერთმანეთს
და ჭირისუფალთა სანუგეშებლად და-
იძრნენ.

ელპიტე გულკეთილი, ავკარგიანი,
მოყვასი და მეოჯახე ქალი იყო. ქმარ-
შვილს თავზე ევლებოდა, და ტკბილად
დალია თითქმის ერთი საუკუნე.

თაყამ ეზოში ოდიდან ახლად გამო-
სული, აცრემლებული ქვისლი დაინახა
და იხმო.

— ბიჭო, ონოფრე, მოდი აქ, გაიმაგ-
რე გული, ნუ მოიკლავ თავს. კარგი
დედა იყო, მარა რას იზამ, ასეა წესი—
მშობლები კვდებიან, შვილები რჩები-
ან. დედაშენს ახლა უნდა პატრონობა,
დიდი მტერ-მოყვრის ქალი იყო. სხვა
რომ არ ვთქვათ, შენი შვილი რომაა
ქალაქში, პოლიკარბე, ხომ იცი რა თა-
ნამდებობის კაცია? მისი ნაცნობები
რომ მოვლენ, ეზოში ტევა არ იქნება,
თქვენაც ბევრი კეთილი და ნათესავ-
მოყვარე გყავთ. თადარიგს უნდა დაჭე-
რა, სირცხვილი არ გვაშობ.

— მე... მე... — სლუკუნით დაიწყო
ონოფრემ, — თქვენი იმედი მაქვს. ახ-

ალგაზრდები ხართ. ახალი წესები
უკეთ გაგეგებათ. აბა თქვენ იცით,
სირცხვილს თუ არ მაჭმევთ, კუთხე-
მეზობლებში არ გამომწყვეტთ. საწ-
ყალი დედაჩემისათვის არაფერი მშურს.
ხომ იცით, რა ამაგი მიუძღვის?.. ავი
ოჯახი მისი შექმნილია, მისი აშენებუ-
ლია, ჩემი ბაღნები და შვილიშვილები
მისი გაზრდილებია. კი მაქვს საშუალე-
ბა და მომახმარეთ. ნუ გეშინია, ერთი
კოვზი წამალი არ დამილევიანებია, ისე
გამეპარა.

— ხარჯებზე არ იფიქრო, ამ ოჯახს
დიდი გავალბა აქვს. ფული ბლომად
შემოვა. ღვინო შენი გაქვს და... ზოგ
რამეს ბაზრიდანაც წამოვუმატებთ.
ერთი სიტყვით, დედაშენს რომ დაშ-
ვენდებ, ისეთ ქელესს მოვუწყობთ.—
შეაგულიანა ონოფრე მუდამ ქეიფისა
და დროსტარების მოყვარულმა თაყამ.

— აბა, ახლა ერთი კაცი ქუთაისში,
იქ კარგი მწვანელი იცის, ერთიც ფოთ-
ში თევზისთვის, დანარჩენებმა აქ მივ-
ხედოთ საქმეს. — გასცა განკარგულე-
ბა თაყამ.

ნაცნობ-ნათესაეებს (რომლებიც ელ-
პიტეს ყველგან ჰყავდა) გაუგზავნეს



მოსაპატივებელი დეპუტები: „გარდაიცვალა ელბიტე, ვასაფლავებთ კვირას“. გაზეთებმაც დროულად აუწყეს მკითხველებს ელბიტეს გარდაცვალება.

კვირას დილიდანვე მზად იყო განიერი გზის მარჯვნივ და მარცხნივ ორი დიდი სეფა. ერთ სეფაში ძველებურ ტანსაცმელში გამოწყობილი ელბიტე ესვენა. მეორეში ორ მწკრივად ჩაეწყობოთ მაგიდები ქელეხისათვის. ყველაფერს ეტყობოდა თაყას ნიჭი და უნარი, რომელმაც პატივი დასდო განსვენებულის ოჯახს და სამგლოვიარო ცერემონიას ხელმძღვანელობდა. ჯარასავით ტრიალებდნენ მომსახურე გონებებიც.

ადრიანად დაიწყო მოტირალ-მოსამძიმრეთა მოსვლა. კუბოს ერთ მხარეს სამ რიგად ჩაეწყვენენ ჭირისუფალნი. ბტყდა წივილ-კივილი. მსხლის, ვაშლისა და ნაძვის კენწეროებში აკაკანდნენ წინასწარ მომზადებული რეპროდუქტორები. კივილი სასულე ორკესტრის „თავო ჩემომ“ შეცვალა.

— კი მარა, აგი რადიო რად უნდოდათ ნეტავი? — გაიკვირვა ერთმა მოტირალმა.

— ეს ახალი გამოგონებაა. ტირილის ადგილობრივი გადაცემა ჯერ არსად მოუწყვიათ. პირველობა ჩვენია.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — მოიწონა ვილაცამ.

— არიქა, პოლიკარპე სადაა: პოლიკარპე! უთხარით ერთი მიცვალებულთან დადგეს, ხომ ხედავთ ქალაქელები მოდიან, — ყვიროდა თაყა.

უხოსთან მოსასვლელი ვიწრო გზა მანქანებით გაიქედა.

— ექვსი „ზიმი“, ათი „პობედა“, რვა „ვოლგა“, თოთხმეტი „მოსკვიჩი“, ხუთი ავტობუსი, — ხმამაღლა ითვლიდნენ ოღბეზე შემომსხდარი ბავშვები.

— მთელი ქალაქი არ გაცილია?! ერთი, ბიძიებო, გვირგვინებიც დათვაღეთ ბარემ!

— ასხუთია!

— აი ყოჩაღ, პოლიკარპე! დირექტორი ვარ და მაფასებენო, ამას ქველმოქმედებს!

ქალაქელებს ერთი მოხალისე კინოოპერატორი გამოეყო. სხვებს ეზოში ჩამოსაწრო. გადახურულ ჭიშკარს თავზე გადააჯდა და აპარატი პროცესიას დაუმიზნა. საზვევტრესტის დამგლოვიარებულმა მუშაკებმა თავის დირექტორს სამძიმარი უთხრეს და მიცვალებულს გულზე ცრემლებთან ერთად გაზეთები დააყარეს, რომლებშიც ტრესტის ასზე მეტი სასადილო-სასაუზნის მუშაკები და მომხმარებლები იუწყებოდნენ ელბიტეს გარდაცვალებას.

— თაყა! აბა შენ იცი!.. — ვასცა განკარგულება პოლიკარპემ.

ჭიშკრის გადაღმა მომსვლელთა რიგი შეიქმნა. გვირგვინები ეზოდან ხშირ-ხშირად გადაჰქონდათ, საფასურს იქვე იხდიდნენ და ახალი წარწერებით აბრუნებდნენ.

— ფულებს ბლომად მოხვეტავენ, მარა... როგორ ფიქრობ, გაინაღდებს ონოფრე ამდენ ხარჯს?..

— უკვე ოცია შემოსული.

— მერე რა? ერთი შეხედეთ, რა ამბავია, რა გააძღებს ამათ!

— ქელეხს ეტანებიან, თორემ მიცვალებულს ვინ ეძებს.

— ამ ამბავს ბოლო თუ არ მოეღო, ვიღაც გაკვირვებული წაესაკრება — კამათობდნენ ჯგუფ-ჯგუფად თავშეყრილნი.

საქელეხო სეფაში ბახუსმა ხალხს ორატორობის უნარი შემატა.

— ელბიტე ასი წლის იყო, თვითეულმა ათი ჩაის ჭიქა უნდა დალიოს! — გაიძახოდნენ მერიქიფეხები.

ცოტა მოგვიანებით ჭიშკარს ავტო მოადგა. იქიდან ათიოდე ქალი და კაცი გადმოვიდა.

— რაია აგი, ძამიავ? — გაკვირვებით იკითხა ერთმა მოხუცმა.

— მე რა ვიცი, ჩვეულებრივი ხალხია.



— ჩვეულებრივი კია, მარა ჩონგურები რად უნდათ?

— აგერ ვართ და დაეინახათ.

ახალმოსულებმა იპურღინეს, შემდეგ მიკროფონის ახლოს დასხდნენ, ცოტა წაისაუბრეს, ჩონგურები მომართეს და ლექსად მოპყვენ ელბიტეს ბიოგრაფიას. აწ გარდაცვლილი დიდ მადლობას უხდიდა ოდიშელ მეჩონგურეთა გუნდის პირით ოჯახს, ნათესაებსა და მეზობლებს. სამუდამოდ ეთხოვებოდა ყველას. სიმღერას სიმღერა ცვლიდა. ეზოში უფრო მხიარულება იდგა, ვიდრე გლოვის ზარი.

— ყველაფერი მინახავს. მაგრამ ტირილში სიმღერას, ქეიფსა და გვირგვინებით ვაჭრობას ვერ წარმოვიდგენდი.

— მოითმინე ცოტა, გამომგონებლები ისე გამრავლდნენ, რომ მალე რაღაც სასწაულსაც მოახდენენ. ხომ ხედავთ, კულტურა წინ მიდის, რა გვაქვს სატირალი.

— არა, ავია ძილში გაიპარაო?.. რამხელა ანდერძი მოუსწრია, იგიც ლექსად!..

— ეს ხომ ამათი გამოთქმულია? ათასუთასად მღერიან. გადაყვან-გადმოყვანის ხარჯები კიდევ სხვაა, — არ წყდებოდა კამათი.

— ო, ჰო, ჰო, თქვენ გენაცვალეთ, როგორ გვრიტებივით ლულუნებთ. სიმღერაც ამას ქვია. თქვენ, რაო?.. არ გაგიგონიათ, სიმღერაა თუ სმა? — შეუტია მოსაუბრეთა ერთ ჯგუფს ვიღაც მთვარალმა.

— გაგიგონია, მაგრამ ტირილში?!

— ვის ტირიან?! ტირილი არ გამაგონოთ!..

— როგორ, არ იცი ვის ტირი?!

— რა მაქვს სატირალი? არავისაც არ ვტირი: არავითარი ტირილი... ჩიტი, გვრიტი მოფრინავდა... ჰოუ... ჰოუ... ქალებო! რავა ქალებით გაგიწეწით თმები, არ გრცხვენიათ?.. დაიხვიეთ ჩქარა! თქვენ კი გენა... მე შრომანი მეგონა, მეგონა, ჰოი რანუნი, ჰოი რანუნი, რანუ... ჰატ! თქვენი პატრონი

ენახე დაბმული!.. რა ამბავია აგი? შეუტია საქვლებო სეფიდან ახლანდელ მორეკილ ძალებს.

— დიდუ, რაფერ გამოთაყვანებულა ვილაცაა, ვაჩუმეთ, სანამ მიცვალბულის ჰირისუფალი გაიგონებდეს, თორემ?!

— რაო?.. გაიგონებს და ყურებზე ხახვი არ დამაჭრას... თქვენ არ გცოდნიათ ვინაა ბესარიონა ვაღმიელი: მე... ავსტრიაში გერმანელებს...

ადგილობრივი მცხოვრებნი მართლაც პირველად ხედავდნენ მას. ჩხუბს მოერიდნენ. დიდი ვაი-ვაგლახით გადაიყვანეს ეზოდან და გაისტუმრეს.

— თაყა, როგორაა საქმე? დასაფლავება არ დაგვიანდეს.

— ხომ ხედავ რა ამბავი ხალხია?.. ვერ ავთავადი და რა ვქნა, უქმელ-უმელს ხომ არ დაეტოვებ?..

— არა, მაგრამ ორ-ორჯერ რომ ჯდებიან და თვრებიან, იმას ხომ ხედავ? ელბიტეს გასვენება უნდა. ვიჩქაროთ ცოტა.

— ერთხელ დაჯენას კიდევ მოვასწრებთ. სიტყვების, ლექსებისა და დებუშების წაკითხვას გადავდებთ.

მოგვიანებით ეზოში ცნობილი მოტირალი ივანე პეტრეშვილი შემოვიდა (რადგან მარტო მოდიოდა, შემხვედრებსაც გამოეპარათ ყურადღებიდან), ყაბალახი მოიხადა, წვერებზე ხელი ჩამოისვა, მიიხედ-მოიხედა და რადგან ერთი სეფიდან სიმღერის ხმა მოესმა, მეორისაკენ გასწია. მიუახლოვდა თუ არა, იტყვიცა შუბლზე ხელი.

— ვაიმე, ვაიმე, შე უბედურო ელპიტე, რა მოგსვლია აგი. ამას რას ხედავს ჩემი დასაფსები თვალები. — სეფაში ფეხი შედგა და...

— ივანე, იცოცხლე! — ერთხმად მიაძახეს შეზარხოშებულმა მოტირალემა.

ივანე შეცბა, თავი ასწია, წამწამები ააფახულა და დაბნეულმა იკითხა:



— სად ვარ, თუ იცით? რაშია საქმე? ხომ არ გაცოცხლებულა უბედური?!

— რაო, ივანე?! დაგავიწყდა, ელბიტეს სიმღერა და ქეიფი რომ უყვარდა? ცოტა უხერხულია, თორემ... ასეთ მაგიდას პატარა მრავალკამიერიც დამვენდებოდა.

— ეს ვიცი, მარა...
— მარა, ერთი ავი დავეილიე, ტირილს მერეც მოესწრები, შე კაცო. უჩვენოდ სად წავა?..

შეზარხოშებული ივანე მოვეიანებით ხელმოკიდებული მიიყვანეს ელბიტესთან გამოსათხოვრად, მიიყვანეს და კუბოს ძლივს ააგლიჯეს, ტირილით ცოცხალ თავს იკლავდა.

— თაყა, რას შერები, კაცო?.. დამდა!

— რა ვქნა, ბატონო, დირექტორია თამადად და ხომ იცით. სიტყვასა და ღვინოს არვის შეარჩენს. მეათესა მიღწეა, მგონი მალე მორჩება და...

დრო არ ითმენდა. თამადა არ ჩქარობდა, სმის ეშხში შესულმა მალე ლაპარაკს უმატა და ხელებიც შეაშველა.

გარეთ მინის მსხვრევა გაისმა.

— არიქა, გამოასვენეს, გამოდით ჩქარა, სირცხვილია! — აფუსფუსდნენ ქალები.

— მეზობლებო, ერთი წუთით! — აუწია თამადამ ხმას. — სირცხვილი ის იქნება, მომსახურე პერსონალი უდღე-გრძელბელი დაგვრჩეს. დე, გაუმარჯოთ მათ, სულ ლხინში ემსახუროთ. — სახსე ჩაის ჰიქას დაღმართი უჩვენა და სეფიდან უკანასკნელი გამოვიდა.

ეზო დაცლილიყო. უკვე მოესწროთ ელბიტეს რამდენჯერმე წაღმა ბრუნება, კუბო მხრებზე შეედგათ და სასაფლაოსკენ მიაქროლებდნენ.

— დავეწვიოთ! — წამოიძახა ნათამაღარმა და გზას ღიღინით შეჰყვია.

მზე დედამიწას გამოეთხოვა, დამდებოდა, როცა სამგლოვიარო პროცესიამ სასაფლაოს მიადწია და...

— დიდუუ!.. დიდუუ!.. ელბიტე გადამბრუნდა. — დაიკვლა ვიღაცამ.

დაფეთდა ხალხი. დაიბრუნენ წინანი უკან და უკანანი წინ. ერთმანეთში აირივნენ. არავინ იცოდა, რა მოუვიდა უკვე სამარის კართან მიღწეულ ელბიტეს და ერთი მეორეს გაკვირვებით ეკითხებოდნენ:

— რა მოხდა?

— რა იყო?

— მართლა გადამბრუნდა თუ?..

საიდანღაც თაყა გამოჩნდა.

— თაყა, შენ მაინც გაგვაგებინე, კაცო, მართალი, რა მოხდა, მართლა გადამბრუნდა ელბიტე?

— ვადაბრუნდა კი არა... მაგ უსინდისო მთვრალეებმა ვადაბრუნეს კუბო, — ენის ბორძიკით დაილულულა შეზარხოშებულმა თაყამ.

შუალამე გადასული იყო, როცა კოლმეურნეობის ტრაქტორმა თხრილში წაფერდებული მეწინავე ავტობუსი გუგუნით ამოათრია და მოტირალთ ქალაქისაკენ გზა გაუხსნა.



ახალი წიგნები

- გ. ლორთქიფანიძე — უკანასკნელი ცრემლი. რედ. ა. შონია, გვ. 372, ფასი 7 მანეთი.
 ვლ. მარღანიძე — მოგზაურობა ექვს ქვეყანაში. რედ. გ. სალუქვაძე, გვ. 92, ფასი 2 მან.
 ვ. გიორგაძე — ნაწლავთა გაუფალობა. რედ. ა. პერტია, გვ. 124, ფასი 3 მან.
 აჭარის სახელმწიფო არქივი — რედ. ც. ნეფედოვა, გვ. 196, ფასი 7 მანეთი.
 ლ. კლიმოვიჩი — ისლამი და ქალი. რედ. კ. რუსიძე, გვ. 64, ფასი 1 მანეთი.
 შ. ქურიძე — ხალხთა ძმობა-მეგობრობის იდეა ქართულ ლიტერატურაში. რედ. ნ. ნო-
 ლაიდელი, გვ. 268, ფასი 6 მანეთი.
 ალ. სამსონია — იუმორისტული მოთხრობები. რედ. ე. ჭანიშვილი, გვ. 168,
 ფასი 1 მან. 20 კაპ.
 ნ. პაიჭაძე — ეგნატე ნინოშვილი ბათუმში. რედ. ი. რურუა, გვ. 40, ფასი 1 მან.
 პ. ლორია — ბახეაძის დედაბერი. რედ. ნ. მაღაზონია, გვ. 40, ფასი 1 მან.
 კ. დოლიძე — ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემო-
 ნის საკითხისათვის. რედ. ლ. ებანოძე, გვ. 304, ფასი 12 მანეთი.
 ნ. ჯალაღონია — სიმღერის გაზაფხული. რედ. ნ. გვარამია, გვ. 72, ფასი 1 მან.
 ნ. ნოლაიდელი — აჭარის ზეპირსიტყვიერება, რედ. კ. რუსიძე, გვ. 304, ფასი 5 მან.



ბელომონტილია დასაბეჭდად 13/VI, 59 წ. საბეჭდი 6 (პირობითი მ), საგამომ-
 ცემლო 7 თაბახი. შეკვეთის № 4186, ემ 01554, ქალაქის ზომა 70X108,
 ტირაჟი 3000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
 მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
 (ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Грузглавополиграфиздата
 Министерства культуры Грузинской ССР
 (Батуми, ул. Р. Люксембург, 22)

ბ 63/157

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ლიტერატურული აჭარა“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ